A-89 ხელნაწერი პალიმფსესტის ქვედა ტექსტს პირველად ივ. ჭავჭავაძემ მიაქცია ყურადღება. აი, რას წერს მკვლევარი ამ ხელნაწერის შესახებ: „მერმინდელი ტექსტი თავდაპირველის გარდვიარდმო დაუწერიათ და თითოეული ორად დაუქციათ. ხელნაწერის დაშლის შემდეგ გამოირკვა, რომ თავდაპირველად თითოეული ფურცლის ზომა 32×28 სმ-ზე ცოტა მოზრდილი უნდა ყოფილიყო, რადგან ახალი ტექსტის დაწერისა და წიგნად შეკერის დროს კიდევბი ოდნავ ჩამოკრილი უნდა იყოს. ტექსტი მსხვილი მრგვლოვანი ასომთავრულით ყოფილა ნაწერი ორ სვეტად. თითოეულ სვეტში 18 სტრიქონია. განკვეთილობის ნიშნები ნახმარია და მუხლი მუხლისაგან განკვეთილობის ნიშნით არის გამოყოფილი, მაგრამ სათვალაეები არა აქვს. ყოველი ახალი მუხლი მთავარი ასოთი იწყება. ტექსტი ფართოდ არის ნაწერი მშვენიერი მხატვრული ხელოვნებით აღსავსე დამწერლობით. ამ ხელნაწერის დიადი გარეგანი ღირსება ყოველგვარი მერმინდელი ფსევკა-რეცხვის შემდგომაც ეხლაც კარგად ჩანს. სამწუხაროდ, თავდაპირველი ტექსტი ისე გულმოდგინედ არის წაშლილი, რომ უმეტეს შემთხვევაში მხოლოდ მისი ნაალაგევიდა მოჩანს და თითო-ორი გვერდებილაა მარტო, გადარეცხილი ძველი ნაწერის წაქითხვა რომ შეიძლებოდეს. ქმიური დამუშავება საკმაო საშუალებას გვაძლევს თავდაპირველი ტექსტის აღსადგენად. ხელნაწე-

¹² J. N. Birdsall, *Khanmeti Fragments of the Synoptic Gospels from Ms. Vind. Georg. 2, Oriens Christianus*, B. 55, 1971, p. 62—89.

¹³ Ф. Д. Жордания, *Описание рукописей Тифлисского церковного музея*, т. I, 1902, с. 90.

¹⁴ М. Г. Джанашивили, *Описание рукописей Тифлиссского церковного музея*, т. III, 1908, с. V.

რი, როგორც ეტყობა, ერთი ნაწარმოებიდან არის გამოყენებული და ოთხთავი სახარება ყოფილა¹⁵.

დღეს A-89 ხელნაწერი შეიცავს 443 ფურცელს. საემაოდ მოზრდილი ტანისაა: 28 X 16 სმ. იგი, გარდა ოთხი ქაღალდის ფურცლისა (7, 8, 15, 363), რომლის ტექსტი დაახლოებით XVIII საუკუნეშია აღდგენილი და ჩართული, მთლიანად ეტრატია, ხელნაწერი თავის დროზე შემოსილი იყო ღია ყავისფერი ტვიფრული ხის ყლით. ამჟამად იგი დაშლილია და დაზიანებული. ყდა მოცილებული აქვს და ქვედა ფრთა გატეხილია. ამ უკანასკნელზე დამაგრებულია ხელნაწერის შესაკრავი სამი თასმა. ხელნაწერი დაშალეს მაშინ, როდესაც პალიმფესტის შესწავლა დაიწყო, ე. ო. XX ს. 20-იან წლებში.

ხელნაწერში ვხვდებით რამდენიმე სათვალავს: 1. რვეულებრივი სათვალავი, რომელიც ასომთავრული ასოებითაა შესრულებული რვეულის თავსა და ბოლოში, გადაშვრის თანადროულია (XI ს.). სულ ხელნაწერში ყოფილა 56 (56) რვეული; 2. მხდრული ასოებით შესრულებული, დასმულია თითოეული რვეულის წინა ოთხ ფურცელზე; 3. გვერდობლივი სათვალავი, ციფრებით გამოხატული; 4. თანამედროვე ფურცლობრივი სათვალავი.

რვეულებრივი სათვალავის მიხედვით ირკვევა, რომ ხელნაწერი ჩვენამდე ნაკლები სახითაა მოღწეული. აღრე ამ ხელნაწერს უფრო მეტი ფურცლები ჰქვებოდა. ამას მოწმობს ა. შანიძის მინაწერი, რომელიც დაკრულია ზედა ყდის შიდა მხარეს: „არ არის ჯერ დაბრუნებული შემდეგი რვეულები: გ, დ, თ, ვ, ზ, ც, თ (გვ. 31—142), მვ (გვ. 729—746), მმ რვეულის ოთხი ფურცელი (ანუ ორი ფურცელი ოთხად გაკეცილი, გვ. 767—774). დანარჩენი დაბრუნებულია და ინახება ლექსიკოლოგიის კაბინეტში. 25/1. 930 ა. შანიძე“.

დღესათვის ზემოდასახელებული თ და ე რვეულის ორი და 56 რვეულის ოთხი ფურცლის გარდა, ყველა რვეული აღგილზეა.

ხელნაწერის ზოგიერთი ფურცელი რესტავირებულია ლურჯი ფერის ქაღალდით. ასეთივე ქაღალდი აქვს მას საცავ ფურცლად გამოყენებული და ყდის ორივე ფრთის შიდა მხარეს გამოკრული. ეს უკანასკნელი საშუალებას გვაძლევს ვიფიქროთ, რომ ხელნაწერი ორჯერ იყო შემოსილი.

ზედა ტექსტი დაწერილია კუთხოვანი ნუსხურით. მას გააჩნია ანდერძი, საიდანაც ირკვევა, რომ გადაშვრია ვინმე კ ვ რ ი კ ე: „ქრისტეს მოყუარენო ერნო, ვინაშთან წმიდასა მამასა ჩუენსა იოვანეს ოქროპირსა ესრეთ აქუნდა ჩუეულეზბამ, რაათამცა წარმოთქუა თარგმანებამ სახარებისამ მყუეარ უამ და მერმე აღსასრულსა ზედა სწავლასა წარმოიტყოდა, ამისთვის ძალი თითოეულისა სწავლისამ აქა დაგვეწერია, რაათა რასაცა ვინ ეძიებდეს, ადვილად პოოს, რამეთუ ესრეთ არს ბერძულთაცა წიგნთა შინა. ქ რ ი ს ტ ე, შე ი წ ყ ა ლ ე კ ვ რ ი კ ე“ (442v).

ხელნაწერს გადაწერის თარიღი არ მოეპოვება. ხელის მიხედვით ის XI ს. დათარიღებული¹⁶. არც ის არის ცნობილი, სად გადაიწერა. დაბეჭდვით ძნელია თქმა, მაგრამ შეიძლება შევნიშნოთ, რომ ვერტიკალურად გამოყვანილი ლამაზი კუთხოვანი ასოები, რომლითაცაა დაწერილი ხელნაწერის ზედა ტექსტი, უფრო დამახასიათებელია შავი მთისა და ათონის სკოლებისათვის. უკანასკნელად აღ-

¹⁵ ივ. ჭავჭავაძის ვილი, ქართული პალეოგრაფია, გვ. 293—294.

¹⁶ ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, ყოფილი საეკლესიო მუზეუმის (A) კოლექციისა. I, 1974, გვ. 314—316.

ნიშნული ხელნაწერი, როგორც ეს მინაწერიდან ირკვევა, მრავალმთის იოანე ნათლისმცემლის უდაბნოს საკუთრება ყოფილა (1r).

ძველი ხელნაწერის თითოეული ფურცელი გადაწერს ორად გაუქეცია და ახალი ტექსტი საწინააღმდეგო მიმართულებით დაუწერია. ზოგიერთ ფურცელს შემორჩენილი აქვს ნახევარი მხარე (271, 295, 313, 385, 386, 440, 441 ფფ.). გადარეცხილი ხელნაწერი, როგორც ჩანს, დიდი ტანისა ყოფილა. დღეს ეტრატის ზომაა 32,5×27,5. თავდაპირველი სახე აღნიშნულ ზომაზე მეტი უნდა ყოფილიყო, დაახლოებით 36×28,5, სმ. ამას მოწმობს ტექსტის მარჯვენა და ქვედა აშია, რომელიც უფრო განიერია, ვიდრე მისი ზედა და მარცხენა აშია. კიდევბის ჩამოჭრა კი მოხდა მაშინ, როდესაც ის ხელმეორედ შეიკრა წიგნად.


გადარეცხილი ხელნაწერის ტექსტი დაწერილია ფართოდ, მასალის დაუზოგავად. ნაწერია ორ სვეტად. თითოეულ სვეტში 18 სტრიქონია. დაწერილი ყოფილა მუქი ყავისფერი მელნით. ეს კარგად ჩანს იმ გვერდებზე, რომლებზედაც ძველი მელნის კვალი, მიუხედავად ტექსტის საგულდაგულო გადარეცხვისა, მაინც არის შემორჩენილი (250r, 255r, 293v, 323v). ამასვე ადსტურებს ის მინაწერიც, რომელიც დაუზიანებლად არის ჩვენამდე მოღწეული ასომთავრული ასოებით: „ღმერთო, წყალობა ყავ ჩემ ზედა“ (277r). გადარეცხილ ხელნაწერს შემორჩენილი აქვს რვეულებრივი სათვალავი (217r, 258r).

ტექსტი დაყოფილია მუხლებად. ყოველი მუხლი იწყება სადად გამოყვანილი საზედაო ასოთი. საზედაო ასოს თავზე მოთავსებულია მუხლთა სათვალავი. ეს არის ამონიოს ალექსანდრიელის ტექსტის დაყოფის მაჩვენებელი, რომელიც IX—XI საუკუნეების ოთხთავის ტექსტებს ხშირად ახლავს. ეს ფაქტი ყურადსაღებია იმდენად, რამდენადაც ირკვევა, რომ V—VI საუკუნეებში პრაქტიკაში მიღებული ყოფილა ოთხთავის ტექსტის სტიქომეტრიული დაყოფა, ევსევი კესარიელის კანონის მითითება ტექსტში ამყამად არ ჩანს. ასეც იყო მოსალოდნელი. ეინაიდან ხელნაწერებში იგი იწერებოდა წითელი (სინგური) მელნით; ეს უკანასკნელი კი გადარეცხვის დროს უკვალოდ ქრებოდა. ხელნაწერის ქვედა აშიაზე განლაგებულია ამონიოსის დროის დაყოფის საძიებელი ანუ განთესული, როგორც უწოდებდნენ მას ჩვენი წინაპრები¹⁷.

ტექსტში სასვენ ნიშნებად გამოყენებულია ერთი და ორი წერტილი. ერთი წერტილი მოთავსებულია სტრიქონს ზევით და სტრიქონს შუა. ზოგჯერ სტრიქონს ზედა მდებარე ერთ წერტილს კავის მსგავსი ფორმა აქვს (>). ისინი ტექსტში გამოყოფენ მოკლე პერიოდს. ორი წერტილი დასმულია თხრობის ან მუხლის დასასრულს.

ტექსტი დაწერილია სადად და ლამაზად, ყოველგვარი გაფორმების გარეშე. მის სამკაულს შეადგენს მხოლოდ მონუმენტურად გამოყვანილი მრგვალი საზედაო ასოები და სტრიქონის შემავსებელი ნიშნები, რომლებიც დასმულია აბზაის ბოლოს (ტაბ. 1).

¹⁷ იხ. ალავერდის ოთხთავის (A-484, 1054 წ.) ანდერძი: „აეკ უწყოდეთ, წმიდანო მამანო, რომელნიცა შემოხვანეთ წმიდას ამას სახარებასა, ფრიად მართალი და წმიდაა არს. მამისა ეფთჳმეს სახარებათადა შეწამებული, ბერძელსა ორჯელ და ქართულსა. ყოვლითურთ უნაკლულთა რიცხვთა და კანონთა. და განთესულნი არაღ დაწერენ ამისთვის, რამეთუ ზანდუკი მასვე მოასწავებს“ (13r, 314v). მართლაც, ხელნაწერის ქვედა აშიაზე ზემოაღნიშნული საძიებელი გატანილი არ არის.



გადარეცხილი მასალა, როგორც ზევით აღინიშნა, მთლიანად ოთხთავის ტექსტს წარმოადგენს. მისი ფურცლები, რამდენიმეს გარდა (276, 285, 303)¹⁸, ერთი ხელნაწერის ნაწილი ჩანს. მიუხედავად ხელნაწერის დიდი მოცულობისა

= ჯ --- = ჯ --- = ჯ ---

(443 ფ.), ძველი ხელნაწერის ფურცლები აქ მთლიანად არ არის გამოყენებული. ამას ადასტურებს ამავე კოლექციის ხელნაწერი პალიმფესტი A-844. ამ ხელნაწერში, რომელიც შედგება სხვადასხვა დროს გადაწერილი ხელნაწერების ფურცლებისაგან, A-89 ხელნაწერის ფურცლებიც აღმოჩნდა. ამის შესახებ ქვემოთ გვექნება საუბარი.

A-844 ხელნაწერი მ. ჯანაშიელმა აღწერა და გამოაქვეყნა საეკლესიო მუზეუმის ხელნაწერთა აღწერილობის III ტომში 1908 წელს. მკვლევარი შენიშნავს, რომ 255 ფურცლისაგან შემდგარი ხელნაწერი მთლიანად პალიმფესტია, რამდენიმე ფურცლის გარდა. ზედა ტექსტი, რომელიც საწელიწდო სახარებაა, მკვლევარს დათარიღებული აქვს XI—XII საუკუნეებით. ქვედა ტექსტის შესახებ ის არაფერს წერს. შენიშნავს მხოლოდ, რომ ხელნაწერის ფურცლები ძალზეა გაკუქვიანებული¹⁹.

ივ. ჯავახიშვილმა, რომელმაც საგანგებოდ შეისწავლა ეს პალიმფესტი, აღნიშნა, რომ „ორიოდე რვეულის გარდა (ხაზი ჩვენია — ლ. ქ.), რომელიც სხვა ხელითა და იმავე მიმართულებით არის ნაწერი, რომლითაც მერმინდელი ტექსტია, ერთი მთლიანი ხელნაწერი უნდა იყოს პალიმფესტად გაკეთებული. მერმინდელი ნაწერი თავდაპირველის გარდი-გარდმოა მოთავსებული. ფურცლები, როგორც ეს ხელნაწერის დაშლისა და ქიმიურად დამუშავების შემდგომ გამოირკვა, მსხვილი მრგვლოვანი ასომთავრულით ყოფილა ნაწერი. ხელი ლამაზია. განკვეთილობის ნიშნები და მუხლებად გამოყოფა აქაც მიღებულია. ყოველი მუხლი მთავარი ასოთი იწყება. ტექსტი ორ სვეტად ყოფილა ნაწერი და თითოეულ სვეტში აქაც 18 სტრიქონია მოთავსებული. თავდაპირველად თითოეული ფურცელი 32×22 სანტიმეტრზე უფრო დიდი უნდა ყოფილიყო, რადგან ეხლა მას ხან ერთი, ხან მეორე კიდე საგრძნობლად და პირვანდელი ტექსტის დაზიანებით ჩამოჭრილი აქვს, უეჭველია, პალიმფესტად ქცევის დროს...

პირვანდელი ტექსტი ქიმიური დამუშავების შემდგომ ოთხთავ სახარებად აღმოჩნდა. სამწუხაროდ, იმგვარადვე როგორც № 89, ამ ხელნაწერშიც პალიმფესტად შემზადების დროს თავდაპირველი ნაწერი ისე გადაურეცხიათ და გადაუფხეკიათ, რომ თუ ერთ გვერდზე ქიმიური დამუშავების შემდგომ ტექსტის წაკითხვა შესაძლებელი ხდებოდა, მეორე გვერდზე ნაწერის მთლიანად აღდგენას ვერც ეს ძლიერი საშუალება შეეღობა²⁰.

¹⁸ ეს ფურცლები ნაწილი უნდა იყოს იმ ძველ ხელნაწერისა, რომელიც შემოგვინახა H 1338. ეს ხელნაწერიც კვრიკეს გაუწერია (ანდერძში ის ქადაგისძედ არის მოხსენიებული 325v); მისი ზედა ტექსტი წარმოადგენს იოანე ოქროპირის შათის თვის სახარების თარგმანების გაგრძელებას (იხ. ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, §1, გვ. 315) და მთლიანად პალიმფესტია.

¹⁹ M. G. Джанашивили, დასახ. ნაშრომი, გვ. 57—59.

²⁰ ივ. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 294—295.

A-844 ხელნაწერის ფურცელთა რაოდენობა ამჟამად 212-ია, ნაცულად 255-ისა; ფურცელთა აღრიცხვის დროს დაშვებული იყო შეცდომა — 160-ის მაგივრად, დასმულია ციფრი 190. გარდა ამისა, მას აკლია დაახლოებით 15 ფურცელი. ხელნაწერში ვხვდებით ორ სათვალავს: ერთია რვეულებრივი, ხელნაწერის თანადროული, ასომთავრულით შესრულებული; მეორეა ახალი, თანამედროვე.

A-844 ხელნაწერი A-89-სთან შედარებით მცირე ზომისაა: 22×15 სმ.. დაშლილია და თავნაკლული; ბოლო ფურცლები ძალზეა გაქუქვიანებული, ყველისფერი ტვიფრული ხის ყდა ხელნაწერს მოცილებული აქვს. ყდაც დაზიანებულია. ყუდას შემორჩენილი აქვს მხოლოდ ორი პატარა ნაჭერი და ის დაცილებულია ზედა ფრთას. ყლის შიდა მხარეს ფანქრით ვიწერილია: „Служенное евангелие на весь год“; აღდგენილი გვერდების შირა (აღდგენილია XVII ს. საუკუნის ნუსხური 1—35, 206, 207 ფფ.), ის მთლიანად პალიმფესტია. ფურცლებს 102-სა და 103-ს შემორჩენილი აქვს მხოლოდ ნახევარი მხარე.

ხელის მიხედვით ხელნაწერის ზედა ტექსტიც XI საუკუნეს განეკუთვნება. მისი გადამწერიც იგივე პირია, რომელმაც გადანუსხა A-89. ამას ადასტურებს როგორც ასოთა ერთნაირი მოყვანილობა, ისე ხელნაწერის ანდერძიც: „დიდება ღმერთსა, მაღლი ღმერთსა, კურთხეულ არს ღმერთი, ყოვლისა საქმისა კეთილისა სრულმყოფელი. დავიწყე მამისა (!) და გავიშორე ივლისა გ. წმიდანო ღირსნო, ვინცა იკითხვიდეთ, ამას ცოდვილისა ქვრივის ნაღლუნსა, მწყევთ ოდენ ნუ, და ღმერთმან მაღლი მოგცეს“ (212 რ). ხელნაწერის ადგილსამყოფელი ერთ დროს, როგორც მინაწერიდან ირკვევა, რუისის ღვთაების ეკლესია ყოფილა: „შენ შერისხე, რუისის ღვთაების ეკლესიავ, ვინც გამოწიროს ტაძარსა შენსა“ (მხედრული ხელით, 3 რ). ამიგზზე და ხელნაწერის ბოლო ფურცელზე სულთა მოსახსენებლების მინაწერებია.

გადარეცხილი ტექსტის საგულდაგულო გადასინჯვამ გამოავლინა, რომ ხელნაწერი სხვადასხვა დროს გადაწერილი ხელნაწერების ფურცლებიდანაა შემდგარი. ქვედა ფენის ტექსტის მიხედვით ეს ფურცლები იყოფა არა ორ, როგორც ამას აღნიშნავდა ივ. ჯავახიშვილი, არამედ ოთხ ნაწილად. ამთავან ერთია ნუსხურად ნაწერი, ხოლო დანარჩენი სამი — ასომთავრულად.

ნუსხურად ნაწერი ტექსტი რვა ფურცლისაგან შედგება (138—145 ფფ.). ის ზედა ტექსტის საწინააღმდეგო მიმართულებითაა ნაწერი; ისე საგულდაგულოდაა გადარეცხილი, რომ ტექსტის ამოკითხვა შეუძლებელია. აქა-იქ შეიძინევა ლამაზად მოყვანილი ასოები, რომელთა ბუნები სწორადაა დაშვებული. ასოთა ასეთი მოხაზულობა ხელნაწერის სიმკვლეზე მიუთითებს. იგი უნდა იყოს არა უგვიანეს IX საუკუნისა.

ასომთავრულად ნაწერ ნაწილში სამი სხვადასხვა ტექსტი გამოირჩევა; სამივე ხანგებია.

პირველი ტექსტი ზედა ფენის მიმართულებით არის ნაწერი; შეიცავს 54 ფ. (104—221, 170—177, 178, 181—185, 186—207). იგი დაწერილია საუცხოო კალიგრაფიული ასომთავრულით. პალეოგრაფიული მონაცემებითა და ხანისანი ფორმების დადასტურებით უდავოდ უძველესი დროისაა (V—VI სს.). იგი ესაიას წინასწარმეტყველების ტექსტს შეიცავს: 7, 23, (124 რ—ვ), 40, 5 (126 ვ), 46, 6 (127 ვ), 49, 5 (128 ვ).

მეორე ტექსტი რვა ფურცელია (146—153 ფფ.). ეს არის ოთხთავის ნაწევრები მათესა 26, 39—42 (147 ვ—152 რ), 26, 42—44 (146 რ—153 ვ) და იოვანეს თავებიდან 17, 21—24 (148 რ—151 ვ), 17, 24—18, 2 (149 ვ—151 რ).

აღნიშნული ფრაგმენტი სხვა ხელნაწერის ნაწილი უნდა იყოს და არა წინამდებარე ოთხთავისა. ამის თქმის საშუალებას იძლევა ფრაგმენტის გარეგნული მხარე: ასოები უფრო მცირე ზომისაა; სტრიქონთა რაოდენობაც ნაკლებია, 17-ია 18-ის ნაცვლად; ტექსტს არ გააჩნია მუხლობრივი სათვალავი; სასვენ ნიშანთა განლაგებაც სხვაგვარია; ორი წერტილი, რომელიც საერთოდ სტრიქონს შუა იწერება, აქ სტრიქონზე მდებარეობს.

პალიმფსესტის მესამე ჯგუფში გაერთიანებულია ის ფურცლები, რომლებზედაც ივ. ჯავახიშვილი მუშაობდა და რომლებიც ჩვენი განხილვის ობიექტს წარმოადგენს. ეს ფრაგმენტი 107 ფურცლისაგან შედგება და ხელნაწერში არათანმიმდევრულად არის ჩალაგებული (34—103, 122—137, 154—161, 164—169, 179—180, 208—212 ფფ.). A-89 პალიმფსესტთან შედარებით მისი ფურცლები უფრო მცირე ზომისაა — 31 X 22,5 სმ; თავის დროზე უფრო დიდი ფორმატისა ყოფილა, ვიდრე ახლა. ამას მოწმობს კიდევების ჩამოჭრის შედეგად დაზიანებული ტექსტი. კიდევები ჩამოუჭრიათ, ცხადია, მაშინ, როდესაც ძველი ხელნაწერის ფურცლები ხელმეორედ გამოიყენეს ახალი წიგნისათვის.

A-844 და A-89 ხელნაწერების ფურცლები, როგორც ეს მათი შესწავლისას გამოირკვა, ერთი ძველი საერთო ხელნაწერისაა²¹. ეს გამოვლინდა არა მარტო ტექსტის შინაარსით, არამედ მათი გარეგნული ფორმითაც (ტაბ. 2, 3). ორივე ხელნაწერი დაწერილია ორ სვეტად. სვეტების სიგანეა 9—9,4 სმ.; მათ შორის დაცილების მანძილიც ერთნაირია (2,2—2,4 სმ.); თითოეულ სვეტში 18 სტრიქონია; სტრიქონებს შორის მანძილი თანატოლია (1,4—1,6 სმ.); სტრიქონზე მოთავსებული ასოთა რაოდენობაც ერთია (13—16). ასოთა მოყვანილობაც ერთმანეთის მსგავსია.

სასვენ ნიშანთა გრაფიკული გამოსახულებაც იგივეა. აბზაცის ბოლოს სტრიქონის შესავსებად, ორივეში ერთნაირი ნიშანია გამოყენებული. A-89 ხელნაწერის ვადარეციბილი ტექსტის მსგავსად A-844-ის ქვედა ფენას გააჩნია მუხლობრივი სათვალავი და აშიაზე ჩამოტანილი საძიებელი.

სიტყვათა დაქარაგმებაც ერთნაირია. ქარაგმდება მხოლოდ წმინდა სახელები, კვეშირები, ნაცვლსახელები, ზმნისართები; თანდებულთაგან — ზ ე დ ა და ზოგჯერ წ რ ნ ა შ ე (წ შ ე, წ ე); ზმნებიდან — მხოლოდ თ ქ უ ა და ხ რ ქ უ ა. ეს უკანასკნელი ორნაირად ქარაგმდება: ხ რ ქ ა და ხ ქ ა²².

ძველ ქართულ წერილობით ძეგლებში სიტყვა იერუსალემი, ჩვეულებრივ, როგორც წმინდა სახელი, შემოკლებით იწერება: ი¹ მ მ ი, ი¹ მ მ ს ა, ი¹ მ ლ ს ა. სრული ფორმით იგი იშვიათად გვხვდება და სადაც არის, ყველგან მ-ს მაგიერად ე იწერება²³. მსგავს მოვლენასთან გვაქვს ჩვენ საქმე წინამდებარე ძეგლშიც. აღნიშნული სიტყვა სრული სახით მხოლოდ ერთხელ დადასტურდა: ი ე რ უ ს ა ლ ე მ ე ლ თ ა გ ა ნ ნ ი (ი. 7,25).

შინაარსის მიხედვით ეს ორი ტექსტი ერთმანეთს აესებს: A-89 პალიმფსესტის ქვედა ტექსტის გაგრძელება დაცულია A-844 ხელნაწერში და პირუ-

²¹ ეს ფაქტი ივ. ჯავახიშვილის რატომაც შეუმჩნეველი დარჩენია.

²² ხანმეტი ტექსტში დაქარაგმების ის პრინციპია გატარებული, რომელიც დამახასიათებელია V-VI სს. ხელნაწერებისათვის (იხ. უ. ჯანკიევი, დაქარაგმების წესები ძველ ქართულ ხელნაწერებში (V—X სს.), პალიოგრაფიული ძიებანი, I, 1965, გვ. 57—94.

²³ უ. ჯანკიევი, „იერუსალემ“ და „ისრაელ“ სახელთა დაწერილობისათვის, მრავალთავი, ფილოლოგიურ-ისტორიული ძიებანი, III, 1973, გვ. 41—43.

კუ, A-844-ისა — A-89 ხელნაწერში. მაგალითად, მ. 7, 16 მუხლი. რომლის ფურცელი A-89 ხელნაწერის ნაწილია, წყდება სიტყვებით: მო-ნ-უ-ის-თ-უ-ლი-ან-ე-კ-ა-ლ-თ-ა-გ-ან-ყ-უ-რ-ძ-ე-ნი-ან-უ-კ-უ-რო-მ-ს... ამ ბოლო სიტყვას აგრძელებს A-844 ხელნაწერის ტექსტი ...თ-ა-ვ-თ-ა-გ-ან-ლ-ე-ღ-ვ. ანალოგიური შემთხვევებია ლ. 11, 16; ლ. 12, 29. ლ. 16, 17 მუხლის ბოლო წინადადება მო-ნ-ა-ტ-უ-ლი-და-ე-რ-ღ-ო-მ-ად A-89 ხელნაწერში არ არის, ვინაიდან მისი ბოლო სტრიქონი თავდება ასე: შ-ჭ-უ-ლი-ს-ა-გ-ან-ი-ე-რ-თ-ი. ამ მუხლის გაგრძელება, ბუნებრივია, გადადის მეორე ფურცელზე. ეს ფურცელი კი დატულია A-844 ხელნაწერში.

ამ ორი ხელნაწერის პალიმფესტური ფურცლების შეერთებით ჩვენ ხელთ გვაქვს 261 ფურცლისაგან (ახალი ხელნაწერის ორი ფურცელი ძელოსას ერთს უდრის) შემდგარი უძველესი პერიოდის, ხანგეტი ოთხთაევი. ყველა გვერდის ამოკითხვა ვერ მოხერხდა, ვინაიდან ზოგიერთი მათგანი ისე საგულდაგულოდაა გადაარეცხილი, რომ ტექსტის მხოლოდ ნაკვეთი იქნა ჩანს.

A-89 და A-844 გადარეცხილი ხელნაწერების ქვედა ფენის ამოკითხვა თავის დროზე იე. ჯავახიშვილს უიმედოდაც კი მიაჩნდა. აი, რას წერდა მკვლევარი ამის შესახებ: „ხელნაწერები № 89 და № 844 იმდენად გადარეცხილ-გადაფხეკილია, რომ თავდაპირველი ნაწერის ამოკითხვა უიმედო საქმედ ჩანდა, ამიტომ, ან ამ პირველხარისხოვანი ძეგლების უუდიდესა ნაწილის წაკითხვაზე სამუდამოდ ხელი უნდა აგველო, ან ქიმიური დამუშავების საშუალებით მისი ძველი ტექსტის გაცხოველება და წაკითხვა გვეცადნა“²⁴. იე. ჯავახიშვილმა ამ უკანასკნელ მეთოდს მიმართა და ამოკითხა ოთხთაევის ის ადგილები, რომლებიც ზემოთაც მივუთითეთ:

მათე: V, 32—45; VI, 1—6 (ნაწ.), 7—19; VII, 4—16, 23—29; VIII, 1—6; X, 3—10, 22—33; XVII, 5—11; XVIII, 17—23; XIX, 10—16, 28—30; XX, 1—4; XXI, 29—34; XXIV, 6—13, 43—49.

მარკოზი: II, 15—18; IX, 43—50.

ლუკა: II, 18—24; IV, 40—44; V, 1—7 (ნაწ.); VI, 31—32, 34; XI, 42—44; XIII, 5—9, 11—14 (ნაწ.); XV, 22—29; XIX, 43—48; XX, 1.

იოვანე: XXI, 7—17²⁵.

დღეს ჩვენ მიერ ამოკითხულია 166 გვერდი. აქედან ყველაზე მეტია მათესა და ლუკას თავები. შედარებით ნაკლებადაა წარმოდგენილი მარკოზი და იოვანე.

აქვე ჩამოვთვლით ამ ამოკითხულ ადგილებს:

მათე: V, 18—22, 27—48; VI, 1—25; VII, 4—29; VIII, 1—12. X, 3—39; XI, 3—14, 25—30; XII, 1, 14—38; 49—50; XIII, 1—14. 50—58; XIV, 1—10, 22—35; XV, 7—14, 28—32; XVI, 6—18, 23—28; XVII, 1—18; XVIII, 2—23; XIX, 10—30; XX, 1—4, 22—28; XXI, 14—19. 35—46; XXII, 1—2. 22—29, 37—46; XXIII, 1—7, 29—34; XXIV, 6—13, 29—34, 43—49; XXV, 20—25; XXVII, 30—35, 54—64; XXVIII, 4—20.

²⁴ იე. ჯავახიშვილი, ქართული პალეოგრაფია, გვ. 297.

²⁵ A-89 ხელნაწერიდან ჩამდენიმე ფურცელი ამოკითხული აქვს აგრეთვე თ. გონიას-ვილს (იხ. იე. ჯავახიშვილის პირადი საარქივო ფონდი № 374) და ილია აბულაძეს (იხ. პირადი საარქივო ფონდი № 244).

მარკოზი: I, 10—16; II, 10—18, 28; III, 1—5; IV, 24—31; V, 9—15; IX, 43—50; X, 14—19, 33—44; XI, 3—10, 28—33; XII, 1—7, 17—28, 39—44; XIII, 1—6; XIV, 10—15, 27—33, 55—62, 72; XV, 1—6, 28—33; XVI, 3—8.

ლუკა: I, 1—5, 22—28, 79—80; II, 1—5, 18—24, 44—51; III, 21—38; IV, 1—3, 40—44; V, 1—12; VI, 10—11, 13—15, 17, 19—20, 24—25, 27—28, 31—32, 34; VIII, 14—18, 37—42, 54—56; IX, 1—4, 12—20, 22—23, 48—54; X, 34—42; XI, 1—2, 9—21, 38—44, 49—54; XII, 1—5, 24—36, 47—59; XIII, 1—21, 33—35; XIV, 1, 9—19; XV, 22—32; XVI, 1—2, 13—22; XVII, 2—7; XVIII, 16—30; XIX, 3—15, 37—48; XX, 1, 8—14, 39—47; XXI, 1—21; XXII, 10—16, 56—62; XXIII, 18—25; XXIV, 7—13.

იოვანე: I, 31—39; II, 22—25; III, 1—2, 8—16; IV, 43—48; V, 2—3, 6—7; VI, 14—21, 32—39, 64—71; VII, 22—28; VIII, 48—53; XIII, 34—36, XIV, 1; XV, 15—19; XVI, 7—20; XVII, 5—11; XIX, 11—15; XXI, 7—17.

ამ ორი ხელნაწერის გადარეცხილი ტექსტის პალეოგრაფიულმა შესწავლამ გამოავლინა, რომ ტექსტის ერთი ნაწილი დაწერილია ლამაზად, სტილიზებული მრგვალი ასოებით, მეორე კი—შედარებით მოკლე და არათანაბარით. ეს კი გვაძლევს საფუძველს ვიფიქროთ, რომ წინამდებარე ძეგლი გადაწერილია ორი პირის მიერ. უნდა ვივარაუდოთ ისიც, რომ ეს პირები მხოლოდ გადამწერები არიან და არა რედაქტორ-გადამწერები, ვინაიდან ტექსტში ხშირად დაშვებულია უნებლიე შეცდომები, ზოგჯერ ტექსტსაც აკლია და ეს დაკლება ხშირ შემთხვევაში გადამწერის უყურადღებობით აიხსნება. იგი გაპირობებულია ტექსტის გარკვეულ მონაკვეთში მსგავსი სიტყვების ან გამოთქმების გამეორებით. ნაოქვამის საილუსტრაციოდ მოვიყვანთ ერთ მაგალითს:

X რედაქცია

C რედაქცია

უკუეთუ ვინმე დაქსნეს
ერთი მცნებათა ამთგანი
მცირედთამ და ხასწავოს
ეგრეთ კაცთა, შეურაცხ
ხერქუას სასუფეველსა
შინა ცათასა

უკუეთუ ვინმე დაქსნეს
ერთი მცნებათა ამთგანი
მცირედთამ და ასწავოს
ესრეთ კაცთა, შეურაცხ
ერქუას მას სასსუსუფეველსა
შინა ცათასა; ხოლო რომელმან
ყოს და ასწავოს, მას დიდი
ერქუას სასსუსუფეველსა შინა
ცათასა (მ. 5, 19).

ხოლო გეტყვთქუენ: არა
თუ ხმატდეს სიმართლმ
თქუენი ხუფროს მწიგნობართა...

ხოლო გეტყვთქუენ: თუ მატდეს
სიმართლმ თქუენი უფროს
მწიგნობართასა... (მ. 5, 20).

გადამწერი შეცდომაში შეიყვანა წინადადებების ერთნაირმა დაბოლოებამ: ხერქუას სასსუსუფეველსა შინა ცათასა. ამ უკანასკნელის შედგენის, რომ მან ტექსტის გადაწერის დროს უნებლიედ გამოტოვა მთელი წინადადება და პირდაპირ გადავიდა მე-20 მუხლზე. მსგავსი ვითარება დასტურდება შემდეგ ადგილებშიც: მ. 6, 23; 7, 6; 8, 9; 15, 11; 19, 23—24; 22, 28; 24, 30; მრ. 11, 8; ლ. 11, 11—12; ი. 1, 38—39; 4, 45.

გარდა ზემოაღნიშნულისა, წინამდებარე ტექსტს აკლია კიდევ რამდენიმე მუხლი, მ. 18, 11; 20, 26; 28, 18; მრ. 9, 44, 46, რომელიც ზემოხსენებულთან ვერ გაერთიანდება. ისინი საერთოდ აკლია მთელ რიგ ქართულ ოთხთავებს. ეს მოკლენა ა. შანიძემ აღნიშნა ქართული ოთხთავის ორი ძველი რედაქციის გამოცემისას²⁶.

ზემოთ აღნიშნა, რომ ხელის მიხედვით უნდა ვივარაუდოთ ოთხთავის ტექსტის გადაწერა ორი პირის მიერ. კითხვა იბადება: შესაძლებელია თუ არა ამ ტექსტების მომდინარეობა სხვადასხვა ხელნაწერიდან? ეს შესაძლებლობა გამოირიცხულია, ვინაიდან A-89 და A-844 ხელნაწერების გადარეცხილი ტექსტები ერთმანეთს აესებებს და ამოკითხვისას თავის ან მუხლის დამთხვევას ადგილი არ ჰქონია.

პალიმფსესტების ამოკითხვის დროს შეინიშნა ისიც, რომ ადგილ-ადგილ ტექსტს ვაცხოველებულია (სტრიქონებს შორის ჩაწერილია იგივე წინადადება, რაც ძირითად ტექსტში ჩანს). მას რედაქტორის ხელი ეტყობა. ასეთი შემთხვევები დასტურდება: A-89, 13 r, 281 r, 329 r, 420 r, 355 r; A-844, გვ. 83. რამდენიმე ადგილას (სულ ოთხი შემთხვევაა) მოსალოდნელი ხანმეტი ფორმის ნაცვლად ჰაემეტი გვაქვს. ეს უკანასკნელი ასე იკითხება ტექსტში, მაგრამ საგულდაგულო გასინჯვისას ჰ ასოს ქვეშ გადაშლილი ხ-ს გრაფიკული მონახაზი გარკვევით ჩანს; ჰკლავე (/ / ხკლავე) 330 v; ჰრქუა (/ / ხრქუა) 281 r, 428 v, 440 v. ამ შემთხვევაშიც აშკარად იგრძნობა რედაქტორის ხელი. ეს პროცესი მოგვიანო პერიოდში უნდა ჩატარებულყო, როდესაც ხანმეტი ფორმა სალიტერატურო ენაში ჰაემეტით შეიცვალა. ე. ი. არა უადრეს VIII ს. და არა უგვიანეს XI საუკუნისა.

ხანმეტი ოთხთავის ტექსტის რედაქციული თავისებურებანი

ქართული სალიტერატურო ენის უძველესი პერიოდის ძეგლის, ხანმეტი ოთხთავის, წარმომავლობის შესახებ ჩვენამდე არაერთგვაროვნა არ შემონახულია, გარდა გიორგი მთაწმიდლის იმ ანდერძისა, რომელიც ზემოთ იყო მოხსენიებული. არც ის ვიცით, კერძოდ, როდის ან რომელი უცხოენოვანი წყაროდან ითარგმნა იგი.

ყველა მეცნიერი, ვინც კი ოთხთავის თარგმნის საკითხს შეჰხედა, მის ქართულ ენაზე გადმოღებას ქრისტიანული მწერლობის დასაწყის ხანას უკავშირებს. ყოველ ქრისტიან ერს — წერს კორნელი კეკელიძე — რომელსაც თავის ენაზე სასულიერო მწერლობა ჰქონია, იგი დაუწყია „საღმრთო წერილის“ ან პიბლიის თარგმნით. ვინაიდან ეს უკანასკნელი ლიტურგიკული პრაქტიკის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენდა, განსაკუთრებით ძველად, როდესაც ღვთისმსახურებაში პიშნოგრაფიული ელემენტი ჯერ კიდევ განვითარებული არ იყო, „საღმრთო წერილის“ გარეშე არავითარი წესის შესრულება არ შეიძლებოდა საზოგადოდ და ასე უნდა ყოფილიყო ჩვენშიაც. ბიბლიის წიგნებიდან, თავისთავად

²⁶ ა. შანიძე, ქართული ოთხთავის ორი ძველი რედაქცია, სამი შატბერდული ხელნაწერის მიხედვით, გვ. 040—041.

ცხადია, ყველაზე ადრე ქართულად დაეთინი და სახარება უნდა ეთარგმნათ²⁷. სახარების თარგმნა, ივ. ჭავჭავიძის აზრით, თუ უფრო ადრე არა, V საუკუნეში მაინც უნდა მომხდარიყო²⁸. მსგავსი მოსაზრება აქვს გამოთქმული ინგლისელ ქართველოლოგს დევიდ ლენგსაც. მკვლევარი სახარებას იმ პირველი შრომების რიგში ათავსებს, რომლებიც ითარგმნა საქართველოში V საუკუნის დასაწყისში²⁹.

ამ ვარაუდს მხარს უჭერს აგრეთვე ორიგინალური ლიტერატურულ-ისტორიული წყაროები. იაკობ ცურტაველის „შუშანიკის წამებაში“ (V ს.) ეკითხულობთ: „შუშანიკმა სენაკში დასახლებისას „თანა წარითანნა ე ე ა ნ გ ე ლ მ თვისი და წმიდანი იგი წიგნი მოწამეთანი“³⁰, ხოლო შიოსა და ევაგარეს ცხოვრების მეტაფრასულ რედაქციაში ნათქვამია, რომ ფარსმან მეფემ (რომელიც ცხოვრობდა VI საუკუნეში) შიომღვიმის მონასტრის შესწირა „სახარებაჲ ფრიად შუენიერად შემკობილი სანატრელისა მეთისა ვახტანგის მიერ“³¹.

ქართველებს V საუკუნეში რომ უკვე ჰქონდათ ოთხთავის ქართული თარგმანი, ამის ნათელი დადასტურებაა, ერთი მხრივ, ჩვენამდე მოღწეული პირველი ორიგინალური ნაწარმოები „შუშანიკის წამება“, რომელშიც დატულია ციტატები ოთხთავის ტექსტიდან³² და, მეორე მხრივ, ხანმეტი პალიმფსესტები. ეს ტექსტები უდავოდ ცხადყოფენ, რომ ამ დროისათვის ქართველები მეტად ნაყოფიერ ლიტერატურულ მუშაობას ეწეოდნენ: ქმნიდნენ არა მარტო ორიგინალურ ძეგლებს, არამედ თარგმნიდნენ მათთვის საჭირო ლიტერატურას უცხო ენებიდანაც. პალიმფსესტებში შემონახულია ფრაგმენტები ძველი და ახალი აღთქმიდან, მოწამეთა წიგნებიდან და სხვა³³. განსაკუთრებით მრავალადაა წარმოდგენილი ოთხთავის ტექსტის ფრაგმენტები.

ხანმეტი პალიმფსესტებში ოთხთავის ტექსტის შემცველი ოთხი ხელნაწერი გამოვლინდა. ამათგან სამი დატულია ხელნაწერთა ინსტიტუტის ფონდებში: A-89, A-844, H-999, ხოლო მეოთხე ვენის ნაციონალურ ბიბლიოთეკაში, Georg. 2³⁴.

ამ ოთხი ნუსხიდან წინამდებარე გამოცემას საფუძვლად დაედო A-89 და A-844 ხელნაწერების ტექსტები, რადგან ისინი, როგორც აღინიშნა, ერთი ვადარეცხილი ხელნაწერის ნაწილებია და მოცულობით ყველაზე დიდია. დანარჩენი სამი სულ რამდენიმე ფურცლისაგან შედგება. ამ ფრაგმენტებში წარმოდგე-

²⁷ კ. კეკელიძე, ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, I, 1980, გვ. 411—412.

²⁸ ივ. ჭავჭავიძის, ქართული პალეოგრაფია, გვ. 299.

²⁹ D. M. Lang, Recent Work on the Georgian New Testament, Bulletin of the School of Oriental and African Studies, University of London, XXIV.

³⁰ ძველი ქართული აგოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, I, (V—X სს.), ილ. აბულაძის რედაქციით, 1963, გვ. 16.

³¹ ძველი ქართული აგოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, III, მეტაფრასული რედაქციები, (XI—XIII სს.), 1971, გვ. 143.

³² ძველი ქართული აგოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, I, გვ. 12, 13, 24, 25, 27, 28.

³³ ივ. ჭავჭავიძის, ქართული პალეოგრაფია, გვ. 317—366; ა. ქსანიძე, ხანმეტი მრავალთავი, გვ. 98—159; ლ. ქაჩია, ხანმეტი პალეოგრაფიული კრებული, მრავალთავი, ფილოლოგიურ-ისტორიული ძიებანი, IX, 1981, გვ. 41—49.

³⁴ ივ. ჭავჭავიძის, დას. ნაშრომი, გვ. 321—358; ლ. ქაჩია, ერთი წარმოშობის ორი პალიმფსესტის შესახებ, მრავალთავი, ფილოლოგიურ-ისტორიული ძიებანი, III, 1973, გვ. 52—57; J. N. Birdsall, Khanmetl Fragments of the Sinoptic Gospels from Ms. Vind. Georg. 2, Oriens Christianus, B. 65, 1971, p. 62—89.

ნილ ტექსტებსა და A-89, A-844 ხელნაწერების ტექსტებს შორის თანხვედრი ადგილები ძალიან ცოტაა. რაც არის, იმის მიხედვით შეიძლება ითქვას, რომ ამ ნუსხათა ტექსტები ერთი ვერსიისაა. სხვაობა მინიმალურია, იგი უფრო ვარიანტული ხასიათისაა. ანალოგიური ვითარებაა წინამდებარე გამოცემასა და ხანმეტი ლექციონარში დაცულ ოთხთავის ტექსტს შორისაც.

ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხი, რომელიც ჩვენ მიერ გამოსაცემად მომზადებულ ტექსტთან დაკავშირებით ისმის, არის ის, თუ რას წარმოადგენს ხანმეტი ტექსტი და რა ურთიერთობაშია იგი აქამდე ცნობილ IX—X საუკუნეების ოთხთავებთან. სათანადო პასუხი რომ გავცეთ ამ კითხვას, ამისთვის მიზანშეწონილად ვცანით ხანმეტი ტექსტის შედარება ჩვენამდე მოღწეულ ოთხთავის თარიღიან ხელნაწერებთან: აღიშის (897 წ.) — C, ოპიზის (913 წ.) — A, ჭრუჭის (936 წ.) — D, პარხლის (973 წ.) — E, ბერთისა (998 წ.) — F და ტბეთის (995 წ.) — B³⁵.

წინამდებარე ტექსტის განმასხვავებელი ნიშანი ზემოაღნიშნული ხელნაწერებისაგან უპირველეს ყოვლისა, რა თქმა უნდა, არის ხანმეტობა. ხ პ რ ე ფ ი ქ ს ი ტ ე ქ ს ტ შ ი ს წ ო რ ე დ ი ქ გ ვ ე დ ე ბ ა, სადაც ეს ძველი ქართული ენის ნორმების მიხედვით არის მოსალოდნელი — მეორე პირის სუბიექტურ და მესამე პირის ობიექტურ პრეფიქსებად, ი-ნიან ვნებითებთან და უფროობითი ხარისხის ფორმებთან. ნორმიდან გადახვევას თითქმის ადგილი არა აქვს. თითქმისო, იმიტომ ვამბობთ, რომ დასტურდება თითო-ოროლა შემთხვევა, როდესაც მოსალოდნელი ნიშანი ზმნაში არ ჩანს: გ ა მ ო უ ც ხ ა დ ო ს (მ. 11, 27), მ ო ვ გ უ ა რ ე (მ. 17, 16), ხ ე დ ვ ი დ ე ს (მ. 27, 55; ი. 2, 23), დ ა ი მ ა რ ი ო ს (მრ. 9, 50), დ ა უ შ თ ე ს (მრ. 12, 19), დ ა უ შ თ ა (მრ. 12, 21, 22); უ კ რ დ ა ც ა (მრ. 15, 5). აღნიშნული ვითარება სემატ კითხვას: იმ დროისათვის, როდესაც ეს ხელნაწერი გადაიწერა (V—VI სს.), ცოცხალ ენაში ხომ არ იყო ხანმეტი ფორმების მერყეობა და გადამწერის ის ტექსტში მექანიკურად ხომ არ ეპარებოდა? ვინაიდან ცნობილია, რომ ენაში მომხდარი რაიმე ცვლილება უპირველეს ყოვლისა, აისახება სასაუბრო მეტყველებაში. ისლიტერატურო ენაში კი ის უფრო გვიან ჩნდება; ან ხომ არ არის გადამწერის მიერ უნებლიედ დაშვებული შეცდომა? მცდარი იკითხვისები ტექსტში საკმაოდ დასტურდება.

ხანმეტი ოთხთავი, როგორც ამას ქვემოთ დაეინახავთ, IX—X საუკუნეების ნუსხებთან ტექსტუალურ სიახლოვეს ამჟღავნებს. ცნობილია, რომ IX—X საუკუნეების ოთხთავები რედაქციულად ორ ჯგუფად იყოფა: ერთია C რედაქცია, რომელიც წარმოდგენილია ერთადერთი ნუსხით. აღიშის ოთხთავით; ხოლო მეორეა ის რედაქცია, რომელსაც ა. შანიძემ პროტოვულგატა უწოდა³⁶. იგი ასახულია ოპიზის, ჭრუჭის, პარხლის, ბერთისა და ტბეთის ხელნაწერებში. ვინაიდან ისინი ერთი რედაქციის ნუსხებია და ამათგან ოპიზის (A) ხელნაწერია ყველაზე ძველი (913 წ.), ამიტომ ჩვენ მათ პირობითად A ტიპის ხელნაწერები ვუწოდებთ.

ხანმეტი ტექსტის შედარებამ IX—X საუკუნეების ხელნაწერებთან გვიჩვენა, რომ ის თავიდან ბოლომდე ერთი რედაქციის შემცველი ტექსტი არ არის.

³⁵ ხელნაწერები მოხენიებულია თანამედროვე სემეტიკო გამოცემებში მიღებული ლიტერებით.

³⁶ ა. შ ა ნ ი ძ ე, ქართული ოთხთავის ორი ძველი რედაქცია, სამი შატბერდული ხელნაწერის მიხედვით, 1945, გვ. 08.

მასში გამოიყოფა ორი ფენა: პირველი ემსგავსება ადიშის ხელნაწერისას, ხოლო მეორე — პროტოვულგატას ანუ A ტიპის ხელნაწერების ტექსტს.

აღსანიშნავია, რომ ამ საკითხთან დაკავშირებით სამეცნიერო ლიტერატურაში სხვადასხვა აზრი არსებობდა: ივ. ჭავჭავიძის დაკვირვებით, ხანმეტი ოთხთავის რედაქციას, მცირეოდენი სხვაობით, მისდევს ადიშის ტექსტი³⁷. მსგავსავე აზრს გამოთქვამს რ. ბლეიკი³⁸. ს. კაკაბაძემ ივ. ჭავჭავიძის მიერ გამოქვეყნებული ხანმეტი ოთხთავის ფრაგმენტები შეუჯერა ადიშისა და ჭრუჭპარხლის რედაქციებს და გააკეთა ასეთი დასკვნა: ხანმეტი ტექსტები სახარებისა რედაქციულად უდგება ორივე ტიპის რედაქციით წარმოდგენილ ტექსტს. ყველა ეს ტექსტი (იგულისხმება ის ნაწყვეტები, რომლებიც ამოკითხულია A-89 ხელნაწერიდან — ლ. ქ.), გარდა H-999 და A-844 ხელნაწერებიდან ამოღებული ნაწყვეტებისა, მცირეოდენი ვარიანტების გარეშე, სიტყვა-სიტყვით უდგება ჭრუჭისა და პარხლის სახარებების ტექსტებს, ხოლო H-999 და A-844-ის ნაწყვეტები მიეკუთვნება იმავე ტიპის რედაქციას, როგორც ადიშის ხელნაწერშია წარმოდგენილი³⁹. ამავე აზრისაა ა. შანიძე⁴⁰.

ს. კაკაბაძის დებულება ხანმეტი ტექსტების სხვადასხვა რედაქციულ შედგენილობაზე მართებულია, მაგრამ არ შეიძლება ერთმანეთისაგან გაიმიჯნოს A-89 და A-844 ფრაგმენტები. ეს არ არის ორი ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი ხელნაწერების ნაწყვეტები. ისინი, როგორც ერთი საერთო ნუსხიდან მომდინარენი, ერთმანეთს ავსებენ. ასე რომ A-89 და A-844 ხელნაწერებიდან ამოკითხული მასალა, ორივე ერთად, ტექსტის ერთ გარკვეულ მონაკვეთში ადიშის რედაქციის ტოლფარდი ჩანს, ხოლო მეორე მონაკვეთში — A ტიპის ხელნაწერებისა. სათანადო მასალის ჩვენებით ჩვენ შევეცდებით უფრო გარკვევით წარმოვადგინოთ დამოკიდებულება ხანმეტი ტექსტისა აქ დასახელებულ რედაქციებთან.

ხანმეტი ოთხთავის ტექსტს ადიშის რედაქციასთან საერთო აღმოაჩნდა მათეს თავის დასაწყისი: 5, 18—11, 7 (ჩვენ მიერ ამოკითხული ტექსტი ამ ნაწილიდან იწყება). მათეს სახარების ტექსტი ჩვენამდე პირველი თავიდანვე რომ მოღწეულიყო, ვფიქრობთ, მასაც მომდევნო თავების მსგავსად, ბევრი რამ ექნებოდა საერთო ადიშის ტექსტთან. რაც შეეხება მათეს სახარების დანარჩენ თავებს, აქ მდგომარეობა იცვლება. მათეს მე-11 თავის მე-8 მუხლიდან მოყოლებული ბოლომდე ადიშის ტექსტი ხანმეტი რედაქციულად სცილდება და იგი, როგორც დამოუკიდებელი, ცალკე დგება. ეგვევ ითქმის მარკოზის, ლუკას ძირითადი ნაწილისა (1, 1—3, 8; 15, 7—17, 24; 23, 3—24, 53) და იოვანეს თავების შესახებაც. ხანმეტი ტექსტი ამ შემთხვევაში უფრო მეტ სიახლოვეს A ტიპის ხელნაწერებთან ამჟღავნებს. აზრის ნათელსაყოფად მასალას წარმოვადგენთ გარკვეული თანამიმდევრობით.

ხანმეტისა და ადიშის ტექსტების თანხვედრილი ადგილების გამოწვლილვითმა შესწავლამ გვიჩვენა, რომ სახარების ტექსტის ეს ნაწილი ორსავე

³⁷ ივ. ჭავჭავიძე, ქართული პალეოგრაფია, გვ. 202.

³⁸ R. P. Blake. The Old Georgian Version of the Gospel of Mark, *Patrologia Orientalis*, T. XX, Fasc. 3, 1928, p. 449.

³⁹ ს. კაკაბაძე, სახარების ქართულ თარგმანთა შესახებ მე-5—6 საუკუნეში ხანმეტი ტექსტთან დაკავშირებით, *საისტორიო ძიებანი*, 1924, გვ. 7.

⁴⁰ ა. შანიძე, *დასახ. ნაშრომი*, გვ. 08—09.

ვერსიაში ერთნაირია, არის განსხვავებანიც, მაგრამ ის ძალზე მცირეა და არც არის მოულოდნელი, ვინაიდან სულ მცირე სამი საუკუნის მანძილზე ძეგლი არაერთხელ გადაწერილა და არ შეიძლება ამ პროცესში მას ცვლილება არ განეცადა. მითუმეტეს ცნობილია, რომ ქართული ოთხთავის ტექსტს ბევრჯერ განუცდია რევიზია. მიუხედავად ამისა, ხანმეტ-ადიშის ტექსტებს ბევრი რამ აქვს საერთო:

1. უპირველეს ყოვლისა მათში დაცულია ისეთი საერთო ლექსიკური ერთეულები, რომლებიც სხვა ოთხთავების ტექსტებში არ დასტურდება. ეს გარემოება საფუძველს გვაძლევს ვივარაუდოთ, რომ ადიშის ოთხთავს შემოუნახავს უძველესი ფენა ქართული ოთხთავისა. საილუსტრაციოდ ხანმეტ-ადიშის (XC) საერთო იკითხვისების პარალელურად A ტიპის ხელნაწერთა იკითხვისებიც მოგვყავს:

X C	A
სასწაული	რქა (მ. 5, 18).
შეურაცხ	უმრწემეს (მ. 5, 19).
შესულეზულ	რაკა (მ. 5, 22).
განთეთრებულ	განსპეტაკებულ (მ. 5, 36).
შემძლებულ ხარ	ძალ-გიც (მ. 5, 36).
ეშმაკისაგანი	უკეთურისაგან (მ. 5, 37).
ფიჩყა	სამოსელიცა (მ. 5, 40).
თავყუანის-ხცემდე (-სცემდე C)	ილოციდე (მ. 6, 6).
ორგულნი	წარმართთაგანი (მ. 6, 7).
დახილებთ	დაიუნჯებთ (იუნჯებთ BEF) მ. 6, 19.
კორცთამ	გუამისამ (მ. 6, 22).
ჯერკუალსა	ხენეშსა (მ. 7, 18).
ბრძენსა	გონიერსა (მ. 7, 24).
ხეცნეს (ეცნეს C)	ეკუეთნეს (მ. 7, 25, 27).
სწავლა	მოძღურება (მ. 7, 28).
განბოკლებული	კეთროვანი (მ. 8, 2).
ხეკრძალე (ეკრძალე C)	იხილე (მ. 8, 4).
მსხუერპლი	შესაწირაეი (მ. 8, 4).
ყრმა	მონამ (მ. 8, 6).
ნაშობნი	ძენი (მ. 8, 12).
კუართი	სამოსელსა (მ. 10, 10).
არგანი	კუერთხსა (მ. 10, 10).
მოქმედი	ძუშაკი (მ. 10, 10).
საზრდელისა	სასყიდელისა (მ. 10, 10).
პირვეულთა	გლახაკთა (მ. 11, 5).

ამ ორი რედაქციის ლექსიკური სხვაობანი მიანიშნებს, რომ ისინი სხვადასხვა მთარგმნელის ხელიდან უნდა იყოს ვამოსული. ზოგჯერ მთარგმნელი უთარგმნელადაც ტოვებს რომელიმე სიტყვას. ამის კარგი ნიმუშია ხანმეტ ტექსტში დადასტურებული სიტყვა შ ე ს უ ლ ე ბ უ ლ, რომელსაც A ტიპის ხელნაწერებში რაკა შეესატყვისება. ეს უკანასკნელი ბერძნული დედნიდან ჩანს უთარგმნელად გადმოტანილი. ამ უცხო სიტყვას იქვე მოსდევს მთარგმნელის

განმარტება: „რ ა კ ა, რომელ არს საძაგელ“. ამ სახითაა ეს ფრაზა დადასტურებული X—XI საუკუნეების ყველა ოთხთავში. რ ა კ ა არამეული წარმოშობის სიტყვაა და ნიშნავს ცარიელ ადამიანს ანუ სულელს. ხანმეტი ტექსტის მთარგმნელს იგი შეესაბამებულად უთარგმნია. ასეთ იკითხვის, IX—X საუკუნეების ხელნაწერებიდან, მხოლოდ აღიშის ოთხთავი უკერს მხარს:

X C

რომელმან ჰრქუას (ჰრქუას C) ძმასა თვისა: შეესაბამებულ, თანა-მღებ ბიყოს (იყოს C) იგი კრებულისა.

A

რომელმან ჰრქუას ძმასა თვისა: რ ა კ ა, რომელ არს საძაგელ, თანა-მღებ არს იგი კრებულისაგან (კრებულით F) (მ. 5, 22).

შდრ.: მც ბ' მუ ელჟუ რჳ ძმელჳფ აბთინ, 'P α κ α, ლოიჯ ლთაი რჳ თხენრჳფ.

2. ხანმეტსა და აღიშის ოთხთავებს მათეს თავის დასაწყის ნაწილში რომ არსებითად ერთი ტექსტი უძველესად, ეს კარგად ჩანს ამ ნუსხათა და A ტიპის ხელნაწერთა იკითხვისების შეპირისპირებისას:

X C

ნუ ხუჯღებით (უკღებით C) ბოროტსა.

A

არა წინააღდგომად ბოროტსა (ბოროტისა DE), მ. 5, 39.

არა მეზუერეთაჲ ეგრევე (ეგრე C) ყვიანა (ყვიან C).

რამეთუ მეზუერენიცა და ცოდვილინი ამასევე (ამას A) ჰყოფენ (მ. 5, 46).

ნუ ხიქმთ ((იქმთ C) წინაშე კაცთა სახილველად.

რამათა არა ჰყოფდეთ (ჰყოთ BDE, ყოთ F) წინაშე კაცთა სახილველად (მ. 6, 1).

ხოლო შენ რაჲამს ქველს ხიქმორი (იქმორი C).

ხოლო შენ რაჲამს ჰყოფდე ქველის საქმესა (მ. 6, 3).

არამედ დახიღებდით (დაიღებდით C) თქუენ საფასეთა ცათა შინა.

ხოლო თქუენ იუნჯებდით საუნჯეთა თქუენთა (—BF) ცათა შინა (მ. 6, 20).

რამეთუ მეცა კაცი ვარ, და საბრძანებელად ჩემდა არიან ერისა კაცნი.

რამეთუ მეცა კაცი ვარ ქელმწიფებასა ზელა და მქონან ჩემ ქუეშე ერისაგანნი (მ. 8, 9).

რომელსა ქალაქსა შეხვდეთ ანუ დაბასა, გამოიხიოთხეთ (გამოიკითხეთ C), რომელი მას შინა ღირს ხიყოს (იყოს C).

რომელსა ქალაქსა ანუ რომელსა (—BF) დაბასა შეხვდეთ, გამოიკითხეთ, ვინ ღირს (ღირსი ABF) იყოს (მ. 10, 11).

3. საანალიზო ტექსტში A ტიპის ხელნაწერებთან შედარებით მუხლი ზოგჯერ უფრო შემოკლებულია ან გაგრცობილი. ანალოგიური ვითარება დასტურდება აღიშის ნუსხის შესაბამის ადგილებშიც, შდრ.:

X C

გასმიეს, რამეთუ თქუმულ არს: არა ხიმრუშო (იმრუშო C).

A

გასმიეს, რამეთუ ითქუა პირველთა მათ მიმართ, ვითარმედ (—BF): არა იმრუშო (მ. 5, 27).

რამეთუ ხიყო (იყო C) იგი (—C) სწავლად მათა კელმწიფე და არა ვითარ (ვითა C) მწიგნობარნი მათნი.

რამეთუ იყო სწავლად იგი (—B) მისი მათა მიმართ, ვითარცა-იგი ვის აქუნ კელმწიფება (კელმწიფება აქუნ BF) და არა ვითარ-იგი (ვითარ E) მწიგნობარნი მათნი და ფარისეველნი (—BF), მ. 7, 29.

გამოხიკითხეთ (გამოიკითხეთ C), რომელი მას შინა ღირს ხიყოს (იყოს C).

გამოიკითხეთ, ვინ ღირს (ღირსი ABF) იყოს (მ. 10, 11).

4. XC აღწერით ფორმებს A-ში ხშირად ორგანული ფორმები ენაცვლება:

XC

A

გასმიეს სამე, რამეთუ თქუმულ არს.

გასმიეს, რამეთუ ითქუა (მ. 5, 21).

და რაჟამს ხილოცვიდე (ილოცვიდეთ C), ნუ მრავლის მეტყუელ ხარ (ხართ C).

და რაჟამს ილოცვიდეთ, ნუ მრავალსა იტყუთ (მ. 6, 7).

ვითარმედ მრავლის მეტყუელებითა მით მათითა სასმენელ ხიყოს (იყოს C).

ვითარმედ მრავლის მეტყუელებითა მათითა ისმინოს მათი ღმერთმან (ღმერთმან —BF), მ. 6, 7.

5. XC საერთო ნაწილში რომ ერთი წარმოშობისაა, ამას თვალნათლივ წარმოაჩენს ის ერთნაირი შეცდომები, რომლებიც ორსავე ნუსხაში დასტურდება, შდრ.:

XC

A

ა. ყოველი ხმ არა (+გამომღებელი C) ნაყოფისა კეთილისაა, მოხიკუეთოს (მოიკვეთოს C) და ცეცხლთა დახედვას (დაედვას C).

ყოველმან ხემან რომელმან არა (არა-A) გამოიღოს (ყოს B) ნაყოფა კეთილი. მოეყუეთოს და ცეცხლსა დაედვას (მ. 7, 19).

ცეცხლთა დახედვას (ანუ ცეცხლებზე დაიდოს) სტილისტურად გაუმართავია. ეს შეცდომა, როგორც ვხედავთ, ორსავე ნუსხაშია წარმოდგენილი. A ტიპისა და მომდევნო ხანის (იგულისხმება გიორგი მთაწმიდლის რედაქცია)⁴¹ ხელნაწერებში, ყველგან, იკითხება ცეცხლსა დაედვას. ასევეა ბერძნულშიც: εἰς πῦρ βέβληται.

ბ. ხანმეტო ტექსტში ზმნა ხრქუა (მ. 7, 23) შეცდომით მესამე პირშია დასმული. კონტექსტის მიხედვით იგი პირველ პირში უნდა იყოს მოცემული. მისი სწორი იკითხვისი იქნებოდა ხუ რქუა და არა ხრქუა. ანალოგიური ვითარებაა აღიშნის ოთხთავშიც. ა. შანიძე გამოცემაში ამ ფორმას ასწორებს. მისი არასწორი ვარიანტი ჩააქვს სქოლიოში⁴². A ტიპის ყველა ხელნაწერშია ვპრქუა, შრდ.:

XC

A

მაშინ ხრქუა (პრქუა C) მათ, ვითარმედ: არასადა გიცოდენ (ვიცნოდენ

და (—BF) მას ეამსა შინა (—ABF) ვპრქუა (ერქუა E) მათ, ვითარმედ:

⁴¹ იხ. ივ. იმნაიშვილი, ქართული ოთხთავის ორი ბოლო რედაქცია, 1979, გვ. 279.

⁴² ა. შანიძე, ქართული ოთხთავის ორი ძველი რედაქცია, გვ. 21.

C) თქვენ, განმეზოვრენით (განმეზო-
რენით C) ჩემგან ყოველნი მოქმედნი
უშჯულოებისანი (უშჯულოებისანი C).

არა გიცი (გიცნნი B) თქვენ (—DE).
განმეზოვრენით (განმეზოვრენით B)
ჩემგან ყოველნი მოქმედნი უშჯულო-
ებისანი (უშჯულოებისანი BDE).

გ. ხანმეტ ტექსტში ასევე არასწორადაა წარმოდგენილი ობიექტის ბრუნ-
ვა (მ. 10. 9-10). კონტექსტის მიხედვით სახელი ზნას მიცემით ბრუნვაში უნდა
შეთანხმდეს. ტექსტში კი ის სახელობით ბრუნვაშია დასმული. ასევეა აღნიშნ
ოთხთავშიც:

X C

ნუ მოხილებთ (მოიგებთ C) ოქროსა,
ნუცა ვეცხლსა, ნუცა სპილენძსა (პი-
ლენძსა C) სარტყელთა თქვენთა, ნუ-
ცა გუდაა გზასა, ნუცა ორი კუარ-
თი, ნუცა კამლი (კამლნი C), ნუცა
არგანა...

A

ნუ მოილებთ (მიილებთ BD) ოქროსა,
ნუცა ვეცხლსა (ვეცხლისა D), ნუცა
რეალსა (—BD) სარტყელთა თქვენთა,
ნუცა ვაშკარანსა გზასა ზედა,
ნუცა ორსა სამოსელსა, ნუცა
კამლთა (კამლსა DF), ნუცა კუ-
რთხსა...

6. ხანმეტ-აღნიშნის ტექსტების სიახლოვეზე მეტყველებს კიდევ ერთი ფაქ-
ტი. აღნიშნის ოთხთავში ვკითხულობთ: „რამ გიქმს თქვენ თხოვადმდევე
თქვენდა მისგან“. ხანმეტ ტექსტში კი იკითხება: „რამ გიქმს თქვენ, ვიდრე
თხოვადმდევე თქვენდა მისგან“ (მ. 6, 8). ხაზგასმულ სიტყვასთან აღნი-
შნის ტექსტის გადასწერს თუ მის წინამორბედს, ვე ნაწილაკი გაუგია როგორც
ვიდრე კავშირი და თავზე ქარაგმა დაუსვამს. მაგრამ წინადადებაში თავს
იყრიდა ორი „ვიდრე“, ამიტომ წინამაგალი ამოუგდია. ა. შანიძეს აღნიშნის
ტექსტის გამოცემისას ქარაგმა ზედმეტად მიუჩნევია და მოუშლია. ხელნა-
წერის იკითხვისი ჩაუტანია სქოლიოში, ხოლო ტექსტში დაუტოვებია სიტყვა
ვე ნაწილაკდართლი: თხოვადმდევე. სქოლიოში გაუკეთებია შენიშ-
ვნა: „ვე-ს ქარაგმა უზის თავზე, მაგრამ ის ზედმეტი ვეგონია“⁴³. მართლაც, ის
რომ ზედმეტია, ეს დაადასტურა ხანმეტი ოთხთავის ჩვენებამ. აღნიშნული სი-
ტყვა ვე ნაწილაკდართლი მხოლოდ ხანმეტ-აღნიშნის ტექსტებში დადასტურ-
და. A ტიპისა და მომდევნო საუკუნეების ნუსხებში იგი იხმარება ნაწილაკის
გარეშე: თხოვადმდე.

ამრიგად, მოხმობილი ფაქტების საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ
დროის სხვადასხვა მონაკვეთში გადაწერილი ეს ორი ნუსხა, მათეს თავის და-
საწყის ნაწილში, ერთი ვერსიისაა. მათ ერთი არქტიპი უძველეს საფუძველად.
მიუხედავად ამისა, ეს ტექსტები იდენტური მაინც არ არის. ზოგჯერ ისინი
ერთმანეთს სცილდებიან:

1. აღნიშნის ოთხთავში, მთელი ტექსტის მანძილზე, საყოველთაოდ ცნობი-
ლი ფრაზა — ამენ გეტყუთქვენ (ამჟი ლეყა სჟიყ) წარმოდგენილია მარ-
თლიად გეტყუთქვენ ფორმით. ხანმეტ ოთხთავში კი პირველი ფორ-
მა იხმარება.

2. ხანმეტი ტექსტის ზოგიერთ მუხლს ((მ. 5,19; 6,22; 7,6; 8,9) აკლია წი-
ნადადება. იგი გადამწერის მიერ, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, უნებლიეთაა გა-

⁴³ ა. შანიძე, ქართული ოთხთავის ორი ძველი რედაქცია, გვ. 16.

თი ვერსიისაა, თუმცა მათ შორის ტექსტობრივ მსგავსებასთან ერთად გამოვლინდა განსხვავებანიც: ეს უკანასკნელი კი აღიშნის ტექსტის შემდგომი გადამუშავების შედეგი ჩანს. აღიშნის ოთხთავის დედანი თუ მისი წინამორბედი უნდა მომდინარეობდეს იმ საერთო არქეტიპიდან, საიდანაც არის გადაწერილი ხანმეტი ტექსტიც. აღიშნის ოთხთავისათვის რომ ამოსავალია ხანმეტი ტექსტი, ამაზე მეტყველებს კიდევ ერთი ფაქტი — ტექსტში ხანმეტი ფორმების პრსებობა, რომელიც არაერთხელ იქნა შენიშნული მკვლევართა მიერ. პირველად მას ივ. ჭავჭავაძემ მიაქცია ყურადღება და აღნიშნა, რომ აღიშნის ხელნაწერის გადამწერს ხელთ ხანმეტი სახარების ტექსტი უნდა ჰქონოდა. ამის ერთ-ერთ არგუმენტად მას მოჰყავს ფრაზა იოვანეს თავიდან 21, 14: ესე სამ გზის განხეცად იესუ მოწაფეთა მათ. „ზმნა განხეცხადაში ხ-ანი გადამწერს წაუშლია, წერს მკვლევარი, მაგრამ მისი ნაალაგევი გარკვევით მოჩანს. ეტყობა დედანში გადამწერს ამოუკითხავს განხეცხადა... მაგრამ შემდეგ, ალბათ გადამწერის გადაკითხვის დროს, თავისი გულმაღვიწყობის შეცდომა შეუმჩნევია და ხ-ანი წაუშლია“⁴⁵.

აღიშნის ოთხთავის ტექსტში რამდენიმე შემთხვევა დადასტურდა, როდესაც წინადადებაში ხოლო კავშირის ხმარება გაუმართლებელია. ამის მიზეზი ვახლავთ ის, რომ ხანმეტი ტექსტში გამოყენებული პრეფიქსი ხ შემდეგდროინდელი გადამწერების მიერ ზოგჯერ გააზრებულია როგორც შემოკლებული ფორმა ხოლო კავშირისა, რომელიც ძველ ქართულ წერილობით ძეგლებში იწერება დასაწყისი ასოთი, თავზე ქარავმით ხ^ჲ. ამიტომაც, რომ ხოლო კავშირი ზოგჯერ იქ გვაქვს, სადაც არაა მოსალოდნელი. ამას ადასტურებს არა მარტო სხვა ნუსხათა იკითხვისები, არამედ უცხო ენათა მონაცემებიც (ბერძნულ-სომხური).

ეს გარემოება აღიშნის ოთხთავში ჭერ კიდევ ა. შანიძემ შენიშნა რამდენიმე ათეული წლის წინ და ამ საკითხს სპეციალური წერილიც მიუძღვნა⁴⁶. ჩვენ აქ მხოლოდ დავემატებთ ისეთ მაგალითებს, რომლებიც წერილში არ არის ასახული:

X

ხერძალენით ქველის საქმესა
თქუენსა.

C

ხ^ჲერძალენით ქველის საქმესა
თქუენსა (მ. 6, 1).

შტრ.: ეკრძალენით ქველის საქმესა თქუენსა A.

ეკრძალენით ქველის საქმესა

ეკრძალენით ქველის საქმესა

ხითხოვდით, და მოგეცეს
თქუენ.

ხ^ჲითხოვდით, და მოგეცეს
თქუენ (მ. 7, 7).

შტრ.: ითხოვდით, და მოგეცეს თქუენ A.

ითხოვდით, და მოგეცეს

ითხოვდით, და მოგეცეს

⁴⁵ ივ. ჭავჭავაძის კართული პალეოგრაფია, გვ. 302—303.

⁴⁶ A. G. Шანიძე, Переживания ханитных форм в грузинских рукописях IX—X—XI веков, Сообщения грузинского филиала АН СССР, т. 1, № 3, 1940, с. 237—240.

2. ფ რ ა ზ ე ო ლ ო გ ი უ რ ი ს ხ ე ა ო ბ ა ნ ი :

X A

რამეთუ ესე არს, რომლისათჳს წერილ არს: აჰა ესერა (+მე E) წარველინო ანგელოზი ჩემი წინაშე შენსა, რომელმან განხმზადნეს (განმზადნეს A) გზანი შენნი წინაშე პირსა (—B) შენსა.

იცონდა (იცონდა ADEF, იცონდა B) იესუ ზრახვანი (+იგი ABDE) გულისა მათისანი და ხრქუა (პრქუა A) მათ: ყოველი მეუფებამ, რომელი განხველთის (განვეთის A) თავსა თჳსსა, მოოჯრდის; და ყოველი ქალაქი გინა სახლი, რომელი განხველთის (განვეთის A) თავსა თჳსსა, ვერ დახემტკიცოს (დაემტკიცოს ABF, დაემტკიცოს DE).

და (ხოლო ADEF) რომელმან დააპრკოლოს (დააპრკოლოს ADEF) ერთი მცირეთა ამთავანი ჩემდა მომართ მორწმუნეთაჲ, ხუმჯობეს (უმჯობეს AB, უმჯობეს DEF) არს მისა, რაათა (—A) დამოიკიდოს (დამო-თუ-იკიდოს ABDF, მო-თუ-იკიდოს E) ფქვილი (+ ერთი ADEF) ვირით საფქველი ქედსა და დახითქას (დაინთქას ADEF, დაითქას B) იგი უფსკრულსა ზღუსასა (უფსკრულთა ზღუსათა ADEF).

რამეთუ მსგავს არს სასუფეველი ცათაჲ კაცსა სახლისა უფალსა, რომელი განვიდა თანაჲ (—A) განთიად სასყიდლით (—A) დაღვინებულ მუშაკთა ვენაჲსა თჳსსა.

ხოლო ესემცა ხიციტ (იციტ A): უკუეთუმცა უწყოდა სახლისა (სახლის D) უფალმან, რომელსა ეამსა მპარავი მოსლევად არს, იღვებდამცა და არა ხუტევა (უტევა A) დათხრად (+ გუერდი A) სახლი თჳსი (სახლისა თჳსისაჲ A). ამისთჳს თქუნცა ხიყვენით (იყვენით A) განმზადებულ, რამეთუ რომელსა ეამსა არა ხგონებდეთ (ჰგონებდეთ A), ძე კაცისაჲ მოვიდეს.

C

რამეთუ ესე არს, რომლისათჳს იგი წერილ არს: აჰა წარველინებ ანგელოზსა ჩემსა წინაშე პირსა შენსა, და განმზადოს გზაჲ შენი წინაშე პირსა შენსა (მ. 11, 10).

ვითარ ცნა იესუ ზრახვია იგი მათი, პრქუა მათ: ყოველი სამეუფოჲ, გავთული თავსა ზედა მისსა, ალოჯრდის; და ყოველი ქალაქი ანუ სახლი, განყოფილი თავსა ზედა თჳსსა, ვერ დადგეს (მ. 12, 25).

ხოლო რომელმან აცთუნოს ამათ მცირეთავანი ერთი, რომელთა ეპრწამ მე, უმჯობე არს მისა დამო-თუმცა-ეკიდა მას ფქელი ვირით საფქველი ყელსა მისსა და შთა-მცა-ვარდა უფსკრულთა ზღუსათა (მ. 18, 6).

რამეთუ მსგავს არს სასუფეველი ცათაჲ კაცსა მამასახლისსა, რომელ გამოვიდა განთიადითგან დაღვინებულ მოქმედთა საყურძენსა თჳსსა (მ. 20, 1).

იგი უწყოდეთ, რამეთუ უწყოდა თუმცა მამასახლისმან, რომელსა ეამსა მპარავი მოვიდოდა, არამცა უფლო დათხრად სახლისა თჳსისა.

ამისთჳს თქუნცა მზა იყვენით, რამეთუ რომელსა არა ჰგონებდეთ ეამსა, ძე კაცისაჲ მოვიდეს (მ. 24, 43-44).

და ესენი ვითარცა წარვიდეს,
და აჰა ესერა დასისა მისგანნი
შევიდეს ქალაქად და ხუთხრეს
(უთხრეს A) მღღელთ მოძღუარათა
მათ ყოველი (ყოველივე BF, + ესე
ADEF), რააცა ხიქმნა (იქმნა A).
ხოლო ივინი შეკრბეს მოხუცებულთა
თანა და ზრახვა-ყვეს, ვეცხლი დ ი დ
ა ლ ი (—E) მიხცეს (მისცეს ABEF,
მისცეს D) ერისაგანთა (ერისგანთა
D) მათ.

და ვითარ-იგი წარვიდეს, მუნქუეს
ოდენ დასისა მისგანნი ვინმე
მოვიდეს ქალაქად და მიუთხრეს
მღღელთ მოძღუარათა მათ ყოველივე,
რააცა-იგი იქმნა.

და შეკრბეს მღღელთ მოძღუარნი
იგი მოხუცებულებითურთ, ზრახვა-ყვეს.
ვეცხლი დიდძალი მისცეს ერისაგანთა
მათ (მ. 28 ,11-12).

3. X-სა და A-ს მსგავსებას ადასტურებს აგრეთვე შემდეგი გარემოებაც.

ა. მათეს სახარების მე-18 თავში XA ნუსხებს აკლია მე-11 მუხლო. ჩვენ მიერ განხილულ ნუსხათაგან იგი მხოლოდ C-მ შემოგვიინახა⁴⁷. ეს მურლი, სახარების ტექსტის კომენტატორთა აზრით, მათეს თავში მერმინდელ ჩანამატს წარმოადგენს და გადმოსულია ლუკას 19, 10 მუხლიდან⁴⁸. მართლაც, როგორც ეს ჩანს ბერძნული ოთხთავის გამოცემაში, მ. 18, 11 მუხლი ადრეულ ბერძნულ ნუსხებშიაც (ივლიოსზემა სინური და ვატიკანური IVს.) არ დასტურდება. ბერძნულში იგი V—VI საუკუნეებისა და მოგვიანო პერიოდის ძეგლებში ჩნდება⁴⁹. იგი მოეპოვება სომხურსაც. ხომ არ შეიძლება ვივარაუდოთ, რომ საანალიზო ტექსტის დედანი ანუ არქეტიპი საჩვენებლობდა სინურ ან ვატიკანურ ნუსხასთან ახლო მდგომი ტექსტით? გადაჭრით ამის მტკიცება ძნელია. რადგან ეს საკითხი უფრო ღრმად შესწავლას მოითხოვს. ვიტყვი მხოლოდ ერთს: საანალიზო ტექსტი სინურსა და ვატიკანურ ნუსხებს სხვა შემთხვევაშიც უპერს მხარს. ასე მაგალითად: „მოვედით და იხილეთ ადგილი მისი, სადა და დ ვ ე ს ი გ ი“ (მ. 28, 6). აღნიშნული მუხლი A ტიპის ხელნაწერებშიც ასევე იკითხება, ოღონდ მას აკლია კუთვნილებითი ნაცვალსახელი „მისი“. C რედაქციაში კი ვკითხულობთ: „მოვედით და იხილეთ ადგილი იგი, სა და ი დ ვ ა უ ფ ა ლ ი“. განსხვავებული იკითხვისების წარმოჩენა აქ და მსგავს შემთხვევებში წყაროთი უნდა იყოს გაპირობებული. ბერძნულ ნუსხებშიც ეს ადგილი სხვადასხვანაირად არის წარმოდგენილი: *მῆτε ἐκεῖ τὸν τόπον ἃου ἔκειτο: ἔπειτα ἐκεῖ τὸν τόπον ἃου ἔκειτο ἃ ἀπὸ:δ*. პირველ იკითხვისს იძლევა სინური და ვატიკანური ნუსხები (IV ს.), ხოლო მეორეს—V—VI საუკუნეების ნუსხებში⁵⁰.

ბ. მ. 28, 18 მუხლს XA რედაქციაში, C-სთან მიმართებით, აკლია ბოლო ნაწილი: „ვითარცა მომავლანა მე მამამან, მეცა წარგავლინებ თქუნე“⁵¹. იგი არ დასტურდება არც გიორგი მთაწმიდლის რედაქციაში და არც ბერძნულის ნუსხებში. ქართულში გვაქვს მხოლოდ C-სა და ეფთვიმე მთაწმიდლის რედაქციაში⁵²: მოეპოვება სომხურსაც: *որպէս առաքևայ զիս հայր, և ես առաքեմ*

⁴⁷ მ. 18, 11 მუხლი დასტურდება ეფთვიმესა და გიორგი მთაწმიდლის რედაქციებშიც (იხ.

ივ. იმნაიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 319).

⁴⁸ ა. შანიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 040.

⁴⁹ K. Aland, M. Black.... დასახ. ნაშრომი, გვ. 68.

⁵⁰ Ibid., p. 115.

⁵¹ ივ. იმნაიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 364.

ფიხგ. მუხლის ამ ბოლო ნაწილს მიიჩნევენ იოვანეს თავის 20, 21 მუხლიდან გადასულად⁵²:

X A

და (—BEF) მოხუცდა (მოუცდა ABEF, მოუცდეს D) მათ იესუ, ხეტყოდა (ეტყოდა A) მათ და ხრქუა (ხრქუა A): მომეცა მე ყოველი კელმწიფებამ ცათა შინა და ქუეყანასა ზედა.

C

და მოუცდა მათ იესუ, ეტყოდა მათ და ჰრქუა: მოცემულ არს ჩემდა ყოველი კელმწიფებამ ცათა შინა და ქუეყანასა ზედა. ვითარცა მომეცა მე მამამან, მეცა წარგავლინებთქვენ.

შტრ.: καὶ παραελθὼν ὁ Ὁἰησινεζ βλάφησεν αὐτοῖς λέγων, Ὁ Ἐξὸς μοι παῖσα βῆουσι: εἰς οὐρανὸν καὶ ἔπι τῆς γῆς.

4. XA ნუსხები C რედაქციის ტექსტთან შედარებით ერთნაირად უმატებს ან აკლებს სიტყვებს აპა+ესერა XA (მ. 11, 10); რომლისაა ხუნდეს ძესა გამოცხადების+გამოუცხადოს XA (მ. 11, 27); და შკული (+ ვიდრე XA) იოჰანესამდე წინაწარმეტყუელბდეს (მ. 11, 13); ესე არა განხასხას ეშმაკთა (+ გარნა XA) ბელზებულითა (მ. 12, 24); არა დახნერგა მამამან (+ ჩემმან XA) ზეტათამან (მ. 15, 13); არარამ პოვა+მას შინა XA (მ. 21, 19).

წინაშე პირსა (—XA) შენსა (მ. 11, 10); თავადი (—XA) არს ელია მ. 11, 14; სასუფეველსა მას შინა (—XA) მ. 11, 11; ესე არს ქრისტე (—XA), ძმ იგი (—XA) დავითისი (მ. 12, 23); რომელმან-იგი (—XA) გამოილის (მ. 13, 52); მოილეს ლერწამი იგი (—XA) მ. 27, 30; თქუა. ვითარმედ (—XA) მ. 21, 37.

მიუხედავად ზემოთყვანილი მაგალითებისა, XA ნუსხათა ტექსტები იდენტური მიიჩნევიან არ არის. მათ შორისაც შეიმჩნევა განსხვავებული იკითხვისები: ა. ერთი ვერსიის ეს ნუსხები ცნებას ზოგჯერ სხვადასხვა ლექსიკური ერთეულით გამოხატავენ. ბ. არის შემთხვევა, როდესაც ხანმეტი ტექსტის განსხვავებული იკითხვისი პარალელს C რედაქციის ტექსტთან პოულობს:

X

აპა ესერა ღრუბელი ნათლისაა ზფარვიდა მათ და კჳამ ხიყო ღრუბლით გამო.

A

აპა ესერა ღრუბელი ნათლისაა აგრილობდა (ჰფარვიდა BF) მათ და კჳამ იყო ღრუბლით გამო (მ. 17, 5).

შტრ.: νεφελῆ φωνεῖ ἡ χερουβὶμ αὐτῶν.

ანა ანაჟ. ἰουδαίου, ἡ ἰωάννης ხელ ἡ ἰβრაჳ ἡ ἰουδα.

ხანგასმული სიტყვები ქართულში ერთ შემთხვევაში თარგმნილია როგორც ხფარვიდა, ხოლო მეორე შემთხვევაში — აგრილობდა⁵³. ორივე იხპარება ჩრდილის მოფენის მნიშვნელობით.

X

და ყოველსა საქმესა მათსა

A

ყოველთა საქმეთა მათთა

⁵² ა. შ ა ნ ი ძ ე, დასახ. ნაშრომი, გვ. 040.

⁵³ ოპიზის (A) ნუსხის ჩვენება არ მოგვეყავს. იგი ამ ადგილას ჩასწორებულია. სიტყვა წაშლილია

ბიქმედ საჩუენებლად კაცთა:
განიერცნიან ს. ა. ც. ო. ნ. ი. მათნი.

იქმედ საჩუენებლად კაცთა:
ფართო ყენიან კუ ბ ა ს ტ ნ ი (საცო-
ნი B) მათნი (მ. 23, 5).

ADEF ნუსხებში საცოს შესაბამის ადგილას კუ ბ ა ს ტ ი გვაქვს. ს. ა. ც. ო. ნ. ი., რომელიც დასტურდება ხანმეტ ტექსტსა და ტბეთის ხელნაწერში, ბერძნული სიტყვის τὸ φασλαχῆριον-ის ზუსტი თარგმანი ჩანს, რომელიც ნიშნავს „საცავს“, „მცველს“. ს. ა. ც. ო. ნ. ი. საანალიზო ტექსტში ადამიანის სამოსის, თავსაბურავის მნიშვნელობით იხმარება, რომელსაც A ტიპის ხელნაწერებში კუ ბ ა ს ტ ი ანუ ლქ ჩ ა ქ ი შეენაცვლა.

„ხესმეს ჰაბუესა მას სიტყუანი ესე“ (მ. 19, 22). ხაზგასმული სიტყვა დასტურდება მხოლოდ ხანმეტ ტექსტსა და აღიშის ოთხთავში, ოლონდ C-ში მხოლოდობით რიცხვშია წარმოდგენილი: სიტყუა ესე. ანალოგიური ვითარებაა ბერძნულის ზოგიერთ ნუსხაშიც: ἀξιοῦσας ἐξ ἑ νεαυῖστας τὸν λῆγιον τοῦ αὐτοῦ.

„რომელმან გამოიღის საუნჯისაგან თვისისა ახალი და ძუელი (ძუელი და ახალი ABDEF)“ XA, მ. 13, 52; „რომელმან-იგი გამოიღის საფასისა თვისისაგან ახალი და ძუელი“ C, შდრ.: αἰτιῶν καὶ παλαιῶν.

მ. 16, 9 მუხლის ბოლო წინადადება — რაოდენ გოდორი აღხილეთ — დატულია ხანმეტ ტექსტსა და აღიშის ოთხთავში; არ არის A ტიპის ხელნაწერებში.

ზემოაღნიშნულმა მაგალითებმა ნათელი გახადა, რომ მათეს თავის ხანმეტი ტექსტი შერეული რედაქციისაა. მასში ჩანს ორი რედაქციის კვალი. ერთია, რომელიც პარალელს პოულობს C რედაქციასთან, ხოლო მეორე — A ტიპის ხელნაწერებთან. მარკოზის სახარების ტექსტი კი, ამ თვალსაზრისით, სრულიად სხვა სურათს გვიჩვენებს.

მარკოზის თავის ხანმეტი ტექსტის შეჯერებამ ABCDEF ნუსხებთან ცხადყო, რომ ხანმეტისა და A ტიპის ხელნაწერები ერთი რედაქციის ნუსხებია, ხოლო C აშკარად განსხვავებულია: იგი სრულიად სხვა თარგმანია. A ტიპის ხელნაწერების მარკოზის თავი ზედმიწევნით მისდევს ხანმეტს. ზოგჯერ არის სხვაობა, მაგრამ ის მინიმალურია და, ჩვეულებრივ, ვარიანტულ ჩარჩოს არ სცილდება. აზრის ნათელსაყოფად რამდენიმე მაგალითს ვუჩვენებთ ერთმანეთის პარალელურად:

XA

და კმა (კმაა A) ხიყო (იყო A)
ზეციით: შენ ხარ ძმ ჩემი საყუარელი,
შენ სათნო- გიყავ.
და მეყსეულად სულმან განიყვანა იგი უდაბნოდ.
და ხიყო (იყო A) მუნ ორმეოც
დღე (დღე AB EF) და გამოხიცი-

C

და კმაა ცით გარადამო ესმა:
შენ ხარ ძმ ჩემი საყუარელი,
შენ მონავ.
და მუნქუესვე სულმან განიყვანა
იგი უდაბნოდ.
და იყო იგი მუნ ორმეოც დღე
გამოცლად ეშმაკისაგან. და იყო

და მოვიინო ხელით წერია: ა ვ რ ი ლ ო ბ და. ქვედა ფენა არ იყოთხება, ალბათ აქ ეწერა ქ თ ა რ ე ი და. თორემ ოპიზის ნუსხის შემდეგდროინდელი რედაქტორი მას სხვა ნუსხის მიხედვით არ შეასწორებდა. ასეთი ჩასწორებები ტექსტს ახასიათებს, ჩვენ ისინი აპარატში არ გავითვალისწინებთ.

XA

დებოდა (გამოიცადებოდა A) ეშმაკისაგან. და ხიყო (იყო A, + იგი ADEF) მეცთა თანა, და ანგელოზნი ხმსახურებდეს (ჰმსახურებდეს A) მას.

ხრქუა (და ჰრქუა A) მათ იესუ: ჯერ-არს (-არსა A) შაბათსა კეთილისა საქმე (საქმე D) ანუ ბოროტისა (ბოროტისა B)? სულისა (სულისა DF) ცხოვრება (ცხოვრება ADEF) ანუ წარწყმედა? ხოლო იგი იღმნეს.

და მიმოიხილა მათა (+ იესუ B) რისხვით და მწულსარედ სიბრძნისა მისთვის (სიბრძნისათვის A) გულისა მათისა და ხრქუა (ჰრქუა A) კაცსა მას: განირათხ კელი შენი! და მან განირათხა კელი და კუალად მოხეგო (მოეგო A) კელი იგი, ვითარცა ერთი იგი.

დადვა იესუ წინაშე ფასის საცავსა მას და ხედვიდა (ხედვიდა A), ვითარ-იგი ერი დახდებდა (დაჰსდებდა A, დასდებდა BDEF) რვაღსა ფასის საცავსა მას. და მრავალთა მდიდართა დადევს ფრიად (ფრიადი BF). და მოვიდა ჭურიგი ერთი გლახაკი და დასხნა ორნი მწულღონი (+ რომელ არს კოდრაჲ B).

და მიხედეს (მიჰხედეს AD, მიხედეს BEF) და იხილეს, რამეთუ გარდაგორებულ ხიყო (იყო A) ლოდი იგი, რომელი (რომელ ABD) ხიყო (იყო A) დიდ ფრიად.

და შე-რამ-ვიდეს (შევიდეს DĪ) საფლავსა მას. იხილეს ჰაბუკი (ჰაბუკი BE) მკდომარე (მკდომარე D) მარჯუენით კერძო, შე-მოსილი სამოსლითა სპეტაკითა, და განკრთეს (განჰკრთეს A).

იმ შემთხვევაში, როდესაც A ტიპის ხელნაწერები ხანმეტ ტექსტთან შედარებით განსხვავებულ იკითხვის აჩვენებს, ამ ნუსხათაგან მასთან ყველაზე

C

იგი მეცთა თანა, და ანგელოზნი ჰმსახურებდეს მას (მრ. 1, 11-13).

და ჰრქუა მათ: რამ წეს-არს შაფათსა შინა: ქველის საქმე ანუ ძვრის საქმე? სულისა ცხოვრება ანუ წარწყმედა? ხოლო იგინი დუმნეს.

და მიხედა მათ მრისხანედ შექუენებულად სიბრძნესა მას ზედა გულისა მათისასა და ჰრქუა კაცსა მას: წარმოირათხ კელი შენი! და წარმოირათხა, და განცოცხლდა კელი იგი მისი (მრ. 3, 4-5).

დადვა იესუ წინაშე ფასის შესაწირავსა და ხედვიდა, ვითარ ერთი იგი დასდებდა კერძასა ფასის შესაწირავსა მას ზედა. და მრავალთა მდიდართა დადევს დიდადი. და მოვიდა ერთი ჭურიგი გლახაკი და დასხნა ორნი ფშიტნი, რომელ არს დანგ ერთ (მრ. 12, 41-42).

და მიხედეს და იხილეს, რამეთუ გარდაგორებულ იყო ლოდი იგი, რამეთუ დიდ იყო ფრიად.

და შევიდეს სამარესა მას, იხილეს ჰაბუკი ერთი, მკდომარე მარჯუენით კერძო, რომელ მოსილი იყო სამოსლითა სპეტაკითა და დაუკვრდა (მრ. 16, 4-5).

მეტად B (ტბეთის) ხელნაწერი ავლენს მსგავსებას. მაგალითად: მრ. 2, 16 მუხლის დასაწყისი წინადადება, ფრაზის გადაადგილების შედეგად, ADEF ხელნაწერებში სხვანაირად არის გაფორმებული. შდრ.: „და მწიგნობართა მათ და ფარისეველთა, ვითარცა იხილეს იგი“ (XB); „და ვითარცა (ვითარ E) იხილეს მწიგნობართა მათ და ფარისეველთა“ (ADEF). XB ნუსხათა ჩვენება ბერძნულის ზუსტი თარგმანია: $\alpha\alpha\ \sigma\ \gamma\alpha\mu\mu\alpha\tau\epsilon\iota\varsigma\ \alpha\alpha\ \sigma\ \Phi\alpha\gamma\iota\sigma\tau\alpha\iota\ \nu\acute{\alpha}\nu\tau\epsilon\varsigma$. ანალოგიური ვითარებაა სომხურშიც: *ქალ ეպორენს და ფარისევებს ქრის თისიხს*. ADEF ხელნაწერებში კი ჩანს, რომ რედაქტორს ფრაზა სტილისტურად გადაუყვებია.

მრ. 3, 2 მუხლის ბოლო წინადადება რა ათა შეხასამინონ იგი დაცულია XB ნუსხებში და არა გვაქვს ADEF. აღნიშნული ფრაზა გვაქვს როგორც C რედაქციაში, რომელიც სრულიად სხვა თარგმანია, ასევე ბერძნულსა და სომხურშიც: *Ἰνα κατηχορησῶσιν αὐτοὺς; ἡ ἑραρισθισιανῶν ἡμῶν*. უნდა ჩაეთვალოს, რომ ამ ხელნაწერებში იგი გადაწყვეტის უნებლიეთ გამოჩნა და შემდგომ ეს მუხლი ამ სახით გადავიდა სხვა ნუსხებშიც.

მრ. 14, 12 მუხლში — „ხრქუეს იესუს მოწაფეთა თვსთა: სადა გნებაეს. წარვიდეთ“. ეს უკანასკნელი სიტყვა, რომელიც მოცემულია XB ნუსხებში, არ არის ADEF-ში. კონტექსტის მიხედვით წინადადება მას საჭიროებს. ასევეა ის ბერძნულსა და სომხურშიც: *ἰἑρῶσιν αὐτῶ ὁ μαθητῶν; αὐτοὺς, Ἰἰν θῆλειε ἔπειθῆνται. αὐτῶν γὰρ ἠδῶσικροῦν. ὁρ κῆμῖα ხρῖχῶε*.

მართალია, ტბეთის ოთხთავი საანალიზო ტექსტის ზოგიერთ იკითხვისთან მსგავსებას ავლენს, მაგრამ ეს არ უნდა გავიგოთ როგორც კანონზომიერი მოვლენა, ვინაიდან ზოგჯერ არის ისეთი შემთხვევაც, როდესაც A ტიპის ხელნაწერებიდან მხოლოდ B იძლევა საანალიზო ტექსტთან მიპარტებით განსხვავებულ იკითხვის: „უკუეთუ ფერქი შენი გაბრკოლებდეს შენ, მოიკუთვე იგი და განაგდე შენგან (მრ. 9, 45). ხაზგასმული წინადადება არ დასტურდება B ხელნაწერსა და, აგრეთვე, C რედაქციაში. იგი არ არის არც ბერძნულში.

ზემომოყვანილ მაგალითში მრ. 12, 42 ვკითხულობთ: „დასხნა ორნი მწულიონი, რომელ არს კოდრატმ“. ამ უკანასკნელ წინადადებას იძლევა მხოლოდ B ნუსხა (C რედაქციაში კი გვაქვს რომელ არს დაგერთ). იგი წინამავალი სიტყვის მწულიონის განმარტებაა, მაგრამ აქ ის ქართული მთარგმნელის მიერ კი არ არის მოცემული, როგორც ეს ზღედა ხოლმე მთარგმნელში უცხო სიტყვის განმარტებისას, არამედ ბერძნულ ტექსტშივეა ამ სახით წარმოდგენილი. იგი ბერძნულ სიტყვას $\lambda\epsilon\pi\alpha\tau\acute{\alpha}\varsigma$ განმარტავს. რომელიც ნიშნავს ხურდა ფულს. ორი ლეპტა ანუ ორი მწულილი ერთი კოდრანტეს (II კოდრატეს) ფარდია: $\xi\mu\alpha\lambda\epsilon\psi\ \lambda\epsilon\pi\alpha\tau\acute{\alpha}\ \beta\acute{\upsilon}\tau\iota, \delta\ \delta\epsilon\tau\epsilon\iota\upsilon\ \chi\iota\sigma\theta\epsilon\pi\alpha\tau\eta\zeta$, შდრ.: სომხ. *არქ ხრიოს ოქმასა, ὁρ ἑნაფარისიქით მქ*. ხანმეტი ტექსტის მთარგმნელმა, როგორც ჩანს, ეს ბერძნული განმარტება ზედმეტად ჩათვალა და არ გადმოიტანა ტექსტში.

ხანმეტი ტექსტი, მრ. 9, 44, 46 მუხლები აკლია. იგი, გიორგი მთაწმიდლის რედაქციის გარდა, აკლია აგრეთვე ჩვენამდე მოღწეულ IX—XI საუკუნეების ყველა ოთხთავს⁵⁴. ამ ფაქტის შესახებ ა. შანიძე წერს: „ეს ორი ერთნაირი მუხ-

⁵⁴ აქ ივლისხმება ეფთჳესული რედაქცია (იხ. ივ. იმნაიშვილი დასახ. ნაშრომი, გვ. 400).

ლი, რომელიც გეჰენის დახასიათებაა, მესამედ იკითხება ამავე თავის 48-ე მუხლად. გეჰენია სამჯერ არის მოხსენებული (მრ. 43, 45, 47) ხელის, ფეხის და თვალის დამაბრკოლებელ საგნებად ჩამოთვლის გამო და სამჯერვე მას დახასიათება მოსდევს გიორგისეულ რედაქციაში (44, 46, 48). აქ კი ორსავე რედაქციაში (CDE — ლ. ქ.) გეჰენის დახასიათება („სადა-იგი მატლი მათი არა დაესრულების და ცეცხლი არა დაშრტების“) მხოლოდ უკანასკნელად არის მოთავსებული (48) ⁵⁵. ანალოგიური ვითარება დადასტურდა ხანმეტ ტექსტშიც. ეს შემოკლება სტილისტური ხასიათისა ჩანს; იგი რედაქტორის მიერ წყაროშივე უნდა იყოს შესრულებული. ამაზე მიუთითებს ბერძნული ტექსტის კრიტიკული გამოცემა, რომლის ძირითად ტექსტში ეს მუხლები შეტანილი არ არის. აპარატში მითითებულია, რომ ისინი არ გააჩნია სინურ, ვატიკანულსა და პარიზულ ნუსხებს (IV—V სს), ალექსანდრიულსა და კემბრიჯულში (V—VI სს.) კი არის. ასევე სხვადასხვანაირად არის ის წარმოდგენილი მოგვიანო ხანის ხელნაწერებშიც ⁵⁶. უნდა ვივარაუდოთ, რომ საანალიზო ტექსტის არქეტები უნდა მომდინარეობდეს სწორედ ისეთი ნუსხიდან, რომელშიც 44, 46 მუხლები ასახული არ იყო.

მარკოზის ტექსტის ბოლო თავი (16) ჩვენ მიერ გამოყენებულ ხელნაწერებში სხვადასხვანაირად თავდება. BDEF ნუსხებს მოგვრევბათ ეგრეთ-წოდებული „გრძელი ბოლო“ ⁵⁷, ხოლო AC ხელნაწერები მე-8 მუხლით თავდება. ჩვენ მიერ ამოკითხულ ფრაგმენტებშიც ეს თავი მე-8 მუხლზე წყდება. შეიძლება ვიფიქროთ, რომ ხანმეტ ტექსტშიც მე-16 თავი არ იყო წარმოდგენილი ვრცელი ვარიანტით, ვინაიდან ბერძნულ ხელნაწერებშიც არ არის ერთნაირი სურათი. სინური და ვატიკანური ნუსხები (IV ს.) ამ თავს მე-6 მუხლით ამთავრებენ, ხოლო ალექსანდრიულ, პარიზულსა და მოგვიანო ხანის ძეგლებში წარმოდგენილია ვრცელი დასასრული ⁵⁸.

ამრიგად, მარკოზის თავის ხანმეტი ტექსტის შეჯერებამ A ტიპის ხელნაწერებთან ჩვენ გარკვეული დასკვნის გამოტანის საშუალება მოგვცა: საანალიზო ტექსტი და ABDEF ხელნაწერები მარკოზის თავისა ერთმანეთთან დიდ სიახლოვეს ავლენენ. შეიძლება ეს ფაქტი ორგვარად ავხსნათ: ან მარკოზის თავი სხვა თავებთან შედარებით ნაკლებ განიცილია რევიზიას და ამის შედეგად დადგა იგი უფრო ახლოს ხანმეტ ტექსტთან, ან არა და ხანმეტი ოთხთავი უნდა იყოს დედანი იმ შუალედური ხელნაწერისა, საიდანაც გადაიწერა ზემოხსენებული ხელნაწერების მარკოზის თავი.

ცნობილია, რომ ლუკას სახარება ჭრუჭ-პარხლის რედაქციაში ერთი ვერსიისა; აღიშის რედაქციაში შეტრეულია. მასში გამოიყოფა ძირითადი ტექსტი (1, 1—3, 8; 15, 7—17, 24; 23, 3—24, 53) და ჩანართი (3, 9—15, 7; 17, 25—23, 2) ⁵⁹. დედანს, საიდანაც გადაიწერა აღიშის ნუსხა ან მისი წინამორბედი, ლუკას სახარებაში საქმაოდ ჰკლებია და გადამწერს ის შეუცხსია სრულიად სხვა ნუსხით. რას წარმოადგენდა ეს ჩანართი და რომელ ცნობილ რედაქციას-

⁵⁵ ა. შანიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 041.

⁵⁶ K. Aland, M. Black..., დასახ. ნაშრომი, გვ. 162.

⁵⁷ ა. შანიძე, იქვე.

⁵⁸ K. Aland, M. Black..., p. 196.

⁵⁹ ივ. იმნაიშვილი, აღიშის ოთხთავი რედაქციულად, სტალინის სახელმძღვანელო სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, XXXb—XXXIb, 1947, გვ. 232.

თან იღგა ის უფრო ახლოს, ამ საკითხთან დაკავშირებით სამეცნიერო ლიტერატურაში სხვადასხვა მოსაზრება გამოითქვა: პირველად ივ. ჯავახიშვილმა შენიშნა ადიშის ოთხთავის სხვადასხვა რედაქციული შედგენილობა. მან ეს ხელნაწერი შეუღარა ხანმეტი ოთხთავის ფრაგმენტებს და შედარების საფუძველზე გააყეთა ზოგადი დასკვნა: ადიშის ტექსტი ორი რედაქციის შერეულ შენაერთს წარმოადგენს. ერთი მათგანი ხანმეტმა ტექსტმა შემოგვინახა, ხოლო მეორე საბაწმინდური უნდა იყოს⁶⁰. ივ. ჯავახიშვილის ამ დებულებაში გამიჯნული არ არის, რომელ ნაწილშია ხანმეტი ტექსტი ასახული და რომელი უნდა ეკუთვნოდეს საბაწმინდურს. ადიშის ოთხთავის სხვადასხვა რედაქციულ შედგენილობაზე ს. კაკაბაძე მითითებდა. ოღონდ მას ერთი ნაწილი მიაჩნდა საკუთრივ ადიშის ტექსტად, ე. ი. ძირითად ნაწილად, ხოლო მეორე — ჩანართად. მისი აზრით, ეს იყო ის რედაქცია, რომელიც ჭრუჭ-პარსლის სახარებათა ნუსხებშია ასახული⁶¹. მსგავს მოსაზრებას გამოთქვამდა ა. შანიძე⁶². ივ. იმნაიშვილმა ადიშის ოთხთავის რედაქციულ შედგენილობას სპეციალური გამოკვლევა მიუძღვნა. მისი დაკვირვებით ადიშის ოთხთავის ჩანართისათვის ამოსავალია ურბნისის ოთხთავის ტექსტი⁶³.

მკვლევართა მიერ წამოყენებული მოსაზრებანი ადიშის ოთხთავის რედაქციულ შედგენილობაზე სწორია. მართებულია ისიც, რომ ჩანართს საფუძველად დაედო ის რედაქცია, რომელიც ასახულია თბილური ჭკუფის ანუ A ტიპის ხელნაწერებში, მაგრამ ამ ხელნაწერებში დაკული ტექსტი და ადიშის ოთხთავის ჩანართი მიიწეოდა არ არის ერთმანეთის მსგავსი. მათ შორის შეიმჩნევა სხვაობა. საკითხის გარკვევაში, თუ რომელი ნუსხა დაედო ჩანართს საფუძველად, გვეხმარება ხანმეტი ტექსტი.

ხანმეტი ტექსტის ლუკას თაჲ A ტიპის ხელნაწერებთან დაახლოებით ისეთსავე ურთიერთობაშია, როგორც ეს წინა თავებში გვეჩვენა ნაჩვენები. ე. ი. ტექსტობრივად წინამდებარე ძველი და A ტიპის ხელნაწერები ერთმანეთის მსგავსია, მაგრამ საეკლესიო იდენტური მიიწეოდა არ არის. მათ შორისაც არის განსხვავებანი და ეს არც არის მოულოდნელი. C რედაქციასთან კი საანალიზო ტექსტი სხვადასხვა ტექსტუალურ დამოკიდებულებას ავლენს. ლუკას თაჲის ერთ ნაწილში (1,1—2,51; 15,22—17,7; 23,18—24,12) XC განსხვავებული ტიპის ტექსტებია, ორი სხვადასხვა თარგმანი. ხოლო ჩანართ ნაწილში (3,21—14,19; 18,16—22,62) X და C ტექსტობრივად ძალიან ახლოს დგას ერთმანეთთან. ზოგიერთი მუხლი გარკვეული მონაკვეთის მანძილზე სიტყვა-სიტყვით ემთხვევა. სხვაობა მინიმალურია და ძირითადად ორთოგრაფიულ-გრაფიკული ხასიათისაა. იმ შემთხვევაში, როდესაც C რედაქციის ლუკას თაჲის ჩანართი უპირისპირდება A ტიპის ხელნაწერებს, ის საერთოს ხანმეტ ტექსტთან პოულობს. ეს მსგავსება-განსხვავებანი ჩანს ლექსიკაში, ფრაზის აგებულებაში, სიტყვათა დაკლებასა, თუ ერთი სახის წინადადების მეორეთი შეცვლაში და სხვ. საილუსტრაციოდ რამდენიმე მაგალითს დავასახელებთ: 1. „პირველად არა ხიბანა ვი დ რ ე ს ა დ ი ლ ო ბ ა დ მ დ ე“ (ლ. 11, 38) — ასეა ეს ფრაზა წარმოდგენილი ხანმეტ ოთხთავსა და ადიშის ტექსტში. A ტიპის ხელ-

⁶⁰ ივ. ჯავახიშვილი, ქართული პალეოგრაფია, გვ. 303.

⁶¹ ს. კაკაბაძე, საისტორიო ძეგლი, გვ. 7.

⁶² ა. შანიძე, ქართული ოთხთავის ორი ძველი რედაქცია, გვ. 010.

⁶³ ივ. იმნაიშვილი, დასან. ნაშრომი, XXXb—XXXIb, 1947, გვ. 219—232.

ნაწერებში შესაბამის ადგილას იკითხება: „ვიდრე პურისა ჳამად-
მდე“; „მფრნველთა ცისათა და იმკვდრეს (XC), A ტიპის ხელნაწე-
რებში და იმკვდრეს ნაცვლად და იბუდეს იკითხება (ლ. 13, 19); „მი-
სუგო ოთხი წილი“ (XC), A ტიპის ხელნაწერებშია ორი წილი (ლ. 19, 8):
„მიზებით შოვრად ხილოცვედ“ (XC), A ტიპის ხელნაწერებში გვაქვს გა-
გრძობილად ილოცვედ (ლ. 20, 47). „მოზეგო კელი მისი, ვითარცა იგი
სხუაა (XC), A ტიპის ხელნაწერებში იკითხება: „მოეგო კელი იგი მისი.
ვითარცა ერთი იგი“ (ლ. 6, 10).

2. ხანმეტისა და ადიშის ნუსხები A ტიპის ხელნაწერებთან შედარებით
სიტყვებს ერთნაირად აკლებს ან უმატებს. ასეთ შემთხვევებში XC ნუსხათა
ჩვენება უმატებს წილად ბერძნული ტექსტის იკითხვისებს შეესაბამება.

XC

და იესუ ხრქუა (პრქუა C) სიმონს:
ნუ გეშინინ, სიმონ!

A

და იესუ პრქუა (პრქუა იესუ B)
სიმონს-ეტრეს: ნუ გეშინინ, სი-
მონ! (ლ. 5, 10).

შღრ.: $\alpha\alpha: \epsilon\iota\pi\epsilon\upsilon \pi\alpha\rho\delta; \tau\omicron\upsilon\epsilon \Sigma\iota\mu\omicron\upsilon\alpha\delta \delta \text{ } \text{'}\text{I}\eta\sigma\alpha\mu\epsilon\upsilon\varsigma.$

წარვიდა და ყოველსა მას ქალაქებსა
ქალაგებდა.

წარვიდა კაცი იგი და (და — ADEF)
ყოველსა მას ქალაქებსა (+ და E)
ქალაგებდა (ლ. 8; 39).

შღრ.: $\acute{\alpha}\pi\eta\lambda\iota\sigma\tau\epsilon\upsilon\varsigma \alpha\alpha\delta \text{ } \delta\lambda\eta\gamma \tau\eta\gamma \pi\acute{\omicron}\lambda\iota\upsilon\varsigma \kappa\eta\rho\acute{\omicron}\sigma\sigma\alpha\upsilon\gamma.$

ხასწავებდა (ასწავებდა C)
ნავით გამო ერსა მას.

ასწავებდა (+ ნავით გამო B) ერსა
(—F) მას (მათ F), ლ. 5, 3.

შღრ.: $\acute{\epsilon}\chi \tau\omicron\upsilon\delta \pi\lambda\iota\sigma\iota\upsilon\varsigma \acute{\epsilon}\nu\iota\mu\epsilon\delta\sigma\alpha\epsilon\upsilon\varsigma \tau\omicron\iota\varsigma \delta\chi\lambda\omicron\upsilon\varsigma.$

3. ადიშის ჩანართ ნაწილში, A ტიპის ხელნაწერებთან შედარებით, მუხ-
ლი უფრო გავრცობილია ან შემოკლებული. ანალოგიური ვითარება დადას-
ტურდა ხანმეტ ოთხთავშიც:

XC

ხოლო არაა არს დაფარული რო-
მელი არა გამოცხადნეს და
დამალული, რომელი არა საცნაურ
ხიყოს.

A

ხოლო არა არს დაფარული და დამა-
ლული, რომელი არა საცნაურ ხიყოს
(ლ. 12, 2).

და აპა კაცი კეთროვნებითა სავსე
(სავსე C).

და აპა კაცი სავსე (სავსე D) კეთ-
როვნებითა იყო მას ქალაქსა
(ლ. 5, 12).

4. ადიშის ოთხთავის ჩანართ ნაწილში სიტყვათა ისეთი რიგია დატული,
როგორც ეს არის ხანმეტ ძეგლში; A ტიპის ხელნაწერებში კი შებრუნებული
წყობა გვაქვს:

XC

ხიქმნეს (იქმნენ C) პურ.

A

პურ იქმნეს (იქმნენ F), ლ. 4, 3.

ხიყო (იყო C) კაცთა მონადირე
(მონადირე C).

კაცთა იყო მონადირე (მონადირე B
EF), ლ. 5, 10.

XC

ქუეშე ცხელარსა შედგიან.

ორი ღრაჰკანი მიხცა (მისცა C).

აჰა ყოველივე (ყოველი C) თქუენი
წმიდა არს.

5. გ რ ა მ ა ტ ი კ უ ლ ი ს ხ ვ ა ო ზ ა ნ ი :

და ხიყო (იყო C) ვითარ ერი და-
ხესხმოდა (დაესხმოდა C) მას სმენად
ს ი ტ ყ უ ა ს ა ღ მ რ თ ი ს ა ს ა .

მოხეგო (მოეგო C) ჯელი მისი

და თქუა : ხ ხ ე დ ა ვ თ ა (ხედავთა C)
ამას?

6. ძველ ქართულ წერილობით ძეგლებში სიტყვა მკუდრი იწერება „ჲ“ გრაფით. ხანმეტ ძეგლში ერთადერთი შემთხვევა დადასტურდა, როდესაც ამ სიტყვაში უ-ს უ ხმოვანი შეენაცვლა და გვაქვს მკუდრ ფორმა. ასეთივე დაწერილობით დადასტურდა ის აღიშის ჩანართის შესაბამის ადგილას (ლ. 13, 4). სიჰარბის, სიუხვის მნიშვნელობის გადმოსაცემად იხმარებოდა სიტყვა ნ ა მ ე ტ ა ე ი და მისი სახეცვლილი ვარიანტი ნ ა მ ე ტ ნ ა ე ი. „ნამეტავი“ ჩვენ მიერ განხილულ ოთხთავის ნუსხათაგან მხოლოდ ხანმეტ-აღიშის ნუსხებში გვხვდება (ლ. 21, 4). წერილობით ძეგლებში საჩუქრის მნიშვნელობით იხმარება მისაცემელი და საცემელი (ლ. 11, 13). ეს უკანასკნელი მხოლოდ ხანმეტ-აღიშის ნუსხებშია დაცული.

ამრიგად, თუ გავითვალისწინებთ მოხმობილ მაგალითებს, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ აღიშის ოთხთავის ლუქას თავის ნაკლული ადგილი შეეცხებუღია წინამდებარე ტექსტით. თუ არა, მასთან ახლოს მდგომი რომელიმე ნამეტავი ნუსხით. ჩანართისათვის ამოსავალი ხანმეტი ტექსტი რომ უნდა იყოს, ამ ვარაუდის სასარგებლოდ სხვა ფაქტორები გვთავაზობს:

1. ფრაზა ამენ გეტყუ თქუენ ასეა წარმოდგენილი ხანმეტ ტექსტსა და ოთხთავის ყველა ნუსხაში. ამგვარად იკითხება ის ლუქას თავის ჩანართშიც. აღიშის ოთხთავის ძირითად ნაწილში კი ამ ფრაზის პარალელურად ყოველთვის მართლიად გეტყუ თქუენ იხმარება:

X

ამენ გეტყუ თქუენ: რომელმან
არა შეიწყნაროს სასუფეველი
ღმრთისაჲ.

ზრქუა მათ: ამენ გეტყუ
თქუენ, რამეთუ არავინ არს,
რომელმან დაუტევა სახლი.

A

ცხელარსა ქუეშე (ქუეშე EF) შედგიან
(ლ. 8, 16).

მიჰსცა (მისცა EF) ორი ღრაჰკანი
(ლ. 10, 35).

აჰა (არა E, — F) ყოველივე წმიდა
არს თქუენი (ლ. 11, 41).

და იყო ვითარ (ვითარცა F) ერი იგი
დაესხმოდა მას სმენად ს ი ტ ყ უ ა თ ა
ღ მ რ თ ი ს ა თ ა (ლ. 5, 1).

მოეგო ჯელი იგი (—F), ლ. 6, 10.

და თქუა იესუ: ჰ ხ ე დ ა ვ თ ა მას (ლ.
21, 5-6).

C

ამენ გეტყუ თქუენ: რომელმან
არა შეიწყნაროს სასუფეველი ღმრთი-
საჲ (ლ. 18, 17).

ზრქუა მათ: ამენ გეტყუ
თქუენ, რამეთუ არავინ არს,
რომელმან დაუტეოს სახლი (ლ. 18,
29).

შღრ.:

ამენ გეტყუ თქუენ: არცა ისრაჲლსა შოვრის ესოდენი სარწმუნოებაჲ მიპოვნიეს.

მართლიად გეტყუ თქუენ: არცაღა ისრაჲლსა შორის ესოდენი სარწმუნოებაჲ მიპოვნიეს (მ. 8, 10).

ამენ გეტყუ თქუენ: ულხინცს ხიყოს ქუეყანაჲ სოდომისაჲ.

მართლიად გეტყუ თქუენ: ულხინულეს იყოს ქუეყანაჲ სოდომისაჲ (მ. 10, 15).

2. ხანმეტ ტექსტში, იქ, სადაც სიტყვა ვენაჯი იხმარება, ადიშის ძირითად ნაწილში, შესაბამის ადგილას, ყველგან საყუ რ ძ ე ნ ი გვაქვს, C რედაქციის ლუკას თავის ჩანართში კი ხანმეტი ტექსტის მსგავსად. ვენაჯი ა გამოყენებული:

X

კაცმან ვინმე დახსხსა ვენაჯი.

და თქუა უფალმან ვენაჯისამან.

შღრ.:

დადგინებდა მუშაკთა ვენაჯსა თუსსა.

წარავლინა ივინი ვენაჯსა თუსსა.

წარვედით თქუენცა ვენაჯად ჩემდა.

C

კაცმან ვინმე დაასხა ვენაჯი (ლ. 20, 9).

და თქუა უფალმან ვენაჯისამან (ლ. 20, 13).

დადგინებდა მოქმედთა საყუ რ ძ ე ნ ს ა თუსსა (მ. 20, 1).

მიავლინა ივინი საყუ რ ძ ე ნ ს ა თუსსა (მ. 20, 2).

მივედით თქუენცა საყუ რ ძ ე ნ ს ა მას ჩემსა (მ. 20, 4).

3. X C ნუსხებში ლ. 21, 2 მუხლში ვკითხულობთ: „და იხილა ვინმე ქუთუელია და ბერძნული λεπτός-ის ქართული შესატყვისია. თლონდ ქართულად ის სხვადასხვანაირად არის თარგმნილი: მწულილი, ფშიტი. ეს უქანას-ქნელი დასტურდება C რედაქციის ძირითად ნაწილში (მრ. 12, 42). მწულილი ი გვაქვს ხანმეტ ტექსტში, A ტიპის ხელნაწერებსა და C რედაქციის ლუკას თავის ჩანართში.

4. ოთხთავის ტექსტში (მ. 19, 24; მრ. 10, 25; ლ. 18, 25) დაცულია გამოთქმა: „უადვილეს არს მანქანის საბელი განსლვად კურელსა ნემსისასა“. თითქმის ასეა ის წარმოდგენილი X და A ტიპის ყველა ნუსხაში. C რედაქციის ძირითად ნაწილში მანქანის საბელი ფარდია ზომთ საბლისაჲ (მ. 19, 24) და ზომსაბელისა (მრ. 10, 25). ლუკას თავის ჩანართში კი დაცულია XA ნუსხების ანალოგიური იკითხვისი: „უადვილეს არს მანქანის საბელი კურელსა ნემსისასა განსლვად“ (ლ. 18, 25).

5. ადიშის ოთხთავის ჩანართში ხანმეტი ტექსტის ხ პრეფიქსი გააზრებულია როგორც ხოლო კავშირი: „ხესმარაჲ ესე“ (ლ. 18, 23); „ხოლო ესმარაჲ ესე“ იკითხება ადიშის ნუსხაში, A ტიპის ხელნაწერებში შესაბამის ადგი-

ლას გვაქვს „და ვითარცა ესმა ესე“. ანალოგიური ვითარებაა ლ. 9, 7, 61; 22, 67, ოღონდ აღნიშნული მუხლები წინამდებარე გამოცემაში ასახული არ არის.

იოვანეს თავის ხანმეტი ტექსტის ფრაგმენტები წინამდებარე გამოცემაში, სხვა თავებთან შედარებით, ცოტაა; რაც არის ამოკითხული, რედაქციული თვალსაზრისით, ახალს არაფერს იძლევა; ისიც A ტიპის ხელნაწერებს მიჰყვება და ამიტომ ჩვენ მიზანშეწონილად ვცანით, მაგალითები ამ თავიდან არ მოგვეყვანა.

ხანმეტი ოთხთავის ფრაგმენტები, როგორც ითქვა, ტექსტუალურად ორივე რედაქციასთან დგას ახლოს, მაგრამ საეკლესიო იდენტური ის არც ერთის მიმართ არ არის. მათ შორის შეიმჩნევა განსხვავებული იკითხვისები და ამით იგი ორივე ტიპის (AC) ტექსტს უპირისპირდება. ხანმეტი ოთხთავის სხვაობანი ზოგჯერ პარალელს პოულობენ უცხოენოვან (ბერძნულ-სომხურ) ტექსტებში, ზოგჯერ მათ პარალელი არსად არ ეძებნებათ. ამ შემთხვევაში ეს განსხვავებული იკითხვისები ხომ არ მომდინარეობს ძველი თარგმანიდან, არქეტაიდან?

საანალიზო ტექსტის თავისებურებანი მეტ-ნაკლებად შედგენდება ლექსიკასა და გრამატიკაში, სიტყვათა თუ წინადადებათა დაკლებაში, სიტყვათა რიგის ცვლაში და სხვა. ქვემოთ გარკვეული თანმიმდევრობით ვუჩვენებთ ყველა ამ განსხვავებულ იკითხვისს.

1. ლექსიკური სხვაობანი:

X
 ცოლ-იყოს
 განბოკლებულთა
 განხკლიდით
 ხხედვენ
 ხულოცოს
 ტალანტი
 შემძლებელ

AC
 შეირთოს (მ. 5, 32)⁶⁴.
 კეთროვანთა (მ. 10, 8).
 განასხმდით (მ. 10, 8).
 აღიხილვენ (მ. 11, 5).
 აკურთხნა (მ. 19, 13).
 ქანქარი (მ. 25, 20, 22).
 შეუტრეხებულ (ლ. 12, 50):

2. მატება: და ამა ესერა მე თქუენ თანა ვარ ყოველთა დღეთა + ცხოვრებისა თქუენისათა X (მ. 28, 20); ხუადვილმს არს (+ ნავისა X) მანქანისა საბელი ჟურელსა ნემსისასა განსლვად (მ. 19, 24).

ეს ადგილი AC რედაქციებში სხვადასხვანაირად იკითხება: უადვილეს არს მანქანისა (მანქანის DE) საბელი განსლვად ჟურელსა ნემსისასა (A)⁶⁵:

⁶⁴ C ხელნაწერში შესაბამისი ადგილი დაზიანებულია. შემორჩენილია სიტყვის მხოლოდ ორი ასო ოხ. ა. შანძეს გამოცემაში სიტყვა აღდგენილი აქვს ჩრუპ-პარსლის რედაქციის მიხედვით, ამიტომ იქ იკითხება შეირთოს. თუ გაითვალისწინებთ ხანმეტი ტექსტის მონაცემებს, რომელმაც მათეს თავის დაკლებული ადგილი შეავსო აღნიშნის, C რედაქციასთან ახლოს მდგომი ნუსხით. მაშინ აქ უნდა იკითხებოდეს არა შეირთოს, არამედ ცოლ-იყოს. მითუმეტეს რომ, ო ხმების წინ, სადაც ეტრატის ნაწილი მოშვარია, ყ ასოს ფეხის ბოლო ჩანს.

⁶⁵ ოპიის ხელნაწერში მანქანის საბელი წაშლილია და სხვა ხელით სწერია: აქ-ლეში.

უადვილესა ზომთსა ბლისაჲ კურელსა ნემსისასა განსლვაჲ (C). ბერძნულ ტექსტში ხაზგასმული სიტყვის შესაბამის ადგილას იკითხება: *ἀμψλον: εὐκσι-
πῶτερὸν ἐστιν ἀμψλον* დე *τραπεζαίος* ბაქმიძე მიქაძე — უფრო ადვილია
აქლები გაქვრეს ნემსის ყუნწში, ვიდრე მდიდარი შევიდეს სასუფეველში. ქართულ
თარგმანში აზრი გაბუნჯოვანებულია. საიდან გაჩნდა ნავისა მანქანისა საბე-
ლი აქლების ნაცლად? სახარების კომენტატორებს, მიუთითებს ს. ყაუხჩი-
შვილი, ვერ გაუგიათ ამ ანდაზის მნიშვნელობა და მ. 19, 24 ტექსტთან გაუკეთე-
ბით განმარტება: *ἀμψλον* აქ ცხოველს კი არ ნიშნავს, არამედ მსხვილ თოქსო.
ამით აიხსნება ის, რომ ხელნაწერებში *ἀμψλον*-ის ნაცულად გაჩნდა *ἀμψλον*-საბელი
(V ს. ბერძნულ გამოთქმაში *η* და *ι* არ განსხვავდებოდა)⁶⁶. ქართულ თარგმანში
საბელს ყოველთვის თან ახლავს მსაზღვრელი ნავისა მანქანისა საბე-
ლი, მანქანის საბელი და ზომთსაბელი. სომხურში კი შესაბამის
ადგილას საბელი იკითხება მსაზღვრელის გარეშე: *ყიւրին է մալխոյ
մասանկ ընդ ծակ սսղան*. გამოთქმა ნავისა მანქანისა საბელი მხოლოდ
საანალიზო ტექსტშია დადასტურებული. თუ მოვიშველიებთ ძველი სქოლიასტებ-
ის განმარტებას, სიტყვა ნავს შეიძლება ახსნა დაქვივნოს. ს. ყაუხჩიშვილი, ვ.
ტიშენდორფზე დაყრდნობით, იმოწმებს ერთ-ერთ სქოლიოს, რომელიც ორივეს
მიეწერება, ზემოაღნიშნული გამოთქმების „მანქანის საბლისა“ და „ზომთსაბლისა“
ასახსნელად: „*ἀμψλον*-ად ცხოველს კი არ იტყვის, არამედ მსხვილ საბელს, რო-
მლითაც მეზღვაურები ლუზებს აბამენ ხოლმე“⁶⁷. ცხადია, საანალიზო ტექსტის გა-
დამწერი, თუ მისი წინამორბედი, იცნობს ამ კომენტარს და აზრის ნათელსაყო-
ფად მანქანის საბელს ურთავს ნავს (რადგან, სქოლიასტების აზრით, აქ
ლაპარაკია ნავის ლუზის მისაბმელ თოქზე). ოღონდ გასაკვირია ის, რომ ხანმეტი
ოთხთავის ლუკას თავში აღნიშნული გამოთქმა ნავის გარეშეა წარმოდგენილი
(18, 25). სხვა მაგალითებია:

(+მიხხედა და იხილა იგი X) და თქუა (ლ. 22, 56); მისლვად და ხილვად
(+იგი X) ლ. 14, 18, *ἐξελθὼν ἰδεὶν αὐτόν*, *სქაიხი სიხსანხი გნა*; ერთი
(+იგი X) შეიყუაროს (ლ. 16, 13); ხრქუა (+მას X) მ. 14, 31, *λέγει αὐτῷ
უკეთეთ ვისმე (+რას X) ცილი დახუდეო* (ლ. 19, 8), *εἰ τίς ἐστι ἐσχαφάροντος;*
ბოროტთა ზედა და კეთილთა (+ზედა X) მ. 5, 45; რომელი განვიდა (+თანა X);
განთიდა (მ. 20, 1), *შაიც ἐξήλθον ἔμμε πρῶτ, ἵρ κλ ἔνθ ἁπῶσῃ*; და
(+მამინ X) წარავლინნეს ანგელოზნი თჳსნი (მ. 24, 31); (+რამეთუ X) ყოველი,
რომელი ხხედვიდეს დეააკასა (მ. 5, 23), *შაი πᾶς ὁ μὲν πᾶν ὑσαῖνα, ἔστι
ἀμψλον ἵρ ἁγίη ἰκίης*; ხუმეტჳს (+ხოლო X) წინაწარმეტყუელისა (მ. 11, 9).

3. კლება: ხამცნო მათ იესუ (—X) მ. 17, 9; უკეთეთ ქელი შე-
ნი ანუ (—X) ფერქი შენი (მ. 18, 8); ათორმეტთა ნათესავთა ისრაელისა
ათა (—X) მ. 19, 28; მომავალი ღრუბელთა ზედა ცისათა (—X)
მ. 24, 20; წარავლინნეს ანგელოზნი თჳსნი საყვართა დიდითა (—X)
მ. 24, 31; დალაღებდეს და იტყოდეს (—X) მრ. 11, 9; ანალოგიური ვი-
თარებაა ბერძნულში: *ἐξαρχῶν*; სომხურშია დალაღებდეს და იტყოდეს: *აղაղა-
կէին և ἄσէին*; პოვეს იგი ტაძარსა მას შინა მჯღომარჳ შოვრის მოძღუართა

⁶⁶ ს. ყაუხჩიშვილი, აღიშის ხელნაწერის ბერძნობები, ენმკის შობამე, XIV, 1944, გვ. 103.

⁶⁷ იქვე, გვ. 106.

და ის მე ნღა მათსა (—X) ლ. 2, 46; ყოველთა ნამეტავისაგან მათისა შეწირეს დასადებელსა ამას (—X) ლ. 21, 4; რაჲცა ზაქუნდა სოცხოვრებელი (—X) შეწირა (ლ. 21, 4); რომელი მომეც მე, მივეც მათ (—X), შენგანნი არიან (ი. 17, 7), *ნთα δὲ δῶμας μοι παρὰ τὸν εἶπον*; სომხუ რწია მივეც მათ: *ვირ ხათორ ხნბ, სთო ნიგა*; ყოველივე მომეცა მე (—X) მ. 11, 27; დამან ჩემმან მარტოა დამიტევა მე (—X) ლ. 10, 40; რაჲმს შევიდა იგი (—X) კათარნაუმდ (მ. 8, 5); რომელმან აღმალლოს თავი თუი იგი (—X), დამდაბლდეს (ლ. 14, 11); შეიყანა იგი (—X) სიხარულით (ლ. 19, 6); გუელი ნუ მიხეტსა მას (—X) მ. 7, 10; ტაძარსა მას (—X) შინა (მ. 21, 15); და მოვიდეს ადგილსა მას (—X) მ. 27, 33, *καὶ ἐλθόντες εἰς τὸπον*; არცა ამას (—X) სოფელსა (მ. 12, 32); გეშინოდენ მისა (—X) ხუფროსს (მ. 10, 28), *φοβέσθε δὲ μακκλον*, სომხურწია: *სრქსჯქდ ქაქნგანტ*; ხოლო თავადმან ხრქლა მათ (—X) (მ. 15, 13), *ὃ δὲ ἀποκριθὲς εἶπεν, ἦα ἁγαπᾷσασθε ἑαυτοὺς ὡς ἑαυτοὺς* (პასუხი მისცა მათ და პრქუა); მრავალნი სამოსელსა მათსა (—X) დახუფენდეს (მრ. 11, 6); ხოლო მე გეტყვ თქუენ (—X) მ. 5, 44; ხოლო თავადმან (—X) კაცად-კაცადსა მათსა დახდდა ჳელი (ლ. 4, 40); გლახაკი ვინმე (—X) ხყო (ლ. 16, 20).

4. ფ რ ა ზ ე ო ლ ო გ ი უ რ ი ს ხ ვ ა ო ბ ა ნ ი :

X

იგი არს სასყიდელ მათა (მ. 6, 2),
αὐτὸν ἵσχυρὸν ἔσται ნიყა.

AC

რამეთუ მათგან მიილიან სასყიდელი მათი C.
მიუღებდეს სასყიდელი მათი A.

ამათგან ბერძნული ტექსტის შინაარსს ზუსტად გადმოსცემს A ტიპის ხელნაწერები, შდრ.: *ἀπέχουσι τὸν ματθὸν ἀντὶν*. C ხელნაწერის იკითხვის თითქოს უნდა შეესაბამებოდეს საანალიზო ტექსტისას, როგორც ერთი ვერსიის ნაწილი (მათეს თავის დასაწყისში მათ ხომ ერთი საერთო არქეტიპი უძებთ საფუძვლად), მაგრამ აქ წმინდა რედაქციულ სხვაობასთან გვაქვს საქმე; ის სრულიად სხვა თარგმანი ჩანს. საიდან გაჩნდა, გაუგებარია. იმავე თავში აღნიშნული გამოთქმა იგი არს სასყიდელ მათა, კიდევ მეორედმა ორჯერ (მ. 6, 5, 16) და C ხელნაწერში ის ხანმეტი ტექსტის მსგავსად არის წარმოდგენილი. ბერძნულში კი ყველგან არის *ἀπέχουσι τὸν ματθὸν ἀντὶν*.

X

ვერცინ ხმონოს ორთა უფალთა (მ. 6, 24).

AC

ვერ ჳელ-ეწიფების ორთა უფალთა მონებად, *οὐδὲ δὲνυαται* ზუსი *χურῖοις* *δουλεύουσιν*, ასევეა სომხურშიც — *იჯ იჯ კარქ ხრკოგ თირანგ ბათაქს*.

იწყო იესუ იოჰანესა მიმართ (მ. 11, 7).

იწყო იესუ სიტყვად იოჰანესთს C, იწყო იესუ სიტყვად ერსა მას იოვანესთს A, *ἦρξαντο ὁ ἰησοῦς λέγειν τοῖς δούλοις περὶ ἰωάννου, ἡκούσθησαν* *αὐτοῦ ἐπισημασθέντες*.

X

ჩემ შოვრის და შენ შოვრის მარტოდ
(მ. 18, 15).

ხაქუნდა მას ნაყოფი ფრიად,
ოუნტი სასაყოფადი რაჟიამა (მ. 19, 22).

წარვიდოდა ზღუასა მას გალილე-
აასასა (მრ. 1, 16).

5. გრამატიკული სხვაობანი:

X

სასყიდელ
მოიძულის
შეიყუარის
მიცემულ
უფსკრულსა ზღუსასა
(ასევეა B-ში)
წარვიდეს
ფარისეველნი
ჩემდა
მოხცეს
საკრველთა
დავიმარხე
ჩემიცა
გამოვიდა
სასწაულსა

6. სიტყვათა რიგის ცვლა: ასეთ შემთხვევაში საანალიზო ტექსტი უფრო ხშირად სიტყვათა ისეთ ტექსტშია მოცემული, AC ნუსხები კერძოდ

X

უკუეთუ ხედგას ვისმე კაცსა,
ἐξ ὑψηταί τινι ἀνθρώπῳ (მ. 18, 12).

ხოლო ვამ კაცისა მის, რომლისაგან
საცთურო იგი მოვიდეს,
*πλὴν οὐαί τῷ ἀνθρώπῳ δι' ὃν τὸ σῶν-
θᾶλον ἐρχεται* (მ. 18, 7).

ხოლო არა ეგრე ხიყოს თქუენ
ზედა, *ἐν γ' οὐκ ἔσται ἐν ἡμῖν, ἢ
ἀνθρώποις ἔσται ἢ ἀνθρώποις* (მ. 20, 26).

AC

რაჟამს (რაჟამს C) შენ და იგი ხოლო
მარტონი (—B, ორნი ADE) იყვნეთ,
*μεταξὺ σοῦ καὶ αὐτοῦ μόνου, ἰορθᾶν
ῥοὶ καὶ ἡμᾶς ἕξτε*.

იყო იგი მდიდარ (ფასიერ C) ფრიად,
იყ ვაძრ ἔჯან კაჩმატა პაღაძ.

წარვიდოდა (წარვიდა E, + იესუ BD
EF) ზღუს კიდესა მას გალილე-
აასასა (გალილეასასა C), *παράγειν παρὰ
τῆς θάλασσαν τῆς Γαλιλαίας, ἀνεστῆναι
ἐκ θοκβηθῶν ἡγαλιλαίας*.

AC

სასყიდელი (მ. 6, 16).
მოიძულოს (მ. 6, 24).
შეიყუაროს (მ. 6, 24).
მოცემულ (მ. 13, 11).
უფსკრულთა ზღუსათა
(ზღუათა C) მ. 18, 6.
წარვიდა (მ. 19, 15).
ფარისეველთანი (მრ. 2, 18).
ჩემი (მრ. 5, 9).
მიცემად (ლ. 2, 24).
საკრველთაგან (ლ. 13, 16).
დამიმარხავს (ლ. 18, 21).
ჩემი (ლ. 19, 5).
განვიდა (გავიდა C) ლ. 22, 62.
სასწაულთა (ი. 2, 23).

რიგს იცავს, როგორც ეს ბერძნულ სომხურთან ამკლავებენ სიახლოვეს:

AC

იყოს თუ ვინმე კაცი და ედგას C.
კაცსა თუ ვისმე ედგას A,
ἢ ἔσται ἢ ἀνθρώποις.

ხოლო ვამ მის კაცისა, რომლისაგან
მოვიდეს საცთურო იგი,
*ὅτι ἄνθρωπος ἦν ὃν ἡμῶν ἡμῶν
ἐκ ἡγαλιλαίας*.

ხოლო თქუენ ზედა (შორის C) არა
ეგრე (ეგრეთ B) იყოს (არს C).

ორთოხრაფია

1. რთული ზმნა გ უ ლ ი ს ხ მ ი ს - ყ ო ფ ა IX საუკუნისა და მომდევნო პერიოდის ძეგლებში ორგვარი დაწერილობით გვხვდება: გ უ ლ ი ს ხ მ ი ს - ყ ო ფ ა, გ უ ლ ი ს კ მ ი ს - ყ ო ფ ა. სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნული სიტყვის შესახებ აზრთა სხვადასხვაობაა: მკვლევართა ერთ ნაწილს პირველად აღნიშნული სიტყვა ხ გრაფემით წარმოდგენილი, ხოლო მეორე ნაწილს -- ჯ-ით⁶⁸. ხანმეტი ტექსტის მონაცემებით მართებული ჩანს პირველი დებულება. ტექსტში ეს სიტყვა ყველგან ხ-ჯ გვიჩვენებს. გულისხმის-ყოფაჲ (ლ. 2. 47); გულისხმა-ხყავ (ლ. 19, 44); გულისხმა-ყო (მ. 12, 14; 16, 8; ი 6, 15); გულისხმა-ყვეს (მ. 16, 12; 17, 13; ლ. 2, 50); გულისხმა-ყავთ (მ. 15, 10; ლ. 21, 20).

2. ასევე სხვადასხვა დაწერილობით გვხვდება ძველ ქართულ წერილობით ძეგლებში მეორე რთული ზმნა თ ა ყ ვ ა ნ ი ს ც ე მ ა: თაყუანის-ცემა, თავყუანის-ცემა და თავყანის-ცემა (ეს უკანასკნელი ძალზე იშვიათია). აღნიშნული ზმნის ასეთი ნაირსახეობა ფონეტიკურ ნიადაგზეა წარმომდგარი: თაყუანის-ცემა > თაყვანის-ცემა > თაყუანის-ცემა||თავყუანის-ცემა⁶⁹. როგორც ჩანს, მისი ამოსავალი ფორმაა თაყ-ყანის-ცემა, ხოლო დანარჩენი, მისგან წარმომდგარი, მეორეულია. ხანმეტ ტექსტში ეს სიტყვა ყველგან დაცულია თაყუანის-ცემა ფორმით: თაყუანის-ცემაჲ (მ. 6, 5); თაყუანის-ხცემდა (მ. 8, 2); თაყუანის-ხცემდე (მ. 6, 6); თაყუანის-ხცემდეთ (მ. 6, 5); თაყუანის-ხცეს (მ. 14, 33; 28, 9, 17); თაყუანის-ხცე (მ. 6, 6).

3. მრჩობლი თანხმოვნით დაწყებულ სიტყვებში ორი ერთნაირი ბგერა შენახული: თ თ უ ე, თ თ უ ე ს ა (ლ. 1, 24, 26); ჩ ჩ ჯ ლ ი თ ა (მ. 11, 8), ჩ ჩ ჯ ლ თ ა (მ. 11, 25).

4. ზ ხშირად გვხვდება ნასესხებ სიტყვებში⁷⁰: ჰ ა მ ბ ა ვ ი (მ. 14, 1); ჰ ა ს ა კ ს ა (ლ. 12, 25); ჰ უ რ ი ა თ ა მ (მ. 15, 2); გ ე ჰ ე ნ ი ა ს ა (მ. 5, 30); ჰ ე ბ რ ა ე ლ ე ბ რ (ი. 5, 2), მაგრამ ამ უკანასკნელის პარალელურად ეს სიტყვა ზ-ს გარეშეც არის წარმოდგენილი: ე ბ რ ა ე ლ ე ბ რ (ი. 19, 13).

5. ზ დაცულია მხოლოდ ნასესხებ სიტყვაში: *Հաշտ* — ზ ს ა ნ ა (მ. 21, 15).

6. მ გრაფემის ხმარების თავისებურებანი ქართული წერილობითი ძეგლების გამოცემელთ, ტექსტების მიმოხილვისას, არაერთხელ აქვთ აღნიშნული; ამდენად ჩვენ მათ აქ დაწვრილებით არ შევიხებთ; აღნიშნავთ მხოლოდ იმ მოვლენებს, რომლებიც წინამდებარე ძეგლისთვისაა დამახასიათებელი:

ა. უფროობითი ხარისხის ფორმებში — ხუმეტსს, ხუმრავლსსნი (მ. 5, 37, 47; 11, 9; მ. 12, 40; 14, 31; ლ. 10, 35; 12, 4, 48; 21, 3); ხუმრავლსსნი (მ. 21, 36); ხუმცირსსი (მ. 11, 11; ლ. 9, 48); ხუმჯობსს (მ. 5, 29, 30; 10, 31; 18, 6; მ. 9, 47); ხუწინარსს (ი. 5, 7); ულზინსს (მ. 10, 15). მ-ს პარალელურად, იშვიათად, ე-ც დასტურდება: ხ უ მ ჯ ო ბ ს (მ. 18, 8; მ. 9, 45; ლ. 12, 24), ხ უ წ ი ნ ა რ ს (ი. 17, 5); ხ უ მ ც ი რ ს ს ა (ლ. 12, 26); უ ხ უ ე ს ი (ლ. 15, 25), შდრ.: უხუტსსი (AB).

⁶⁸ ეს საკითხი სათანადო ლიტერატურის მოშველებით, დაწვრილებით აქვს გაშუქებული ი. იმნაიშვილის, იხ. სინური მრავალთავი, გამოკლევა და ლექსიკონი, 1975, გვ. 23—29.

⁶⁹ ა. შანიძე, ძველი ქართული ენის გრამატიკა, 1976, გვ. 22, 26; ი. იმნაიშვილი, ტბეთის ოთხთავი, ძველი ქართული ენის კათედრის შრომები, 20, 1977, გვ. 170.

⁷⁰ ა. შანიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 18.

ანალოგიური ვითარებაა ზმნიზედებშიც: ე გ რ მ თ, ე ს რ მ თ-ის პარალელურად არის ე გ რ ე თ (მ. 5, 19; 18, 14); ე ს რ ე თ (მ. 6, 9; მრ. 2, 12; 12, 19).

ბ. დადასტურებულია პირუკუ შემთხვევებიც, მოსალოდნელი ე ხმოვნის ნაცვლად გვაქვს მ გ რ ა ფემა: „დაიძინის და აღდგის ღამე და ღღმ“ (მრ. 4, 27); „ხელისა დღმ დგა იოპანე“ (ი. 1, 35); „ესე მოვიდა მისა ღამემ“ (ი. 3, 2).

სიტყვა ი ე რ უ ს ა ლ მ შ ი, თუ ტექსტში ქარაგმითაა მოცემული, ჩვეულებრივ, მ გ რ ა ფემით იწერება: ი-მ შ ი (მ. 5, 35; ლ. 21, 20; ი. 2, 23...). ძველ ქართულ წერილობით ძეგლებში დასტურდება შემთხვევები. როდესაც აღნიშნულ სიტყვაში მ-ს ნაცვლად გვაქვს ე. ეს ფაქტი მხოლოდ უქარაგმო ფორმისთვისაა დამახასიათებელი. ხანმეტ ოთხთავშიც ანალოგიური ვითარება გამოვლინდა: ი ე რ უ ს ა ლ ე მ ე ლ თ ა გ ა ნ ნ ი (ი. 7, 25).

მ გ რ ა ფემის ხმარება ნორმაა შ მ ნ ზ მ ნ ი რ ფუძესა და მისგან ნაწარმოებ სიტყვებში: ხაშმნებთ (მ. 23, 29); აღხაშმნებლ (მრ. 15, 29); აღაშმნა (მ. 7, 26); აღაშმნო (მ. 16, 18; მრ. 14, 58); შმნებულ (ლ. 21, 5); შმნებულთა (მრ. 13, 2); შმნებულებამ (მრ. 13, 1).

გ. ჰე ნაწილადი ერთხელ შეგვხვდა მ შ ფორმით. ამ შემთხვევაში მისი ხმარება კანონზომიერია, ვინაიდან წინადადებაში ის სახელის ფუნქციითაა ნახმარი და, როგორც ქვემდებარეს, სახელობითი ბრუნვის ფორმა აქვს: „ხიყაენ სიტყუამ თქუენი: მ შ ჰე და არამ არა“ (მ. 5, 37).

ანალოგიური ვითარებაა გ ა რ ე შ ე ს რ ტყევაშიც: „რომელმან იგი გ ა რ ე-შ ე შექმნა“ (ლ. 11, 40).

დ. ე მ დიფთონგის ხმარების ერთადერთი შემთხვევა დადასტურდა. მისი გრაფიკული ექვივალენტის მ-ს ნაცვლად: ნ ო ე მ ს ს ა (ლ. 3, 36).

7. ა, რომელიც იხმარება ა, ე, უ, ო ხმოვნების შემდეგ და მათთან შეერთებით ქმნის დამავალ დიფთონგს, კლასიკური ენის ნორმებს იცავს. არის თითო-ორი გამონაკლისი:

ა. ა არაა წარმოდგენილი იქ, სადაც გრამატიკული ნორმის თანახმად მისი არსებობა აუცილებელია: „ქ მ ა ხიყო ზეცით“ (მრ. 1, 11), შდრ.: ქ მ ა მ (ABCDEF); „ხბოთ განსუენებამ სულთა თ ქ უ ე ნ თ ა“ (მ. 11, 29), შდრ.: თ ქ უ ე ნ თ ა მ (ABEF); „ვერ კელ-ხეწიფების ღმროთისა მონებად და მამონასა“ (ლ. 16, 13), შდრ.: მამონასა (ACDEF).

ბ. რა კავშირი გვხვდება როგორც რა, ასევე რა მ ფორმითაც: „ხესმა რა ესე“ (მ. 22, 22); „ხითხველიდეს რა ზღუასა“ (მრ. 1, 16); „ქდა რა იგი საზეერესა ზედა“ (მრ. 2, 14); „ამას რა ხიტყოდა თავადი“ (ლ. 13, 17); „ხესმა რა ესე იესუს“ (ლ. 18, 22); „ვიდოდა რა იგი“ (ი. 1, 36); „აღ-რ-ა-ხეს-რულენეს დღენი იგი, შეხებშია“ (ლ. 4, 2); „გამო-რ-ა-ვიდოდა, ორა დრამკანი მიხცა“ (ლ. 10, 35); „მი-რ-ა-ილო, არა ხუნდა სუმის“ (მ. 27, 34); „მო-რ-ა-ვიდე, მიგცე შენ“ (ლ. 10, 35); „შე-რ-ა-ხედეთ თქვენ ქალაქად“ (მრ. 14, 13); „ხესმა რა მ ესე იესუს“ (მ. 8, 10); „ვიდოდა რა მ ზღუასა ზედა“ (მ. 14, 26; ი. 6, 19); „ქდა რა მ იგი მთასა მას“ (მრ. 13, 3); „აღ-რ-ა-მ-დგა მკუდრეთით“ (ი. 21, 14); „გამო-რ-ა-მ-ვიდოდა იგი ტაძრით“ (მრ. 13, 1).

¹¹ ეს მოვლენა აღნიშნული აქვს ა. შ ა ნ ი ძ ე ს, იხ. ბეგრათა ცვლება ენის ისტორიული განვითარების პროცესში და ორფოგრაფია, ძვ. ქართული ენის კათედრის შრომები, 19, 1976, გვ. 14.

გ. მ ზოგჯერ არაა წარმოდგენილი ხ უ ფ რ ო მ ს სიტყვაში: ხ უ ფ რ ო ს (მ. 5, 20; 10, 24, 25; 18, 4, 13; მრ. 12, 43; ლ. 12, 28). ხ უ ფ რ ო მ ს (მ. 7, 11; 10, 6; 10, 28; 10, 37; 11, 11; მრ. 14, 31; ლ. 11, 13; 13, 2; 13, 4; ი. 8, 53; 21, 15).

დ. უარყოფითი ნაწილაკი არა დადასტურდა არაა ფორმითაც: „ხი-ყვენ სიტყუა თქუენი: ჰმ ჰე და არაა არა“ (მ. 5, 37). ამ შემთხვევაშიც არა ნაწილაკი ისევე, როგორც ჰმ, წინადადებაში ქვემდებარის როლში გამოდის და ამიტომ არის სახელობითი ბრუნვის ნიშნით გაფორმებული. ასევე: „მან არაა მიხუგო“ (მრ. 15, 3).

8. ვ გრაფემის ნაცვლად იხმარება უ ხმოვანი: „მკუღრ არიან იერუსალმს“ (ლ. 13, 4). საანალიზო ტექსტში აღნიშნული სიტყვა ამ ფორმით მხოლოდ ერთხელ დადასტურდა. დანარჩენ შემთხვევებში ყველგან მკუღრი გვაქვს (მ. 21, 38; 22, 24; მრ. 12, 19).

არის პირუტყუ შემთხვევაც: უ-ს ენაცვლება ვ: „მოვალ და ხუეძიებ ნაყოფსა ლელუსა ამას შინა“ (ლ. 13, 7), შდრ.: ნაყოფსა ლელუსა (BCEF).

ფონეტიკა

თანხმოვანთა ასიმილაცია. 1. ასიმილაციური დაყრუება: მკუღრი დ-ს დაყრუების შედეგად მივიღეთ თ: „შეგიფთ შენ“ (მ. 19, 27). წინამჟღადი თ-ს გავლენით სიტყვაში დღითი-დღითისა (ლ. 1, 5) დაყრუვდა დ.

2. ასიმილაცია ბგერათწარმოების რაგვარობის მიხედვით: ხანმეტი ტექსტში ერთმანეთის პარალელურად იხმარება დაბრკოლება, დაპკოლება სიტყვები. ეს უკანასკნელი მიღებულია რ ბგერის დაკარგვის შედეგად. სადაც ბკ კომპლექსმა ასიმილაციით მოგვცა ჰკ⁷²: „იგი დაბრკოლდეს“ (მ. 15, 12); „დაბრკოლდებოდიან მრავალნი“ (მ. 24, 10); რომელი არა დაპკოლდეს (მ. 11, 6), მაგრამ ამავე დროს არის დაპრკოლება ფორმაც (მ. 18, 6).

შიშინა აფრკატი შ შეცვლილია სიტყვის ფუძეში ს სპირანტი: „დახკას კარი შენი“ (მ. 6, 6), შდრ.: დაჰკაშ (ABCD).

ბგერათა განვითარება. 1. ვ გრაფემა განვითარებულია:

ა. უკვეციელი უ ხმოვნის შემდეგ: ყრუმა (მ. 12, 22; ლ. 11, 14), მაგრამ გვაქვს ყრუენი (მ. 15, 30, 31); ყრუეთა (მ. 11, 5); ცრუესა წამებდეს (მრ. 14, 56, 57); ცრუე-წინაწარმეტყუელნი (მ. 7, 15; 24, 11).

ბ. შორის თანდებულსა და მისგან ნაწარმოებ ზმნიზედებსა და ზმნებში გვაქვს: შოვრის (მ. 6, 2; 8, 10; 10, 16; მ. 13, 56; ლ. 2, 44, 46 და ა. შ.); შოვრს (ი. 21, 8); შოვრსა (ლ. 19, 12); შოვრად (მ. 15, 8; ლ. 20, 47); შოვრით (მ. 27, 55); განშოვრებულ (მ. 14, 24); განმეშოვრენით (მ. 7, 23);

გ. ნასესხებ სიტყვაში: სტოვა (ი. 5, 2), შდრ.: სთძ.

დ. როგორც წესი, იგი იხმარება ცხოვრება სიტყვაში: ცხოვრება (მ. 19, 16, 29...) და ამ ფუძიდან ნაწარმოებ სახელებში: საცხოვრებელი (ლ. 15, 30); საცხოვრებელად (მრ. 12, 44).

⁷² ზ. სარჩველაძე, ქართული სალიტერატურო ენის ისტორიის საკითხები, 1975, გვ. 62.

2. მ გრაფემა განვითარებულია სიტყვაში მქვშასა (მ. 7, 26).

3. უ ხმოვანი განვითარებულია ორ მრჩობლ თანხმოვანს შორის და ჩუჩუნიან (მ. 24, 32).

4. ნ გრაფემა სიტყვაში — ბნდუნვარმ (მ. 12, 20).

5. ძველ ქართულ წერილობით ძეგლებში არის შემთხვევები, როდესაც მოკმედებითი ბრუნვის ურთ თანდებული მცდარი გააზრიანების გამო თურთის ფორმით არის წარმოდგენილი⁷³, ანალოგიური მოვლენა დასტურდება წინამდებარე ძეგლშიც: „ხიყო იგი დაღონებულ და ვერ ხეძლო ზე აღხილვად ყოველი თოურთ“ (ლ. 13, 11).

ბგერათა მონაცვლეობა: 1. უ ხმოვანი ენაცვლება ე-ს: „ყუენეს ივინი“ (მ. 7, 24), შდრ.: „არა ყენეს ივინი“ (მ. 7, 26); „რომელთა თანახიყუნეს“ (მ. 27, 56), შდრ.: „შობისა დღენი ხიყუნეს ჰეროდესნი“ (მ. 14, 6). აღნიშნული ფორმები ტექსტში ერთმანეთის პარალელურად იხმარება.

2. ძველ ქართულ წერილობით ძეგლებში საოცარ სიტყვა მტწილად საუცარ ფორმით გვხვდება. წინამდებარე ძეგლში დასტურდება საოცარ (მ. 14, 26), შდრ.: საუცარ (ABCDEF).

3. საანალიზო ტექსტში სიტყვა ნაყუერცხალი ნაკუაძხალ (ი. 21, 9) ფორმით გვაქვს. ამ უკანასკნელში, რომელიც მიღებულია პირველისაგან⁷⁴, დაკარგულია აგრეთვე რ თანხმოვანი.

4. საყუთარი სახელი იოსებ ორგვარი დაწერილობით გვხვდება: იოსებ (მ. 13, 55; 27, 59); იოსებცა (ლ. 2, 4); იოსების (მ. 27, 56) და იოსეფ (ქათაძე) ლ. 1, 27; იოსეფისა (ლ. 3, 30).

5. ლ-ს ნაცვლად გვაქვს რ: „მკვლობელნი ვლენან, განბოკრებულნი განწმინდებიან“ (მ. 11, 5). შდრ.: განბოკლებული (მ. 8, 2).

ბგერათა დაკარგვა: 1. ზმნისწინისეული ბოლო თანხმოვნის დაკარგვით წინამდებარე ძეგლში გამარტივებულია აღ ზმნისწინი. ამის ორი შემთხვევა გვაქვს: „ხიყო აღსრულებასა მას დღეთა ამაღლებისა მისისათა“ (ლ. 9, 51); „არავინ აქ და ზეცად“ (ი. 3, 13).

2. სიტყვის თავში მ-ს დაკარგვით გამარტივებულია თანხმოვანთა კომპლექსი: მარხველად (მ. 6, 16, 18), შდრ.: მმარხველად (ABDEF).

4. ერთად მოხვედრილი ორი ერთნაირი თანხმოვნიდან ერთ-ერთი იკარგება. ნ: „თქუნენი თავისა თმანი“ (მ. 10, 30), შდრ.: თქუნენი (BCF). „განირყუნია პირნი მათნი“ (მ. 6, 16); „რომელსა ხესმენ სიტყუანი ესე ჩემნი“ (მ. 7, 26); „წარიყევანა იესუ პეტრე და იაკობ და იოჰანე“ (მ. 17, 1); „განაკურნა ივინი“, მ. 12, 15 (პირდაპირი ობიექტის მრავლო-

⁷³ კილ-ტრატის იადგარი, გამოსცეს და გამოკლევა დაურთეს ა. შანიძემ. ა. მარტროსოვმა და ა. ჩიშიაშვილმა, 1977, გვ. 262; ივ. იმნაიშვილი, სახელთა ბრუნება და ბრუნვათა ფუნქციები ძველ ქართულში, 1957, გვ. 354.

⁷⁴ ზ. სარჩველაძე, დასახ ნაშრომი, გვ. 112.

ბითობის ნიშანი წ აკლია ზმნას მაშინ, როცა ზმნის ფუძე ნ თანხმოვნით მთავრდება)⁷⁵.

5. ვ იკარგება ორ ო ხმოვანს შორის: პ ო ო ს (მ. 10, 39; 16, 25; 18, 13; 24, 46); ხ პ ო თ (მ. 11, 29; ლ. 11, 9). ერთადერთი შემთხვევა დადასტურდა, სადაც ვ შენარჩუნებულია: პ ო ვ ო ს (ლ. 11, 10); ი თ ხ ო თ ნ (მ. 18, 19).

6. რთულ რიცხვით სახელში იკარგვის თ: „ოთხმეოც და აცხრამეტი“ (მ. 18, 12).

7. აბსტრაქტული სახელები, -ემა სუფიქსით ნაწარმოები, წინამავალ ხმოვანთან მეზობლობაში, ხშირად ავითარებენ ვ ბგერას. საანალიზო ტექსტში ასეთი სახელები ამ გრაფემის გარეშე გვხვდება: ს ა რ წ მ უ ნ ო ე ბ ა მ (მ. 8, 10; ლ. 17, 5, 6), შღრ.: სარწმუნოვება (DE); უ ს ჯ უ ლ ო ე ბ ი ს ა ნ ი (მ. 7, 23), უ ს ჯ უ ლ ო ე ბ ი ს ა მ თ ა (მ. 24, 12), შღრ.: უშჯულოვებისანი (LDE), უშჯულოვებისათა (BE); უ ც ო მ ო ე ბ ი ს ა ს ა (მრ. 14, 12), შღრ.: უცომოვებისასა (AD).

8. ძველ ქართულ წერილობით ძეგლებში კ უ ა ლ ა დ შემოკლებულად კ ლ დ ფორმით იწერება. ტექსტების გამომცემელნი მას უკუმშველად ხსნიან და წერენ კ უ ა ლ ა დ. წინამდებარე ძეგლში აღნიშნული სიტყვა ორგვარი დაწერილობისაა, შეუკუმშველი და შეკუმშული სახისა: კ უ ა ლ ა დ (მ. 17, 11; მრ. 3, 5; ლ. 6, 34; 14, 12); კ უ ლ ა დ (მ. 21, 36; მრ. 12, 4; ლ. 13, 20; 20, 12; 23, 20).

9. საანალიზო ტექსტში მეტწილად შეუკუმშველი ფორმები დასტურდება. ერთი შემთხვევა გვაქვს სიტყვის შეკუმშვისა: „ხიქმედ ს ა ჩ უ ე ნ ე ბ ლ ა დ კაცთა“ (მ. 23, 5).

ხანმეტ ოთხთავში ვხვდებით აგრეთვე შემთხვევითი ხასიათის, ანუ უნებლიე შეცდომებს: ასოთა დაკლებას; ასოთა მექანიკურ გადასმასა და გამეორებას, განსაკუთრებით სიტყვის გადატანის დროს; სიტყვათა გამეორებას და სხვა. ყველა ამ რიგის შეცდომა ვასწორებულია და სათანადოდ არის ასახული აპარატში.

ა ს ო თ ა და კ ლ ე ბ ა: საფასეთა ცა¹თა¹ შინა (მ. 6, 20); წარმართთა¹სა¹ (მ. 10, 5); დ¹სა აპა (მ. 28, 9); ხესმეს (მ. 28, 14); ხნერა წუუვიდენ (მრ. 10, 34); არზიოქითხავსა (მრ. 12, 26); ქვისასა (მრ. 13, 2); ხრქელსა (ლ. 4, 43); ხუყოფლით (ლ. 6, 27); დახუპყრიეს (ლ. 13, 7); ხუსა მსგავსო (ლ. 13, 18); მოხენ-ანლა (ლ. 15, 25); მოხიყვანა (ლ. 15, 27); შეგაკრიზონ (ლ. 19, 43); გალილე ევლთა (ი. 4, 45); ზეგარდაშო (ი. 19, 11); ზოგარს (ი. 21, 8).

ა ს ო თ ა მექანიკური გადასმა: არჩილთა (ლ. 1, 79).

ა ს ო თ ა და მ ა რ ც კ ა ლ თ ა მე ტ ო ბ ა: თუსი (სი) სა (მ. 14, 3); (იხ) იხილონ (მ. 24, 30); სოფლ(ლი)სა (ი. 17, 6).

ა ს ო თ ა და მ ა რ ც კ ა ლ თ ა გამეორება სიტყვის გადატანის დროს: განხითხინენ (მ. 8, 12); გამოიილიან (ლ. 8, 15); ხი|ხიყო (ლ. 10, 38); გან|განყოფილ (ლ. 12, 52).

ს ი ტ ყ ვ ა თ ა გამეორება: „აწ აღდგომასა ვისა შუდთაგანისა ხიყოს ხიყოს იგი ცოლად“ (მ. 22, 28); „მიიღეს ვიცხლი იგი იგი“ (მ. 28, 15).

წ ი ნ ა და დ ე ბ ა ს ტ ი ლ ი ს ტ უ რ ა დ გა უ მ ა რ თ ა ვ ი ა: „ხიყოს-მე ვინ თქვენგანი კაცი, რომელი ხთხოვდეს ძმ თუსი პურსა (მ. 7, 9), შღრ.:

⁷⁵ ზ. სარქველაძე, ნ სუფიქსი გამობტული, მრავლობით რიცხვში დასმული სახელის ზმნასთან შეუთანხმებლობის შემთხვევები ქ. ქართულში, „მაგნე“, 1969, № 3, გვ. 233.

რომელსა (ABCDEF); „წინაშე მსაჯულთა და მეფეთა წარგიდგინენ თქვენ“ (მ. 10, 18), უნდა იყოს წარგადგინენ; ფარისეველთა არა ხესმა სიტყუაი იგი, დაბრკოლდეს (მ. 15, 12), შდრ.: რაა (ABDEF).

მორფოლოგია

სახელი. სახელთა ბრუნება კლასიკური ენის ნორმებს ემორჩილება.

1. საკუთარ სახელთაგან აღსანიშნავია სახელი ქრისტე. ის განსხვავებულად იბრუნვის⁷⁶. სახელობით ბრუნებაში არის როგორც ქრისტე, ისე ქრისტმ: „ესე არს ქრისტე“ (ლ. 4, 41); „ესე არს ქრისტმ“ (ი. 7, 26); „შენ ხარ ქრისტმ“ (მ. 16, 16; ლ. 4, 41; ი. 6, 69); „აჲ ქრისტმ, ტარიგი ღმრთისაჲ“ (ი. 1, 36); „ქრისტმ ოდეს მოვიდეს არაჲინ იეოლის“ (ი. 7, 27).

2. როგორც ცნობილია, სახელები, რომელთა ფუძე ილ-ზე თავდება, ვითარებით ბრუნებაში ბრუნვის ნიშნად მარტო დ-ონს დაირთავს. ვითარებითის დ-ის დართვისას მათ ეკარგებათ ფუძისეული ლ თანხმოვანი. წინამდებარე ძეგლში ამის ნიმუშებია: ადგილ-ადგილ (მ. 24, 7; ლ. 21, 11); სიკუდილ (მრ. 10, 33; ი. 4, 47); ტირიდ (მრ. 14, 72).

ანალოგიური ვითარებაა სახილ ფორმაში. წარვედ სახილ შენდა (მრ. 2, 11).

3. ძველ ქართულ წერილობით ძეგლებში ძირითადად ნ-არიანი მრავლობითი იხმარებოდა, თუმცა არც ებ-იანი მრავლობითი იყო მათთვის უცხო. ხანმეტ ტექსტში ნ-არიანი მრავლობითის პარალელურად ებ-იანიც დასტურდება: ქალაქები (მ. 10, 23); მკელობელები (მ. 15, 30; ი. 5, 3); ბრმები (მ. 15, 30; ი. 5, 3); ყრმები (მ. 19, 13; 21, 15); ტყრთები (მ. 23, 4), სულები (მრ. 5, 13); მწყემსები (მრ. 5, 14); ქვები (მრ. 13, 1); განმელები (ი. 5, 3); ერდობსა (მ. 10, 27); ყრმებსა (მ. 19, 14; მრ. 10, 14); ღორებსა (მრ. 5, 12, 13); დაბნებსა (მრ. 5, 14); სახლებსა (მრ. 12, 40); ტრედებსა (ლ. 19, 45).

ზმნა. ხ პრეფიქსი იხმარება:

1. მე-2 სუბიექტური პირის ნიშნად: „ნუცა თავსა შენსა ზფუცავ“ (მ. 5, 36); „შეხიყუარო მოყუასი შენი და მოხიძულო მტერი შენი“ (მ. 5, 43); „თავყუანის-ხეც მამსა შენსა“ (მ. 6, 6); „რამეთუ ზამშნებთ საფლავსა წინაწარმეტყუელთასა“ (მ. 23, 29); „რასა ზხამთ და აღხსნით კიუქსა მავას“ (მრ. 11, 5); „რომელსა ზედა ხიხილო სული გარდამომაველი“ (ი. 1, 33)...

2. მე-3 ირიბი ობიექტური პირის ნიშნად: დახეცა (მ. 7, 25); ხეითხვიდეს (მ. 17, 10); ხემსგავსა (მ. 18, 23); მოხუარეს (მ. 19, 13); მიხხედა (მ. 19, 26); აღხუთქუა (მ. 20, 2); ხუყოს (მ. 21, 40); მიხუგო (მ. 22, 29), ხუბრძანა (მ. 28, 16); ხევედრებოდა (მრ. 10, 17); მოხუქდა (მრ. 12, 28); ხარქუთ (მრ. 14, 14); მიხუდგა (ლ. 1, 24); ხუკურდა (ლ. 2, 18); დახუდვა (ლ. 13, 8); მოხუწოდა (ლ. 16, 2); ხეითხა (ლ. 18, 18); მიხეახლა (ლ. 19, 41); მოხუენ (ლ. 20, 10); ხევედრებოდა (ი. 4, 47); მიხცა (ი. 21, 13); გამოხუცხადა (ი. 21, 14)...

⁷⁶ ივ. იმნაიშვილი. სახელთა ბრუნება და ბრუნვათა ფუნქციები ძველ ქართულში. გვ. 381.

3. მიცემით ბ რ უ ნ ვ ა შ ი დ ა ს მ უ ლ ი მ ე - 3 პ ი რ დ ა პ ი რ ი ო ბ ი - ე ქ ტ ი ს პ ი რ ი ს ნ ი შ ნ ა დ: განხასხაშ (მ. 12, 26); ხადიდებდეს (მ. 15, 31); განხიზრახვიდეს (მ. 16, 7); შეხჰამენ (მრ. 12, 40); ხედვიდა (მრ. 12, 41); დახკვიდეს (მრ. 14, 12); ხვიდეს (ლ. 19, 45); დახამტიცებდა (ლ. 22, 59); ხარწმუნებდა (ი. 2, 24); ხეძიებდეს (ი. 7, 25); ხჰყის (ი. 8, 50); დახუმარხავს (ი. 17, 6); გამოხითრევედს (ი. 21, 8)...

„წარხასარულნა იესუ სიტყუანი“ (მ. 7, 28); „დახასარულნა იესუ იგავნი“ (მ. 13, 53), ეს ზმნები ორპირიანია, მაგრამ ისინი წარმოშობით სამპირიანი არიან; ამ ზმნას ე-ნიანი ვნებითიც აქვს: „მატლი მათი არა დახესრულების“ (მრ. 9, 48). „რომელმან განხალოს საშოა“ (ლ. 2, 23), შდრ.: „რომელი ხირენ, განხელის“ (მ. 7, 8).

4. ი-ნი ან ვ ე ბ ი თ ე ბ თ ა ნ; ხჰქშოდეთ (მ. 7, 22); ხიქმნა (მ. 28, 11); ხიქცეოდა (მ. 21, 17); დახიპარილოს (მრ. 9, 49); ხივლტოდეს (მრ. 16, 8); დახითქმოდეს (ლ. 5, 7); ხიტანჯოს (ლ. 12, 47); მოხიყვანა (ლ. 15, 27); ხიპოვც (ლ. 15, 32); ხიმოსებოდა (ლ. 16, 19); დახირლუეს (ლ. 21, 6); აღხირლუეს (ი. 5, 7)...

5. ხანმეტ ფორმებში პირველი სუბიექტურისა და მესამე ობიექტური პირების შეხვედრისას პირველი სუბიექტური პირის ნიშანი ვ, რომელიც მოძრავ ბგერად ითვლება, ადგილს ინაცვლებს, დგება ხ-ს შემდეგ და იქცევა უმარცვლო უ-დ: „მას ხ უ რ კ ე ვ: წარვედ და წარვიდის“ (მ. 8, 9), შდრ.: ეპრქე (ABDEF); ამისთვის იგავით ხ უ ე ტ ყ ვ“ (მ. 13, 13), შდრ.: ეეტყვ (ABCDEF); „ორი სხუა ტალანტი შე ხ უ ძ ი ნ ე“ (მ. 25, 22), შდრ.: შეესძინე (ABCDEF); „ჩუენ ხ უ ა რ წ მ უ ნ ო თ“ (მ. 28, 14), შდრ.: ვარწმუნოთ (ABCDEF); „რასა ხ უ ა მ ს გ ა ე ს ო სასუფეველი“ (მრ. 4, 30; ლ. 13, 18, 20), შდრ.: ვამსგავსო (ABCDEF); „ჩუენ ხ უ ა ყ ე ნ ე ბ დ ი თ მ ა ს“ (ლ. 9, 49), შდრ.: ვაყენებდით (ABCDEF); „გ ა ნ ხ უ ა ს ხ ა მ ე შ მ ა კ თ ა“ (ლ. 11, 19, 20), შდრ.: განვასხამ (ABCDEF); „ნუ ხ უ ე ძ ი ე ბ ნ ა ყ ო ფ ს ა ლ ე ლ ს ა“ (ლ. 13, 7), „მე არა ხ უ ე ძ ი ე ბ დ ი დ ე ბ ა ს ა ჩ ე მ ს ა“ (ი. 8, 50), შდრ.: ვეძიებ (ABCDEF); „არასადა მცნებასა შენსა გ ა რ დ ა ხ უ ჯ ე დ“ (ლ. 15, 29), შდრ.: გარდავჰვედ (ABDEF); „მ ი ხ უ ა გ ო ო თ ხ ი წ ი ლ ი“ (ლ. 19, 8), შდრ.: მივაგო (ABCDEF); „ნაყოფთა ჩემთაჲ მ ი ხ უ ც ე გ ლ ა ხ ა კ თ ა“ (ლ. 19, 8), შდრ.: მივსცე (ABCDEF); „რომელნი მომცენ, მე მ ი ხ უ ც ე ნ მ ა თ“ (ი. 17, 8), შდრ.: მივსცენ (ABDEF); „რომელი ჩემდა მოვიდეს, არა გ ა ნ ხ უ ა ძ ო გ ა რ ე“ (ი. 6, 37), შდრ.: განვადო (ABCDEF); „პ ა ტ ი ვ - ხ უ ც ე მ მ ა მ ა ს ა ჩ ე მ ს ა“ (ი. 8, 49), შდრ.: -ვისცემ (-ვპსცემ D) ABDE. მაგრამ ამით გვერდით არის განხვასხამ ფორმაც (მ. 12, 28).

6. ნორმიდან გადახვევის რამდენიმე შემთხვევა დადასტურდა:

ა. მოსალოდნელი ხ პრეფიქსი არ არის შემდეგ ზმნებში: გამოუცხადოს (მ. 11, 27); განვასხამ (მ. 12, 27); მოვეგუარე (მ. 17, 16); ხედვიდეს (მ. 27, 55; ი. 2, 23); დაუშთეს (მრ. 12, 19); დაუშთა (მრ. 12, 21, 22); დაიმარილოს (მრ. 9, 50); უკვრადცა (მრ. 15, 5); ნუ შეძრწუნდებინ (ი. 14, 1);

უფროობითი ხარისხის ფორმასთან: უმეტეს-ლა (მრ. 14, 31).

ბ. ერთგან გვაქვს დასტეისის ფორმა (მრ. 4, 26). მაშინ, როდესაც ამ

ზმნასთან სხვა შემთხვევაში ხ ყოველთვის დასტურდება: დახთესი (მ. 25, 24); დახთესის (მრ. 4, 31); დახთესა (ლ. 13, 19); ხთესვენ (ლ. 12, 24).

7. წინამდებარე ტექსტში ხშირია ტმესის შემთხვევები: მო-ვე-ხელოს (მ. 13, 12); ალ-რა-ხესრულნეს (ლ. 4, 2); მო-რამე-ხუმზადონ (ლ. 9, 52); მი-ვე-ხეცე (ლ. 12, 59) და ა. შ. ხანმეტ ოთხთავში ერთი შემთხვევა დადასტურდა, როდესაც პირის ნიშანი ნაწილაკის წინ ღვას: შე-ხ-თუ-იკლიმონ (მ. 21, 37). ის გადამწერის მიერ უნებლოდ დაშვებული შეცდომა ჩანს და საინტერესოა ის, რომ ამ შეცდომამ მოგვიანო ხანის ნუსხაშიც იჩინა თავი, ოღონდ იქ სხვაგვარად იქნა ის გააზრებული. გიორგი მთაწმიდლის რედაქტირებულ ოთხთავში შესაბამის ადგილას ვკითხულობთ: შე-ხოლო-თუ-იკლიმონ⁷⁷. უდავოა, რომ გიორგიმ, რომელსაც ხელში ეჭირა ერთ-ერთი უძველესი თარგმანი, მცდარად დასმული ხ პრეფიქსი ხოლო კავშირად გაიგო.

8. ძველ ქართულ წერილობით ძეგლებში „ოდ“ და „დ“ სავსებითან ზმნათა უღლების გათანაბრების შემთხვევები დასტურდება⁷⁸. ასეთი ფაქტი ხანმეტ ძეგლშიც გამოვლინდა: „უ წყ ო დ ი თ. რამეთუ ახლოს არს ზაფხული“ (მ. 24, 32), შდრ.: უწყოდეთ BCDE (ე. ი. I ბრანებიითში ნაცვლად ე მწკრივის ნიშნისა, არის ა).

9. მოსალოდნელი II ხოლმეობითის ნაცვლად გვაქვს წყვეტილი: „მას ხურქვ წარვედ. და წარვიდის და მონასა ჩემსა ხ უ ბ რ ძ ა ნ ა: „ყავ ესე, და ყვის“ (მ. 8, 9), შდრ.: უბრძანი C.

10. ზმნა მესამე პირის ფორმით არის მოცემული, ნაცვლად მეორე პირისა: „ორნი ფერჯნი თუ ხ ე ს ხ ნ ე ნ და შთახვარდე ცეცხლსა მას საუუენსა“ (მ. 18, 8), შდრ.: გესხნენ ABDEF.

11. ხანმეტ ტექსტში იკითხება ხ რ ქ უ ა (მ. 7, 23). კონტექსტის მიხედვით ზმნა პირველ პირში უნდა იყოს მოცემული, შდრ.: ვპრქუა (ვრქუა) ABDEF.

12. -ებ თემის ნიშნის ნაცვლად არის -ობ: დიდ-დიდნი მათნი კელმწი. ფობედ მათ ზედა (მრ. 10, 42), შდრ.: კელმწიფებედ ABDEF.

ს ი ნ ტ ა ძ ს ი

1. ძველ ქართულ ენაში, როგორც წესი, ნ-არიან მრავლობითში მდგომი პირდაპირი ობიექტი ზმნაში -ენ (-ნ) აფიქსს აჩენს, მაგრამ ქართულ წერილობით ძეგლებში ხშირია ამ წესის დარღვევის შემთხვევები⁷⁹. ანალოგიური ვითარებაა ხანმეტ ტექსტშიც: მიხედვდა მას ერი მრავალი და განკურნა იგინი, მ. 12,15; განირყუნია პირნი მათნი (მ. 6,16); იიხილა სიმონ და ანდრეა“ (მრ. 1,16).

⁷⁷ ივ. იმნაიშვილი, ქართული ოთხთავის ორი ბოლო რედაქცია, გვ. 332.

⁷⁸ ა. შანიძე, სამი მწკრივის წარმოგ.ს თავისებურებანი ძველ ქართულში, საქ. სსრ მეცნ. აკად. მოაზმე, ტ. VI, № 10, 1945, გვ. 835; ზ. სარაჯეღაძე, ქართული სლავო-რატურა ენის ისტორიის საკითხები, გვ. :57—162.

⁷⁹ ა. ჩიქობავა, რით არის წარმოდგენილი მრავლობითის სახელობითი დასმული მორფოლოგიური ობიექტი ძველ ქართულში, ტფილისს უნივერსიტეტის მოაზმე, IX, 1929, გვ. 107—119; ა. შანიძე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, I, 1953, გვ. 186; ი. იმნაიშვილი, სახელთა ბრუნება და ბრუნვათა ფუნქციები ძველ ქართულში, 1957, გვ. 270; ა. კიზირია, მარტივი წინადადების შედგენილობა ძველ ქართულში, 1963, გვ. 147—148; ზ. სარაჯეღაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 223—240.

2. ებ-იან მრავლობითში მდგომი სახელი ძველი ქართული ენის ნორმის მიხედვით ზმნაში ნიშანს ვერ აჩენს. ქართულ წერილობით ძეგლებში ამის პარალელურად მიანიც დასტურდება ებ-იანი მრავლობითის ზმნასთან შეთანხმების ფაქტები⁸⁰. ასეთივე ვითარებაა ხანმეტ ტექსტშიც:

ა. ებ სუფიქსიანი მრავლობითი სუბიექტისა ზმნაში მრავლობითი რიცხვის ნიშანს ვერ აჩენს: „ყ რ მ ე ბ ი ი გ ი რ ო მ ე ლ ლ ა დ ა დ ე ბ ლ ა ტ ა ძ ა რ ს ა შ ი ნ ა“ (მ. 21, 15); „გ ა ნ ვ ი დ ა ს უ ლ ე ბ ი ი გ ი ა რ ა წ მ ი ლ ა მ“ (მრ. 5, 13); მოძღუარ. იხილე, რაბამი ქვეები არს“ (მრ. 13,1);

ბ. ებ სუფიქსიანი მრავლობითი ობიექტისა ვერ ითანხმებს ზმნას მრავლობით რიცხვში: „ვერ დახასრულოთ ქალაქები ისრაელისა“ (მ. 10, 23); „მოხგუარეს მას ყრმები“ (მ. 19, 13); „შეკრიან ტურთები მძიმე“ (მ. 23,4).

გ. ებ სუფიქსიანი მრავლობითი სუბიექტის ზმნასთან შეთანხმების ერთი მაგალითი დადასტურდა: „მწყემსები იგი მათი ხიელტოდეს“ (მრ. 5, 14).

3. როგორც ცნობილია, ძველ ქართულში პირდაპირი დამატება წრფელობით ბრუნვაში დგას ზოგიერთ ზმნასთან, როგორცაა სცა, ილო. იხილა, პრქუა, უწოდა და ა. შ.⁸¹ ხანმეტ ტექსტში კი უწოდებს ფორმასთან, მოსალოდნელი პირდაპირი დამატების ნაცვლად, გვაქვს ვითარებით ბრუნვაში დასმული უბრალო დამატება: „გამოირჩინა ათორმეტნი მათგანნი, რომელთაც მოციქულად ხუწოდა“ (ლ. 6,13), შდრ.: მოციქულ ABCDEF.

4. „შენი ყოველი ჩემი არს და ჩემი შენი არს“ (ი. 17, 10). ეს წინადადება ამ სახით მხოლოდ ხანმეტ ტექსტშია დადასტურებული. ჩვენ მიერ გამოყენებულ ნუსხებში წინადადების რიგი შებრუნებულია: „ჩემი ყოველი შენი არს და შენი ჩემი არს“. ასევეა ბერძნულშიც.

ხანმეტი ოთხთავის ბერძნობები

ხანმეტი ოთხთავის ტექსტის უცხოენოვან (ბერძნულ-სომხურ) წყაროებთან შედარებამ უფრო ხელშეშახებად წარმოაჩინა ბერძნულის გავლენა. იგი გამოვლინდა ლექსიკაში, სიტყვათა წარმოებაში, ბერძნულისებურად აგებულ წინადადებაში და ე. წ. non sens-ებში, ე. ი. მტლარ ფორმებში, რომელთა ასახსნელადაც გასაღებს ბერძნული ტექსტი იძლევა. ეს უკანასკნელი ს. ყაუხჩიშვილს აღნიშნული აქვს თავის შრომაში⁸² და ამდენად ჩვენ მათ აქ არ შევეხებით:

⁸⁰ ვ. კ. თ. ი. ი. ა. - ებ ნიშნიანი მრავლობითი რიცხვის სინტაქსური ძალისათვის ძველ ქართულში, იკე, VII, 1955, გვ. 37; ივ. იმნაიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 304—309; ზ. სარაქველიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 241—243.

⁸¹ ი. ი. ი. ი. ი. ი. ი. სახელთა ბრუნება... გვ. 640.

⁸² ს. ყაუხჩიშვილი, აღიშნ. ხელნაწერის ბერძნობები, ენიკის მოამბე, XIV, 1944, გვ. 102, 115.

1. ხანმეტ ტექსტში, ისევე როგორც ყველა ოთხთავის ტექსტში, დასტურდება საყოველთაოდ ცნობილი ბერძნული სიტყვები:

ანგელოზი (ἄγγελος)	მარგალიტი (μαργαριτης)
იოტა (ἰωτα)	ბილიონი (μῖλιον)
კესარი (Καίσαρ)	პინაკი (πίναξ)
ლაგვნი (λάγνος)	სტოვა (στοά)
ლანკლა (λεκάνη, λεκάνιον)	ფსურილი (σπυρίδιον)
ლეგონ (λεγών)	ტაბლა (τάβλα)

გარდა ამისა, არის ბერძნულიდან უთარგმნელად გადმოტანილი სხვა სიტყვებიც: სატანა (σατανά), ტალანტი (τάλαντον) და ქლანიდი (χλάνιδ, -ῖδος):

„წარვედ ჩემგან, სატანა, საცთურ ჩემდა ხარ“ (მ. 16, 23).

σπαγε θπίστο μου, Σατανά σατάναιον εἰ ἔμουν.

აღიშისა და ჭრუჭ-პარხლის რედაქციებში შესაბამის ადგილას ეშმაკი იხმარება. ოპიზის, ტბეთისა და ბერთის ნუსხებში კი ხანმეტის იკითხვისა და უწლი.

აღიშისა და A ტიპის ხელნაწერებში ფულის საზომი ერთეულის ხმარების 13 შემთხვევაა დადასტურებული და ყველგან ქანქარი (χάναρα) იხმარება (მ. 25, 15—25; 18, 24). საანალიზო ტექსტში, სადაც ეს თავი სრულად არ არის დაცული (მ. 25, 20—25), ქანქარის ნაცვლად ყველგან ბერძნული ტალანტი გვაქვს.

„და ოდეს განკიცხეს იგი, განხმარებეს მას ქლანიდი იგი და შეხმოსეს მას სამოსელივე თვისი“ (მ. 27, 31).

შდრ.: και ἔτε ἐνέπεισαν αὐτῶν, ἐξέμισαν αὐτῶν τῆν χλαμῶνδαι και ἐξέμισαν αὐτῶν τὰ ἱμάτια αὐτῶν.

როგორც ვხედავთ, ბერძნულში ქლანიდის ნაცვლად χλαμῶნდ იხმარება. ანალოგიური ვითარებაა ქართული ოთხთავის მთელ რიგ ხელნაწერებში: ქლამინდი (მ. 27, 28, 31). ხანმეტ ტექსტში ის ერთხელ ჩანს, რადგან მ. 27, 28 მუხლი ამოკითხული არ არის. შეიძლება ვიფიქროთ, რომ აქ ორთოგრაფიულ შეცდომასთან გვაქვს საქმე. მაგრამ ეს გამორიცხულია, ვინაიდან A და BD ნუსხებში ორსავე შემთხვევაში (მ. 27, 28, 31) ქლანიდი წერია. აღნიშნულ ნუსხებში დადასტურებული სიტყვა კი ხანმეტი ტექსტის გავლენა უნდა იყოს. ბერძნულ ენაში ორივე ეს სიტყვა იხმარება (χλαμῶν, χლάνιδ) და ორივე სამოსის ნიშნავს.

2. ბერძნულიდან უნდა პქონდეს ქართულ თარგმანს ებრაული წარმომავლობის სიტყვები — ბეთესდა და მსანა გადმოყოლილი:

ბეთესდა ოთხთავის ნუსხებში სხვადასხვა ორთოგრაფიული ვარიანტით არის წარმოდგენილი: ბეთესდა XCB, ბეთელდა ADE, ბეთესდა F (ი. 5, 2). აღნიშნული სიტყვა ბერძნულ ძირითად ტექსტში Bη-ჭζαჭძ ფორმითაა დაცული. სქოლიოში მოცემულია ამ სიტყვის სხვადასხვა ვარიანტული იკითხვისი: Bηζαჭძ, Bελζაჭძ, Bηθσαჭძ, Bηθესაჭძ. ეს უკანასკნელი დასტურდება ალექსანდრიულისა და პარიზის ნუსხებში (V ს.)⁸³. მსგავსი დაწერილობისაა ხანმეტ თარგმანში დადასტურებული სიტყვა. უნდა

⁸³ K. Aland, M. Black..., The Greek New Testament, p. 337.

ვიგულისხმობთ, რომ ხანმეტი ტექსტის წინამორბედს ხელში ეკირა სწორედ ისეთი დედანი, რომელშიც აღნიშნული სიტყვა ბეთეს და დაწერილობისა იყო.

მსანა ნიშნავს: „შველას“, „დიდებას“. A ტიპისა და ადიშის ხელნაწერებში ის თარგმნილია „კურთხევად“ და „დიდებად“. ხანმეტ თარგმანში ეს სიტყვა ორჯერ გვხვდება და ორჯერვე სხვადასხვაგვარი ორთოგრაფიითაა წარმოდგენილი: მსანა, ოსსანა: „ლაღადებდა ტაძარსა შინა და ხიტყოდეს: მსანა ძესა დავითისსა“ (მ. 21, 15); „და რომელი წინახუძლოდეს და უკუანა შეხუდგეს, ლაღადებდეს ოსსანა ძალასა“ (მრ. 11, 9).

3. საკუთარი სახელი „სიმონ“ ოთხთავის ტექსტში ორგვარი დაწერილობით გვხვდება სიმონ (მ. 13, 55; 16, 17; მრ. 1, 16; ლ. 5, 5; 5, 10; 6, 14; ი. 6, 71; 21, 15) და სკმეონ (ლ. 3, 30). აღნიშნული ფაქტი თვით ბერძნულში ერთმანეთის პარალელურად არსებული Σίμων || Σιμωνად ვარიანტებით უნდა აიხსნას. საანალიზო ტექსტში სკმეონ ფორმა მხოლოდ ერთხელ გვხვდება. და ბერძნულშიც იგი შესაბამის ადგილას მსგავსი ფორმითაა წარმოდგენილი: Σιμωνად.

საკუთარ სახელთა უმრავლესობა რომ ბერძნული ეპიდისაა, ამას ადასტურებს აგრეთვე სახელი იაიროს. (ლ. 8, 41). ABCDEF ნუსხებში მისი ვარიანტული იკითხვისია იაიროს. ეს უკანასკნელი არასწორი ფორმა ჩანს, ვინაიდან ბერძნული ტექსტი შესაბამის ადგილას Ἰαίρου იკითხვისს იძლევა.

ბერძნული საკუთარი სახელი Νίκαδμησις, რომელიც ქართულ წერილობით ძეგლებში სხვადასხვა ვარიანტითაა დადასტურებული: ნიკოდემოსი || ნიკოდემოზ || ნიკოდემ⁴⁸, ხანმეტ ტექსტში ბერძნულსებურად არის წარმოდგენილი: „ხიყო ვინმე კაცი ფარსეველთაგანი, ნიკოდემოს სახელი მისი“ (ი. 3, 1); „მიხუგო ნიკოდემოს და ხრქუა მას“ (ი. 3, 9).

იუდა-ისკარიოტელი. იუდა-სკარიოტელის ფორმით დასტურდება (მ. 10, 4). ასევეა ის ბერძნულის ზოგიერთ ნუსხაში წარმოდგენილი: Σακαριωτης⁴⁹.

4. ხანმეტ თარგმანში დადასტურდა სახელი, რომელსაც ფუძის სახით გამოყენებული აქვს ბერძნული ნომინატივის ფორმა—ანგლოსი (ἄγγελος): „ხუწოდეს სახელი მისი იესუ, რომელ-იგი ხეწოდა ანგელოსისა მისგან“ (ლ. 2, 21), შდრ.: ანგელოზისა ABCDEF. ეს სიტყვა ტექსტში 11-ჯერ გვხვდება. ამათგან მხოლოდ ერთხელ არის გამოყენებული ბერძნულის იც ბოლოკიდურიანი დაბოლოება.

5. ბერძნული წინდებულის თუ ქართულშიც ზოგჯერ წინდებულებითაა გადმოტანილი: ὅσαυταχαιμαίνουσας თანა-მეინაჲე (მ. 14, 9; ლ. 14, 15); ὁσάν-ხზრახვიდეს (მ. 17, 3).

6. საანალიზო ტექსტში, ბერძნულის მსგავსად, დასტურდება უშემასმენლო წინადადებები:

„ხიყო დღეთა მათ პეროდე მეფისა ჰურიანსტანისათა მღვდელი ვინმე, რომ-

⁴⁸ ნ. მახარაძე, ბიზანტიური ბერძნულის ფონეტიკის საკითხები, I, 1965, გვ. 39.

⁴⁹ K. Aland, M. Black... The Greek New Testament, p. 34.

ლისა სახელი ზაქარია“ (ლ. 1, 5), Ἐγένετο ἐν ταῖς ἡμέραις Ἑρῶδου βασιλέως τῆς Ἰουδαίας ἑρῆς τις δούματι Ζαχαρίας.

„ქალწულისა თხოვილისა ქმარსა, რომლისა სახელი იოსებო, სახლი-საგან და ტომისა დაითისა და სახელი ქალწულისა ამის მარიაჲ“ (ლ. 1, 27), πρὸς παρθένον ἐμνηστευμένην ἀνδρὶ ᾧ ὄνομα Ἰωσήφ ἐξ οἴκου Δαυὶδ, καὶ τὸ ὄνομα τῆς παρθένου Μαρίας.

„აჲ ესერა მოვიდა კაცი და სახელი მისი იაიროს“ (ლ. 8, 41), καὶ ἦν τῆς ἀνδρὸς ᾧ ὄνομα Ἰαίρου.

„ხუო ვინმე კაცი ფარისევლთაგანი, ნიკოდემოს სახელი მისი“ (ი. 3, 1), ἦν δὲ ἀνθρώπος ἐκ τῶν Φαρισαίων, Νικόδημος ὄνομα αὐτοῦ.

7. ბერძნულ წყაროსთან სიახლოვეს ამეღანებს აგრეთვე საანალიზო ტექსტში დადასტურებული „ვიღრე“ უდეტრისა და „მდე“ თანდებულის გვერდიგვერდ ხმარება. ქართული წერილობითი ძეგლების ენაში აღნიშნულ ფაქტს, როგორც უცხო წყაროს გავლენის შედეგად არსებულს, კ. დანელიამ მიაქცია ყურადღება: „უცხოენოვან ბიბლიურ ტექსტებში მიწვევითობის შინაარსით ნახმარი წინდებულებიან სახელების გრამატიკული მნიშვნელობა განმარტებულია ორმაგი საშუალებით: ერთი, ბუნებრივი ქართული შესატყვისით, -მდე თანდებულოთ და მეორე, პირდაპირი შესატყვისით, ვიღრე წინდებულოთ. ასეთ შემთხვევაში ვიღრე ქართული ფრაზისათვის ზედმეტია, მაგრამ თუ მას მაინც ხმარობს ქართველი მთარგმნელი თუ რედაქტორ-შემჭერბელი. ეს იმიტომ, რომ... ქართული ფრაზა ზედმიწევნობით დაუახლოვდეს უცხოენოვან პირველწყაროთა (პირველ ყოვლისა ბერძნულის) ფრაზას“⁸⁶. ანალოგიური ვითარება ამ თვალსაზრისით ხანმეტი თარგმანშიც: „რაა გიქმს თქუენ, ვიღრე თხოვადმ დევე თქუენდა მისგან“ (მ. 6, 8); „რამეთუ ყოველნი წინაწარმეტყუელნი და შჯული ვიღრე იოჰანესამ დე“ (მ. 11, 13); „ეგრევე მეორემან და მესამემან, ვიღრე მეშუდემ დე“ (მ. 22, 26); „აწ ბრძანე დაკრძალვად სათვალე იგი, ვიღრე მესამედ დედემ დე“ (მ. 27, 64); „მე თქუენ თან ვარ ყოველთა დეთა ცხოვრებისა თქუენისათა და ვიღრე აღსასრულადმ დე სოფლისა“ (მ. 28, 20); „ხუწოდეს სახელი მისი იესუ, რომელ იგი ხეწოდა ანგელოსისა მისგან, ვიღრე ყოფადმ დე მისა“ (ლ. 2, 21); „პირველად არა ხიზანა ვიღრე სადილობამ დე (ლ. 11, 38); სისხლითგან აბელისით ვიღრე სისხლადმ დე ზაქარიაჲსა“ (ლ. 11, 51).

აღნიშნული ფაქტი ყურადსაღებია იმდენად, რამდენადაც უცხოენოვან წყაროთა წინდებულების ზედმეტად გადმოცემა ქართულში პირველმთარგმნელის ტექსტშიც დასტურდება.

დაბოლოს, ერთი ადგილის შესახებ, რომელიც აშკარად ავლენს ხანმეტი ძეგლის დამოკიდებულებას ბერძნულ ტექსტთან: საანალიზო ტექსტში მ. 20, 26 მუხლს აკლია მეორე ნახევარი. ეს შეცდომა დამუშავებული ჩანს მთარგმნელის მიერ ტექსტის თარგმნის პროცესში. ბერძნულ ტექსტში 26-ე და 27-ე მუხლების წინადადებები იწყება მსგავსი სიტყვებით: მც ႁჁჁ (მჁ) მც ႁჁჁ ႁჁ ႁჁჁჁ. ამან შეიყვანა შეცდომაში მთარგმნელი, თვალი ასცდა და მას გამოჩა 26-ე მუხლის ნახევარზე მეტი, შდრ.:

⁸⁶ კ. დანელია, უცხო ენათა გავლენის კვალი ძველი ქართული წერილობითი ძეგლების ენაში, მაცნე, ენისა და ლიტერატურის სერია, 1978, 1, გვ. 93.

X	ABDEF	ბერძნ.
მ. 20, 26 ხოლო არა ვგრე ხიოსს თქუენ ზედა	ხოლო თქუენ ზედა არა ვგრე იყოს, არა- მედ რომელსა უნ- დეს თქუენ შორის დიდ ყოფამ, იყოს იგი თქუენ და მსახურ (-DE) და	ὁὐχ οὐτως ἔσται ἐν ἡμ- ῖν· ἀλλ' ὅτι ἐν ἑτέ- ροις ἐν ἡμῖν μέγας γενέσθαι ἔσται ἡμῶν διότιονος,
მ. 20, 27 არამედ რო- მელსა ხუნდეს თქუენ შოვრის დიდ ყოფამ...	(არამედ DE) რომელსა უნდეს (-E) თქუენ- განსა წინა ყოფამ...	καὶ ὅτι ἐν ἑτέροις ἐν ἡμῖν εἰσὶν πρῶ- τος...

ეს უნებლიეთ დაშვებული შეცდომა მექანიკურად გამოვრდა ქრუჟ-პარ-
ხლის რედაქციაში (DE), ხოლო ABF ნუსხათა გადამწერ-შემჭერებლებმა ის
გაასწორეს. ასევე სრულად არის წარმოდგენილი აღნიშნული მუხლი C რე-
დაქციაში. ანალოგიური ვითარებაა სომხურშიც.

აქედან გამომდინარე, უნდა ვითქვითოთ, რომ ხანშეტი ოთხთაის მთარ-
გმნელს ხელთ ეჭირა ბერძნული დედანი.

ტექსტისათვის

ოთხთავის ტექსტის წინამდებარე გამოცემა წარმოდგენილია ორი ხელნაწერის — A-89 და A-844 მიხედვით. გამოცემაში, იქ, სადაც ამას საჭიროება მოითხოვს, ყველგან არის მითითებული ხელნაწერის ლიტერი. ყოველი 10—8 (იშვიათად 9—9, 11—7) სტრიქონის შემდეგ აღნიშნულია გვერდობლივი სათვალავი. ეს უკანასკნელი დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ არის გაკეცილი ძველი ხელნაწერის ფურცელი. ახალი მუხლის დაწყება ვერტიკალური ხაზითაა მითითებული. ნაბეჭდ ტექსტს ვუნარჩუნებთ ორიგინალის განლაგებას. ამიტომ იგი იბეჭდება ორ სვეტად. სტრიქონზე სიტყვათა განლაგებაც დედნის ფარდია. ხელნაწერისაგან განსხვავებით იგი მუხლებად დაყვავით ისე, როგორც ეს მიღებულია თანამედროვე სამეცნიერო გამოცემებში. ხელნაწერის პუნქტუაცია ტექნიკური მიზეზების გამო ტექსტში ასახული არ არის. არც დღევანდელი ნორმების მიხედვითაა ის გაწყობილი. მთელი ტექსტი მოცემულია სასვენი ნიშნების გარეშე⁸⁸. ჩვენ არ ვიყენებთ არც ვადატანის ნიშანს და არც დეფიზს კომპოზიტებთან ნაწევრებთან და ტემსის დროს. ტექსტი ხელუხლებლადაა წარმოდგენილი. გასწორებულია მხოლოდ უნებლიედ დაშვებული შეცდომები, როგორცაა ასოს დაკლება, სიტყვათა ან ასოთა გამეორება, რომელიც სიტყვის სტრიქონიდან სტრიქონზე ვადატანის დროს არის წარმოდგარი, ასოთა მექანიკური გადასმა და სხვ. ყველა გასწორება სათანადოდ არის ასახული სქოლიოში * ნიშნით. ტექსტი არ აღგვიდგენია. გამოცემაში მოცემულია მხოლოდ ის, რისი ამოკითხვაც იყო შესაძლებელი. ამოუკითხავი ნაწილი წერტილებითაა შევსებული. ტეხილი კაევებით [] აღგენილია მხოლოდ ის სიტყვები, რომელთა ნაწილის ამოკითხვა მოხერხდა. ქარაგმიანი სიტყვები გაუხსნელადაა მოცემული. ხელნაწერის ორთოგრაფია უცვლელად არის დატოვებული, მხოლოდ ოკ კომპლექსია შეცვლილი უ-ით.

წინამდებარე გამოცემა შედარებულია IX—X საუკუნეების ცნობილ თარიღიან ხელნაწერებთან. ნუსხათა ვარიანტული თუ რედაქციული იკითხვისები შენიშვნაშია ასახული; აქვეა მოცემული ივ. ჭავჭავაძის გამოცემის განსხვავებული იკითხვისებიც. სქოლიოში არაბული ციფრებით აღნიშნულია თავი და მუხლი, სადაც თანამიმდევრობით არის მოცემული ამ მუხლში შემავალი ყველა განსხვავებული იკითხვისი. თუ ერთი სიტყვა მუხლში რამდენჯერმეა გამოვლენილი და ერთ-ერთ მათგანს აქვს ვარიანტული იკითხვისი, ასეთ შემთხვევაში ციფრი, რომელიც ახლავს სიტყვას ფრჩხილებში, მიუთითებს ტექს-

⁸⁸ ასეა ის დაბეჭდილი ივ. ჭავჭავაძის მიერ, იხ. დასახ. ნაშრომი, გვ. 317—366; ა. შანნიძესთან იხ. ხანშეტი მრავალთავი, თბილისი, უნივერსიტეტის მოამბე, ტ. VII, 1927, გვ. 98—159; მისივე, ხანშეტი იერემიას კემბრიჯული ნაწყვეტები, ენციკის მოამბე, 11(1), 1937, გვ. 29—42; მისივე, იაკობის პირველსახარების ხანშეტი ნაწყვეტები, ჭელი ქართული ენის კათედრის შრომები, 20, 1977, გვ. 12—21; J. N. Birdsall, Khanmeti Fragments of the Sinoptic Gospels from Ms. Vind. Georg. 2, Oriens Christianus. B. 55, 1971, p. 62-89.

ტში მის ადგილზე. ან, თუ მუხლში ერთი სიტყვა მეორდება რამდენჯერმე და ყველას ერთნაირი იკითხვისი აქვს, სქოლიოში, სიტყვასთან არსებული ციფრი აღნიშნავს ამ სიტყვების რაოდენობას.

როდესაც A ტიპის ხელნაწერებში ერთნაირი წაკითხვაა, გამოკვლევაში მათ A ლიტერით მივანიშნებთ. თუ რომელიმე ნუსხა იძლევა განსხვავებულ იკითხვისს, მაშინ მას იმ ნუსხის ლიტერით აღვნიშნავთ.

იმისათვის, რომ თვალნათლივ წარმოგვეჩინა უძველესი ქართული სალიტერატურო ძეგლის, ხანშეტი ოთხთავის, ლექსიკური მარაგი, საჭიროდ ვცანით ტექსტისათვის დაგვეერთო სიმფონია. სიმფონიის შედგენისას ჩვენ ვსარგებლობდით იმ პრინციპებით, რომლებიც გატარებულია ა. შანიძისა და ივ. იმნაიშვილის გამოცემებში (ზოგიერთი მცირეოდენი ცვლილებით)⁸⁹. სიმფონიაში განმარტებულია მხოლოდ რამდენიმე სიტყვა, რომელიც ივ. იმნაიშვილის „ქართული ოთხთავის სიმფონია-ლექსიკონში“ არ არის, რადგან, ეს ზიტყვები არ დასტურდება იმ რედაქციებში, რომლის მიხედვითაც შედგა სიმფონია. ასეთებია: ხატანა, ხაცო, ტლანტი და ქლანიდი.

სიმფონიაში ტეხილ კავებში [] ვათავსებთ ისეთ სიტყვებს, რომლებიც ჩვენ მიერ არ არის ამოკითხული. ფრჩხილებში () ჩასმული სიტყვები კონტექსტის მიხედვით არის ნაგულისხმევი.

⁸⁹ ა. შანიძე, ხანშეტი ლექსიკონარი, 1944, გვ. 031 — 064; ივ. იმნაიშვილი, ქართული ოთხთავის სიმფონია-ლექსიკონი, 1948-49.

ХАНМЭТНЫЕ ТЕКСТЫ

Резюме

Древнейшие памятники грузинской письменности, дошедшие до нас в виде палимпсестов, сыграли большую роль в изучении вопросов истории грузинского языка и литературы. В научной литературе эти памятники известны под именем «ханмэтных».

Термин «ханмэти» впервые встречается в XI в. Он упоминается известным грузинским ученым и переводчиком Георгием Святогорцем в его знаменитом колофоне к отредактированному им тексту грузинского Четвероголава. Однако до последнего времени значение упоминаемого Георгием слова оставалось непонятым, и потому исследователи давали этому термину самые различные толкования. Истинное же его значение стало окончательно ясным лишь после открытия ханмэтных текстов. А. Г. Шанидзе выяснил, что, говоря о ханмэтных текстах, Георгий имеет в виду те, в которых «б» (х) употребляется в качестве показателя 2-го субъектного и 3-го объектного лиц в глаголах. Показатель этот, как явствует из памятников древнегрузинского языка, в живой речи совершенно исчезает к IX в. В XI в. подобный показатель, сохранившийся лишь в древнейших письменных памятниках, является лишним с точки зрения норм живого языка, и именно поэтому Георгий и называет подобные тексты «ханмэтными», т. е. «имеющими лишней б (х)».

Ханмэтные тексты, безусловно, принадлежат к числу самых древних грузинских письменных памятников; древнейшие грузинские надписи (Болнисского Сиона, 493—494 гг., Укангорские, V—VI вв., Мцхетского храма Джвари, 591—600 гг.) также являются ханмэтными. Наряду с собственно палеографическими данными, факт этот имеет немало важное значение для датировки ханмэтных текстов.

Открытие и тщательное изучение ханмэтных палимпсестов — заслуга И. А. Джавахишвили. Он посвятил ханмэтным палимпсестам специальное исследование — «Новооткрытые древнейшие грузинские рукописи и их значение для науки». Им были изучены и опубликованы ханмэтные тексты из рукописей Н-999, А-89, А-737, А-844. На основе палеографической близости с эпиграфическими памятниками И. А. Джавахишвили датировал ханмэтные палимпсесты V—VI вв.; он же выяснил, что смытый текст содержит материал из Ветхого и Нового заветов.

В дальнейшем над выявлением и изучением палимпсестов работал А. Г. Шанидзе. Им были обнаружены новые палимпсесты: Н-1329 и S-3902 (ныне находящиеся в фондах Института рукописей). В процессе работы выяснилось, что смытый материал первого палимпсеста (Н-1329) содержит текст из Иерусалимского канонария. Текст этот был им назван «наемэтным». Термин «наемэти» создан по аналогии с «ханмэти», поскольку в данном тексте для обозначения префикса S₂O₃ употребляется «з» (h), подобно тому как «б» (x) в ханмэтных

текстах. Смытый текст второго палимпсеста (S-3902) представляет собой Ханмэтный многоглав. Оба памятника были датированы VIII в.

Дешифровкой палимпсестного текста занимался также И. В. Абуладзе. Он предполагал вновь издать палимпсест А-737, добавив к уже известным текстам расшифрованные им самим листы, на которых сохранилось агнографическое сочинение «Мученичество святой Христины». К сожалению, довести дело до конца ему не удалось ввиду безвременной кончины.

Открытие древнейших грузинских ханмэтных и хаёмэтных текстов получило широкий отклик и за рубежом. Американским ученым Р. П. Блейком был издан ханмэтный фрагмент книги пророка Иеремии по рукописи Бодлийской библиотеки в Оксфорде. Немецким ориенталистом и грузиноведом Ж. Молитором были опубликованы все донные известные ханмэтные и хаёмэтные тексты с латинским переводом. В последнее время палимпсестами, хранящимися в фондах Венской национальной библиотеки в Австрии, заинтересовался профессор Бирмингемского университета Дж. Н. Бердзол. Он расшифровал и издал фрагменты ханмэтных текстов Протоэвангелия Якова, I Книги Ездры и Четвероглава.

Опубликованные тексты ханмэтного Четвероглава, несмотря на их малый объем, воочию показали специалистам, сколь велико их значение для исследования текста Четвероглава и выявили необходимость дальнейшей публикации этих текстов.

Потребность располагать древнейшим текстом Четвероглава ощущают ученые разных областей (языковеды, историки, литературоведы и др.). Все нарастающая актуальность изучения ханмэтных памятников подсказала нам необходимость прочтения не известных доселе смытых текстов, чтобы предоставить широкому кругу специалистов новый ценный материал для исследования в виде критического издания и тем самым восполнить существующий в этой области пробел.

Ханмэтные тексты из Четвероглава, сохранившиеся в рукописях А-89, А-844 полностью публикуются впервые.

О происхождении памятника древнейшего периода — ханмэтного Четвероглава до нас не дошло никаких сведений, кроме колофона Георгия Святогорца.

Все ученые, занимающиеся вопросами перевода Четвероглава на грузинский язык, связывают его с началом христианской письменности. Из книг Библии раньше всего, по-видимому, были переведены Псалтырь и Евангелие. Первый грузинский перевод Четвероглава был выполнен не позднее V века (К. С. Кекелидзе, И. А. Джавахишвили, А. Г. Шанидзе).

О том, что в V веке уже существовала книга Четвероглава на грузинском языке, свидетельствуют, с одной стороны, дошедшее до нас первое оригинальное произведение «Мученичество св. Шушаник» (V в.), в котором встречаются цитаты из текста Четвероглава, а с другой — ханмэтные палимпсесты. Эти тексты — прекрасное доказательство того, что уже в вышеуказанное время грузины вели весьма плодотворную литературную деятельность: они не только создавали оригинальные сочинения, но и переводили иужную им литературу с других языков. В палимпсестах особенно обильно представлены фрагменты из текста Четвероглава.

Среди ханмэтных палимпсестов выявлены четыре рукописи, содержащие текст Четвероглава. Три из них хранятся в фондах Института рукописей (А-89, А-844, Н-999), а четвертая — в Венской национальной библиотеке (Georg. 2).

Из этих четырех списков в основу настоящего издания положены тексты рукописей А-89 и А-844, так как листы двух этих рукописей, как это выявилось в процессе работы над палимпсестами, являются частями одной и той же смытой рукописи. Об этом свидетельствуют не только содержание сочинения, но и его форма: эти палимпсесты поразительно схожи и по внешнему виду.

Одной из основных задач при исследовании опубликованного текста было определение текстуальных особенностей ханмэтного текста; следовало выяснить его отношение к Четвероглавам IX—X веков. Ханмэтный текст был сравнен с дошедшими до нас датированными рукописями Четвероглавов; Адийской (897 г.) — С, Олизской (913 г.) — А, Джручской (936 г.) — Д, Пархальской (973 г.) — Е, Бертской (988 г.) — Ф и Тбетской (995 г.) — В. Они редакционно подразделяются на две группы: одна — редакция С, представленная единственным списком — Адийским четвероглавом, а вторая — редакция, которую А. Г. Шанидзе назвал протовульгатой. Она представлена в Олизской, Джручской, Пархальской, Бертской и Тбетской рукописях. Поскольку они являются списками одной редакции, в труде они условно именуется рукописями типа А.

Признаком, отличающим настоящий текст от вышеупомянутых рукописей, является прежде всего его ханмэтность. Префикс «б» (х) в тексте стоит именно там, где по нормам древнегрузинского языка этого следовало ожидать. Если не принимать во внимание употребление префикса «б» (х), то ханмэтный Четвероглав текстуально близок ко спискам IX—X веков.

Редакционный состав текста ханмэтного Четвероглава неоднократно становился предметом обсуждения исследователей. Одна часть ученых считала его текстом редакции типа С (И. А. Джавахишвили, Р. П. Блейк), другая высказывала мнение, что текст, прочитанный по рукописи А-89, относится к редакции типа А, а фрагменты из рукописи А-844 — к редакции С (С. Н. Какабадзе). Подобной же точки зрения придерживается А. Г. Шанидзе.

Предположение С. Н. Какабадзе о неоднородном редакционном составе ханмэтного Четвероглава правильно, однако фрагменты рукописей А-89 и А-844 нельзя отделять друг от друга. Это вовсе не фрагменты двух самостоятельных рукописей. Являясь частями одного списка, они дополняют друг друга.

Исследуя этот материал, мы пришли к выводу, что ханмэтный Четвероглав не представляет целиком одну редакцию; текст, вычитанный по рукописям А-89 и А-844, в одной части схож с редакцией С, а в другой — с рукописями типа А (с небольшими расхождениями).

При сравнении ханмэтного Четвероглава с рукописями IX—X веков выясняется, что в ханмэтном Четвероглаве выделяются два пласта. Евангелие от Матфея 5,8—11,7 (т. е. начальная часть расшифрованного нами текста) в редакционном отношении отличается от остального текста. Вышеуказанный отрывок принадлежит к той редакции, которая дошла до нас в Адийском списке (С). Подлинник, с которого переписывался ханмэтный Четвероглав, по-видимому, был неполным, и поэтому переписчик дополнил недостающие места по списку, содержащему Адийскую редакцию. Основная же часть текста (М. 11,8—И. 21,17 с лакунами) редакционно близка к рукописям типа А. Исходя из этого, надо думать, что на грузинском языке уже в раннее время (V—VI вв.) параллельно существовали два разных перевода.

Кроме того, отдельные главы грузинского Четвероглава выявляют разную степень зависимости от древнейшего ханмэтного перевода.

Выясняется, что Евангелие от Марка (в списках типа А) подверглось последующей текстуальной ревизии в гораздо меньшей степени, чем другие части Четвероглава. То же можно сказать о той части Евангелия от Луки, которая была использована писцом в Адишском списке для восполнения недостающего текста оригинала типа С. Можно сказать, что в отмеченных фрагментах Евангелия от Марка и от Луки текст древнейшего перевода сохранен в неизменном виде.

Язык ханмэтного Четвероглава в основном выявляет языковую норму классического древнегрузинского языка, хотя кое-где и засвидетельствованы своеобразные формы. В труде они последовательно рассмотрены.

Сравнение текста ханмэтного Четвероглава с иноязычными (греческими, армянскими) текстами более ошутимо выявило близость к греческому источнику. Зависимость от греческого текста отражается в лексике и словообразовании, в присущем греческому языку строе предложений и даже в случайных ошибках переводчика. Следовательно, надо предполагать, что переводчик ханмэтного Четвероглава переводил текст с греческого подлинника.

THE KHANMET TEXTS

Summary

The oldest Georgian literary documents known under the name of Khanmet texts, which have come down to us mostly in palimpsest manuscripts of which they form the older layer, are of an utmost importance in the fields of research concerned with the history of the Georgian language and literature. The term Khanmet is met with for the first time in the famous colophon of George the Hagiorite, in which the renowned scholar of the 11th century describes the process of revising the old Georgian text of the four Gospels. The meaning of the term Khanmet, casually mentioned by George as denoting a certain type of old text, remained dubious for a long time, being differently interpreted by scholars. The real meaning of this term became clear only after the discovery of Khanmet texts in the early twenties of the present century. At this time it was ascertained beyond doubt that A. Chanidze had been right in assuming that «Khanmet»—was used by George the Hagiorite to denote the texts in which «b»(kh) was used as a prefix for the 2-nd person of the subject and the third person of the object in verbs. These prefixes disappeared in the Georgian spoken language towards 9th century. Therefore, it is not to be wondered that George the Hagiorite called the old texts containing the above mentioned verbal forms Khanmet — the term literally meaning «having superfluous b (kh)».

The Khanmet texts are undoubtedly the oldest amongst the surviving Georgian literary documents. It should be noted also that some of the ancient Georgian inscriptions, which display the same linguistic phenomena, can be dated within a quite narrow margin (the inscription of Bolnisi, 493—494 A. D., the inscription of Demetrius in the Djvari Church, 591—600 A. D.). This fact is of primary importance for dating the Khanmet texts, corroborating the palaeographical data.

It was I. Djavahischvili who discovered the Khanmet texts. Also he was the first to study them. His famous work „The newly discovered ancient Georgian manuscripts and their importance for scholarship“ contains texts from the Mss. H-999, A-89, A-737, A-844. Palaeographic analysis showed their affinity with the inscriptions of the 5th and 6th centuries. After the washed-out script of the Mss. had been deciphered, the texts were found to contain various fragments from the Old and New Testaments.

Later, A. Shanidze discovered and published other palimpsest fragments (H-1329 and S-3902, now in the funds of the Institute of Manuscripts). The first was found to contain the text of the Jerusalem Canonarium. This text was given the name «Haemet», the term being coined by analogy with Khanmet.

I. Abuladze also deciphered some leaves of the Ms. A-737, which were found to contain extracts from „The life of St. Christina“. It was his intention to publish all of the palimpsest parts of this Ms. It is to be very much regretted that he did not live to complete this labour.

The discovery of the Khanmet and Haemet texts did not pass unnoticed by other scholars. The American scientist, R. P. Blake, published a Khanmet fragment of Jeremiah from a Ms. in the Bodleian Library at Oxford. The German orientalist J. Molitor, who was also well-known as a Georgian scholar, published a volume comprising all Khanmet and Haemet texts then known with a Latin translation. J. N. Birdsall of the Birmingham University has recently deciphered and published some Khanmet fragments of the Proloevangelium Jacobi, 1st Esdras and the Four Gospels from a Ms. in the funds of the National Library in Vienna.

The published texts of the four Gospels, notwithstanding the fact of their being fragmentary and small in volume, were clearly seen to contain the most valuable material for the study of the history of the Georgian New Testament. Thus, the necessity of further publications was indicated at once.

The present work has been carried out in order to present new Khanmet material hitherto unavailable. For the Khanmet New Testament texts contained in the Mss. A-89 and A-844 this is the first complete edition. These two have been chosen as a basis for the text, since it is apparent that they originally were parts of the same codex. This assumption is based not only on the fact that the leaves of both, arranged in a certain order, provide us with a more or less continuous text. Both display a striking similarity in many points: measurements of the pages, arrangement of the text, number of lines, etc. The hands are also the same.

We have no direct evidence concerning the provenance of the Khanmet Gospels; neither is the exact time of their translation defined. However, it is the general belief that the Khanmet texts date from the earliest period of the Georgian Christian literature. The New Testament and the Psalter must have necessarily been the first books of the Bible translated into Georgian not later than in the fifth century (C. Kekelidse, I. Djavahishvili, A. Shanidze). Direct citations from the New Testament are to be found in „The life of St. Shoushanik“, the first original Georgian literary composition, written in the fifth century.

One of the most important questions in the history of the old Georgian New Testament is that of relationship of the Khanmet texts with the later versions. The text which has come down to us in the dated Mss. of the 9th and 10th centuries, falls into two groups: the text of the Adish Ms. (897) stands apart (type C), while the others—those of Opiza (913), Jruch (936), Parkhal (973), Berta (988) and Tbet (995)—represent a version which has been called by A. Shanidze the Proto-vulgate (type A), being the one which was taken as the basis for the later recension of George the Hagiorite, which became the vulgate for the Georgian Church. There has been divergency of opinion as to the relation of the Khanmet texts from the Mss. A-89 and A-844 published by

I. Djavahishvili to the later recensional types (I. Djavahishvili, R. P. Blake, C. Kekelidze, A. Shanidze).

Investigation of the new material which is published in the present volume has shown that one part of the text displays a similarity with that of the Proto-vulgate (type A), the other being close to that of the Adish Ms. (type C). This leads us to the assumption that as early as in the 5th—6th centuries two different translations were extant in Georgia.

We have essayed also to differentiate degrees of textual kinship between the Khanmet texts and later versions in different parts of the Gospels. An attempt has been made to define the text which served as source for the Georgian translator. The influence of the Greek text is clearly discernible in the vocabulary, as well as in word-formation characteristic for the Greek language, in the structure of the sentences and even in the mistakes made by the translator.

შ ი ნ ა ა რ ს ი

წინასიტყვაობა	3
ბმჰსტი	9
სიფფონია	138
ქართული ოთხთავის ხანმეტი ბმჰსტი	
ოთხთავის გამოცემები	285
ხანმეტი ოთხთავის შემცველ ხელნაწერთა აღწერილობა	287
ხანმეტი ოთხთავის ტექსტის რელაქციული თავისებურებანი	301
ხანმეტი ოთხთავის ენობრივი თავისებურებანი	327
ხანმეტი ოთხთავის ბერძნულმები	336
ტექსტისათვის	341
რეზიუმე რუსულ ენაზე	343
რეზიუმე ინგლისურ ენაზე	347

დაიბეჭდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის
სარედაქციო-საგამომცემლო საბჭოს დადგენილებით

სბ 1860

რეცენზენტები ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორები: ც. ქუ რ ც ი კ ი ძ ე,
ზ. ს ა რ ჭ ვ ე ლ ა ძ ე.

გამომცემლობის რედაქტორი ნ. ვ ბ რ ა ლ ი ძ ე
მხატვარი გ. ლ მ ი ძ ე
ტექნოლოგიური ნ. ო კ უ ქ ა ვ ა

გადაეცა წარმოებას 27.1.1982; ხელმოწერილია დასაბეჭდად 18.11.1983;
ქაღალდის ზომა 70×108¹/₁₆; ქაღალდი № 1; ნაბეჭდი თაბახი 30,8;
საალრიცხო-საგამომცემლო თაბახი 25,3;
უე 01020; ტირაჟი 2200; შეკვეთა № 364;
ფასი 4 მან. 10 კაპ.

გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19
Издательство «Мешинереба», Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19

საქ. სსრ მეცნ. აკადემიის სტამბა, თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19
Типография АН Груз. ССР, Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19